ქართველოლოგი

საქართველოს მწერალთა კავშირის გაზეთი

№1 (291)

1-28 თებერვალი 2022

ფასი 1 ლარი

გამოდის თვეში ორჯერ

ინტერვიუ

მაყვალა გონაშვილთან

- ქალბატონო მაყვალა, ჩვენი რედაქციის და მთელი მწერალთა კავშირის სახელით გილოცავთ 2021 წელს თქვენს დიდ შემოქმედებით წარმატებას. თქვენ დაიმსახურეთ 2 პრემია - იაკობ გოგებაშვილის და შოთა რუსთაველის. განსაკუთრებით ნიშანდობლივი და საამაყოა ჩვენთვის, რომ თქვენი სახელი მიემატა რუსთაველის პრემიის ლაურეატ თითზე ჩამოსათვლელ მწერალთა რიცხვს. ალბათ, 2021 წელი გამორჩეული იყო თქვენს ცხოვრებაში. ორიოდე სიტყვით ხომ არ გვეტყოდით, რა ნაწარმოებებისათვის მოგენიჭათ ეს ჯილდოები?

- დიდი მადლობა. 2021 წელი პანდემიის ზეობის წელი იყო, მთელი სამყაროსთვის ერთ-ერთი ურთულესი, ტკივილებით სავსე წელი. ჩემთვის და მთელი საქართველოსთვის უსაყვარლესი არაერთი ხელოვანი შეუერთდა ზეციურ საქართველოს, რამაც დიდად მატკინა გული. კიდევ უფრო დუხჭირი გახდა ადამიანთა ყოფა, გახშირდა ეკოლოგიური კატასტროფებიც. ახალგაზრდებში იმატა უიმედობის განცდამ, შფოთვამ, დეპრესიამ,. ამიტომაც, როგორიც არ უნდა იყოს პირადი წარმატება, საზოგადოების უმძიმესი განწყობა აფერმკრთალებს დიდ სიხარულსაც.

პირადად ჩემთვის გასულ წელს არაერთი მნიშვნელოვანი რამ მოხდა. 2021 წლის ყველაზე დიდი სიხარული ჩემი მეორე შვილიშვილის, მართას დაბადება იყო. ფეხბედნიერი ყოფილა ბებოსთვის მართას მობრძანება - ორი უმნიშვნელოვანესი პრემიით დამაჯილდოვეს.

მახსოვს რამდენიმე წლის წინ ერთ-ერთ ინტერვიუში ჟურნალისტმა მკითხა: - კაცობრიობა დედამიწიდან სხვა პლანეტაზე რომ გადასახლდეს, რომელ წიგნებს გაიყოლებდით თანო? მე ვუპასუხე: - „დედა ენას“ და „ვეფხისტყაოსანს“-მეთქი.

როგორ ვიფიქრებდი, რომ დადგებოდა დრო და ჩემთვის სალოცავი ორი პიროვნების, შოთა რუსთაველის და იაკობ გოგებაშვილის სახელების პრემიებს მივიღებდი. მადლი უფალს. მადლიერების გრძნობით მინდა გავიხსენო საინიციატივო ჯგუფი, ვინც მე რუსთაველის პრემიაზე წარმადგინა, ესენი ბრძანდებიან თავადაც რუსთაველის პრემიის ლაურეატები: რევაზ მიშველაძე, გივი თოიძე, ვაჟა აზარაშვილი, ვახტანგ დავითაია, ფრიდონ სულაბერიძე... მადლობა ჟიურის თითოეულ წევრს და იმ ადამიანებს, ვინც გულწრფელად გაიზიარა ჩემი უდიდესი სიხარული.

ხშირად მიფიქრია, რა იქნებოდა საქართველო, რომ არა შოთა რუსთაველი და მისი უკვდავი პოემა, ალბათ, იქნებოდა „ცა - ფირუზ, ხმელეთ - ზურმუხტო“, იქნებოდა „ერი გულადი, პურადი“, მაგრამ, ვფიქრობ ისეთივე იქნებოდა ჩემი ქვეყანა, როგორც სამყარო, მამაუფალს მისი შექმნისას ეს ერთი ფრაზა რომ დაეკლო - „იქმენ ნათელი“. რუსთაველი საქართველოს ნათელია და ბედნიერია ყველა, ვინც ამ ნათლის შუქით აივსებს სულს.

დიდი პატივისცემით მინდა მივულოცო რუსთაველის პრემიის მინიჭება ახალ ლაურეატებს: - თემურ გოცაძეს, ვახტანგ კახიძეს, გია ჯაფარიძეს, ომარ ნაფეტვარიძეს.

საოცრად გამახარა რაულ ჩილაჩავას რუსთაველის პრემიით დაჯილდოებამ. ბატონი რაული არაერთი მნიშვნელოვანი ჯილდოს მფლობელია: გრიგორ სკოვოროდას, ნიკოლაი გოგოლის, მიკოლა კულიშის, მაქსიმ რილსკის, ვლადიმერ ვინიჩენკოს, ალექსანდრე ჩაკის, მავრიკ ვულკსონის, ერნესტ ჰემინგუეს, ფრანჩესკო პეტრარკას, საგურამოს და გალაკტიონის სახელობის პრემიების ლაურეატი ბრძანდება, მაგრამ ვიცი, რუსთაველის პრემია მისი ყველაზე დიდი ოცნება იყო.

ოთარ ჭილაძე წერდა: - „ადამიანი ჰგავს იმ ქვეყანას, რომელსაც მისი სამშობლო ჰქვია“. ბატონი რაულიც საოცრად ჰგავს საქართველოს, მასავით მშვენიერია გარეგნულად, ღირსეული პიროვნება და უნიჭიერესი მწერალია. ჭირთათმენითაც ჰგავს ჩვენს სალოცავ მამულს. ის უკრაინაში საქართველოს სახეა, სწორედ ის და არა ზოგიერთი უკრაინაში მოღვაწე ქარიხვეტია პოლიტიკოსი.

რადგან 2021 წელზე ვისაუბრე, ჩემთვის სასიხარულო რამდენიმე ამბავიც მსურს გავიხსენო. ჩემი პოეტური კრებულები გამოვიდა ყაზახეთსა და სერბეთში. ყაზახეთში კულტურის სამინისტროსა და მწერალთა კავშირის თაოსნობით გაიმართა წიგნის პრეზენტაცია, რომელსაც უამრავი პოეზიის მოყვარული დაესწრო. მე ეპიდსიტუაციის გამო ვერ ჩავედი ყაზახეთში და ონლაინ მივიღე მონაწილეობა. ასევე მნიშვნელოვანი იყო ჩემთვის გერმანიის მწერალთა გილდიის მიერ გამართული ჩემი ინტერნეტ პოეზიის საღამო, რომელშიც სხვადასხვა ქვეყანაში მცხოვრები რუსულენოვანი პოეტები მონაწილეობდნენ.

კულტურის სამინისტროს მხარდაჭერით გამოვეცი ჩემი პირველი პროზაული კრებული „უმძრახი წყალი“.

- ქალბატონო მაყვალა, უკვე წლებია, მწერალთა კავშირი უსახლკაროდაა დარჩენილი, არის თუ არა რაიმე საიმედო?

- საიმედო? რა მოგახსენოთ, როგორც ამბობენ, იმედი ბოლოს კვდება. იცვლებიან მინისტრები, გვაიმედებენ, რომ სამართლიანობა აღსდგება, მაგრამ დაპირება დაპირებად რჩება. მწერალთა კავშირის წევრები კუთვნილ, ისტორიულ შენობაში, მაჩაბლის 13-ში მოკრძალებულად, ღარიბი ნათესავებივით შედიან. 100-წლოვანი ორგანიზაცია ლტოლვილებთან ერთად ავარიულ შენობაშია შეყუჟული, ისეთ შენობაში ვართ, ორგანიზაცია კი არა, თავმოყვარე ადამიანი ხუთი წუთითაც რომ ვერ გაჩერდება. კედლის ღრიჭოებიდან ცა მოჩანს, ვიდეო არქივს ნესტი ჭამს.

2005 წელს ვარდებით მოსულმა ხელისუფლებამ მწერალთა კავშირის აპარატს ხელფასი შეუწყვიტა, მწერლებს - სტიპენდია.

2007 წელს არაერთი ქონება წაგლეჯა. შენობა მაჩაბლის 11-ში, რომელიც მწერლებს ზვიად გამსახურდიამ გადასცა და რომელშიც ლიტერატორთა სახლი გაიხსნა, მწერალთა კავშირს გაუყიდეს ტაშკენტის ქუჩაზე მდებარე მწერალთა პოლიკლინიკა, დღემდე გაურკვეველია მწერალთა კავშირის დასასვენებელი სახლის ბედი ქვიშხეთში და მაინც ყველაზე მტკივნეული 2007 წლის აგვისტოში, ღამის ოთხ საათზე, ხელისუფლების ბრძანებით ჩატარებული დაუნდობელი, ენით აღუწერელი ოპერაცია იყო, როცა ზონდერ-ბრიგადის 100 შეიარაღებული ნიღბოსანი დაეცა მწერალთა კავშირს, ოთახებიდან გამოყარა მწერალთა მემორიალური ნივთები და რკინის ჯებირებით შემოღობა მწერალთა კავშირის ისტორიული შენობა, რათა მწერლებს იქ შესვლა არ გაებედათ.

მას მერე 15 წელი გავიდა, მაგრამ სამართლიანობამ ჯერაც ვერ იზეიმა.

ამ საკითხზე გვქონდა საუბარი კულტურის მინისტრს თეა წულუკიანთან და პარლამენტის კულტურის კომისიის თავმჯდომარესთან ელისო ბოლქვაძესთან.

იქნებ ახლა მაინც გაიმარჯვოს სამართლიანობამ და კეთილგონიერებამ. დღემდე ჩემი განწყობა გალაკტიონის უმშვენიერეს სტრიქონებს ეთანაბრება:

„ყველაფერი არის ძლიერ კარგად,
ყველაფერი ძლიერ ცუდად არის...
წყარო ჩანს და წყალი არსად არის“.

მწერალთა კავშირის დარად სხვა შემოქმედებით კავშირებსაც არ ულხინთ. ამიტომ ვაპირებთ, გავერთიანდეთ და ერთობლივად ჩავატაროთ შემოქმედებითი კავშირების კრება, სადაც მოწვეული იქნება ყველა ის ჩინოვნიკი, ვისაც ხელეწიფება ჩვენი პრობლემების გადაჭრა, საუბარი იქნება კულტურის პოლიტიკის დახვეწასა და მომავალ საქმიანობებზე.

- ქალბატონო მაყვალა, სიძნელეების, დაუფინანსებლობის და ყოველივე სირთულის მიუხედავად მწერალთა კავშირი მაინც ახერხებს სრულფასოვან, საინტერესო საქმიანობას, ღონისძიებების ჩატარებას, ღირსშესანიშნავი თარიღების სათანადოდ აღნიშვნას...

- დიახ, მართალია, ბოლო დროინდელმა მოვლენებმა ბევრ რამეში ხელი შეგვიშალა, მაგრამ მაინც ვატარებთ ფოტოისტორიების კონკურსს „ღირსსახსოვარი“. მწერლებმა საკონკურსოდ გამოგვიგზავნეს უნიკალური, ისტორიული საოჯახო ფოტოები, მათი მონათხრობით უახლესი ისტორიის საინტერესო ფურცლები ცოცხლდება. მალე პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალური დირექტორის გიორგი კეკელიძის თანადგომით გამოვა ალბომიც, რომელშიც კონკურსზე წარმოდგენილი საინტერესო მასალები და ფოტოები დაიბეჭდება.

მწერალთა კავშირისა და ისრაელ-საქართველოს კულტურული ურთიერთობების ორგანიზაცია „მეგობრობის მერიდიანების“ თაოსნობით 3 მარტს, დედის დღეს ნანა შაბათაშვილ-დავარის სახელობის კონკურსში გამარჯვებული პოეტი ქალბატონები დაჯილდოვდებიან ფულადი პრემიებით.

7 მაისს ჩავატარებთ ტრადიციულ პოეზიის დღეს, სადაც გალაკტიონ ტაბიძისა და ჯემალ აჯიაშვილის სახელობის პრემიებით დაჯილდოვდებიან ქართველი მწერლები, ასევე წლის რჩეული იუბილარები. ღონისძიების მხარდამჭერია ქალაქ თბილისის მერია.

დაგეგმილი გვაქვს ჭაბუა ამირეჯიბისა და ანზორ სალუქვაძის საიუბილეო საღამოები.

გერმანიაში მწერალთა გილდიის მხარდაჭერით გამოვა ქართველ პოეტთა აუდიო ანთოლოგია.

გეგმები ბევრი გვაქვს, მთავარია დედამიწაზე იყოს მშვიდობა და დამთავრდეს ეპიდ-საშინელება. და კიდევ... ყველაზე მთავარი, ადამიანთა სულებში სიკეთემ დაივანოს, სიყვარულმა და ურთიერთპატივისცემამ შეცვალოს სიძულვილი და ავსიტყვაობა. როგორც ნიკოლოზ ბარათაშვილი წერდა: ავენანო, ოდეს დაშთეთ, დაასვენოთ ესდენ სული“.

ესაუბრა **მანანა გორგიშვილი**

ალექსანდრე პოტიომკინი

შლეზვიგ-ჰოლშტაინი,
გერმანია. თარგმანი გერმანულიდან

ლეგენდები, რომლებიც აკნინებს ცნობიერებას

მიმართვა საქართველოს პარლამენტარებს, ჟურნალისტებს, საჯარო დიპლომატიას, საზოგადოებრიობას, უფლებადამცველებს, „აფსუას“ ეთნოსს

„აფხაზი“ ეს არ არის ეროვნული კუთვნილება, არამედ ქართული ეთნონიმია, ტოპონიმიც კი. ეს შინაარსობრივად ისეთი ტოპონიმების ტოლფასია, როგორიცაა „თბილისელი“, „ბერლინელი“, „ვარშაველი“, „როსტოველი“.

სიტყვა „აბხა“ - ეს მათთვის ვინც არ იცის ან დაავიწყდა - მეგრულად და ლაზურად, და მაშასადამე ქართულად ნიშნავს „ბეჭს“ და „კიდეს“. ამ სიტყვისგან წარმოიშვა „აფხაზეთი“ (რუსულად - «Абхазия» - ადგილის სახელწოდების პირველი თარგმანი XIII საუკუნის დამლევს გამოიყენეს).

ჩვენი წელთაღრიცხვის VIII საუკუნის დამდეგს შეიქმნა ცნობილი ქართული სამეფო „აფხაზეთი“ (რუსულად «Абхазия»), დედაქალაქი იყო ქუთაისი, სახელმწიფო ენა და დამწერლობა - ქართული, რელიგია - ქრისტიანობა, მართლმადიდებლობა, ღვთისმსახურება წარმოებდა ქართულ ენაზე. მთელი დასავლეთ საქართველო - აფხაზეთი - ეს არის სამეგრელო, გურია, სვანეთი, იმერეთი, ეგრისი, ლაზიკა - მის შემადგენლობაში შედიოდა. ანუ აფხაზები (სიტყვის რუსული ვერსიით «абхазы») ეს დასავლელი ქართველები არიან. აფხაზეთის სამეფო ჩვენი წელთაღრიცხვის 746 წელს დააარსა ერისთავმა (რაც ქართულიდან თარგმანში ნიშნავს «управляющий князь», სიტყვა-სიტყვით, ერი - «нация», თავი - «голова» , ანუ «глава нации») ლეონ I–მა, ეროვნებით ქართველმა, რომლის მშობლიური ენა იყო ქართული, სარწმუნოება კი ქრისტიანული. ლათინურად და ბერძნულად „ლეონი“ ნიშნავს „ლომს“. შემდეგ აფხაზეთის პირველი მეფე იყო ლეონ II, ლეონ I-ის ძმისწული, შთამომავლობით ერისთავი, მის შემდეგ კი თეოდოს II (ლეონ II ვაჟი), დემეტრე (ლეონ II ვაჟი) ერისთავები. 861 წელს აფხაზეთის მეფე ხდება იოვანე, მერე ადარნასე, მერე კი ბაგრატ I (სახელი ბაგრატი სპარსულად „ღვთის რჩეულს“ ნიშნავს). შემდეგ: კონსტანტინე (ბაგრატ I-ის ვაჟი), გიორგი (კონსტანტინეს ვაჟი), ლეონი (გიორგის ვაჟი) და ასე შემდეგ.

აფხაზეთის მეფეები მუდამ მხოლოდ ქართველები იყვნენ, დედაქალაქი კი იყო ქუთაისი, სახელმწიფო სამეტყველო ენა და დამწერლობა მხოლოდ ქართული, რელიგია - მხოლოდ ქრისტიანული, მართლმადიდებლური. იმხანად მეფეებს დიდებული და მნიშვნელობის შემცველი სახელები ერქვათ: ლეონი - „ლომი, ნადირთა მეფე“, გურგენი - მეგრულად და ლაზურად „ჭექა-ქუხილი“, ტიგრანი - სპარსულად „ვეფხვი“, ბაგრატი ...

აფხაზეთის ყველა მეფე იყო ქართველი.

აფხაზეთის მხარე ისტორიულად ქართული მხარეა, ქართველთა გარდა იქ ცხოვრობდნენ სხვა მცირერიცხოვანი ეთნოსები - ბიზანტიელები, პონტოელი ბერძნები, თურქები, სპარსელები, აზერები (აზერბაიჯანელები) და სხვა მცირე კავკასიელი ტომები. ეთნოსს სახელად „აფსუა“ არავინ იცნობდა. სიტყვა „აფსუა“ პონტოურ ბერძნულად ნიშნავს „უსულოს“. ასო „ა“ ბერძნულად უარყოფას ნიშნავს, ხოლო „ფსია“ – „ფსუა“ ნიშნავს სულს, ცნობიერებას, ამ სიტყვისგან წარმოიშვა მეცნიერების დარგების „ფსიქოლოგიის“, „ფსიქიატრიის“ სახელწოდებანი. ქალაქ სოხუმის უძველესი სახელწოდება მომდინარეობს მეგრული სიტყვისგან „აკუჯიხა“.

„აკუ“ მეგრულად ნიშნავს „ზღვას“, „ჯიხა“ – „ციხესიმაგრეს“. სიტყვა „სოხუმი“ მეგრული წარმოშობისაა: „თევზი“ მეგრულად არის „ცხუმი“.

ქალაქის სახელწოდება „სოხუმი“ XIII საუკუნის დამლევს წარმოიშვა. ბერძნები ადრე მას „დიოსკურიას“ უწოდებდნენ, თურქები - „სოხუმ-კალეს“, სპარსელები „ბაგრატ- კალეს“, ქართველები „ცხუმს“.

მაგრამ ისტორიაში არასდროს ჰქონია ქალაქს სახელწოდება „აფსუას“ ენაზე. მათ ენაზე ამ შესანიშნავ ადგილს XIII საუკუნიდან დღემდე ეწოდება „აკუა“ – პირველი ნაწილი ძველი მეგრული სახელწოდებისა „აკუჯიხა“.

არსებობს ათასობით ისტორიული წყარო: სიტყვა „აფხაზეთი“ ეს ძირძველი ქართული სიტყვაა და ნიშნავს დასავლეთ საქართველოს და შავიზღვისპირეთის ვრცელ ტერიტორიაზე ქართული ეთნოსის და არა „აფსუას“ ტომის განსახლების ადგილს. ჯერ კიდევ ძველი წელთაღრიცხვის II ათასწლეულიდან დასავლეთ ამიერკავკასიაში სჭარბობს ქართველური ეთნოსი. ამ მოსაზრებას განამტკიცებს კოლხეთში არგონავტების ჩამოსვლის შესახებ ბერძნული მითოლოგიის მონაცემები და ბერძნული წერილობითი წყაროები (სტრაბონი, ჰეკატეოს მილეთელი, სკილაქს კარიანდელი, სტრაბონი), რომლებშიც მითითებულია, რომ კოლხეთის სამეფო მოიცავდა დასავლეთ საქართველოს მთელ დაბლობს, სადაც ძირითადი ეთნოსი იყო ქართული.

მხოლოდ ჩვენი წელთაღრიცხვის I-II საუკუნეებში ბერძნულ წერილობით წყაროებში ერთი სტრიქონით მოიხსენიება ლაზიკის („აფხაზეთის“) ჩრდილოეთით მცხოვრები მცირე ტომები - აფსილები და აბაზგები.

უნდა აღინიშნოს, რომ შუა საუკუნეების რუსული და ევროპული მატიანეები მიუთითებენ, რომ იბერები (ქართველები) და აფხაზები (ქართველები) ერთი ხალხია, ერთი დამწერლობის და ერთი კულტურის მქონე. ამ მოსაზრებას განამტკიცებს პლინიუსის, არიანე ფლავიუსის, ჟან შარდენის, არქანჯელო ლამბერტის, ევლია ჩელების ისტორიული კვლევითი მასალები.

ცხუმელი მქადაგებელი პიეტრო გერალდი 1330 წელს მოქალაქეებისადმი მიწერილ წერილში ჩამოთვლის ქალაქის მცხოვრებთ: ქართველებს, ბერძნებს, მუსლიმანებს და ებრაელებს.

ვატიკანის XV საუკუნის რუკაზე მდინარე კელასურის შესართავთან (ცხუმის გარეუბანი) მითითებულია პუნქტი „პორტო მიგრელო“, ხოლო ქალაქ გუდაუთის რაიონში პორტი „კავო დე ბუქსო“.

ცნობილი თურქი გეოგრაფი და ისტორიკოსი ევლია ჩელები წერდა, რომ „აფსუას“ ტომი „არ იცნობს ყურანს და საერთოდ არ აქვს არანაირი რელიგია“ და დამწერლობა.

რა თქმა უნდა, როგორც ძველი, ისე ახალი წელთაღრიცხვის სხვადასხვა ისტორიულ ეპოქებში იბერიის (საქართველოს) ვრცელ ტერიტორიაზე ხდებოდა ტომების გადასახლება, მაგრამ ისინი იმდენად მცირერიცხოვანნი იყვნენ, რომ ქვეყნის ისტორიაში კულტურული კვალი არ დაუტოვებიათ.

XVIII საუკუნიდან აფსუას ტომები (რომლებიც XVII-XVIII საუკუნეებამდე მდინარე ყუბანის კალაპოტის გასწვრივ მთიან რაიონებში ცხოვრობდნენ), აბაზგები (ჩერქეზულ-ადიღეური ტომები), სხვა ჩრდილოკავკასიელი მთიელები მცირე ჯგუფებად სახლდებიან ამ რაიონებში, რაც ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთის იმპერიასთან შეერთების შესახებ ქართველ და რუს მეფეთა შორის პირველი სახელმწიფოთაშორისი მოლაპარაკებების გამოძახილია.

XVI საუკუნის დამდეგიდან სპარსელები და თურქები კავკასიელ ტომებს უწოდებენ „აბაზას“, რაც სპარსულად „სპილენძის მონეტას“ ნიშნავს. სპარსელი ისტორიკოსების კომენტარებში ეს სიტყვა „იაფი მუშახელის“ მნიშვნელობითაც გამოიყენებოდა.

1783 წელს საქართველოსა და რუსეთს შორის დაიდო გეორგიევსკის ტრაქტატი - საქართველოს საზღვარი კავკასიის ქედზე გადის. საქართველოს შეერთების შემდეგ, სახელმწიფოს სახელწოდების „საქართველოს“ ამოძირკვის მიზნით, რუსეთი მის ტერიტორიას ტიფლისისა და ქუთაისის გუბერნიებად ჰყოფს. შიდა ქართლის პროვინცია (ქართლი აღმოსავლეთ საქართველოა, აფხაზეთი - დასავლეთ საქართველო) შედის თბილისის გუბერნიაში, ხოლო აფხაზეთი - ქუთაისის გუბერნიის სოხუმის სამხედრო ოლქში. ქუთაისი აფხაზ მეფეთა ისტორიული სატახტო ქალაქი იყო.

ისმის კითხვა: რატომ უწოდებთ თქვენ, ქართველები „აფსუას“ მცირე უცხო ეთნოსს აფხაზებს? ამით თქვენ შეურაცხყოფთ თქვენს წინაპრებს, ბილწავთ საკუთარ ისტორიას, აკნინებთ და სახელს უტეხავთ თქვენს მრავალრიცხოვან ეთნოსს. აფხაზები ეს თქვენ ხართ, ქართველები - მეგრელები, ლაზები, იმერლები, გურულები, კოლხები, იბერები და ასე შემდეგ, ხოლო „აფსუები“ ეს მოსული მცირერიცხოვანი ტომია, რომელიც კავკასიის მთებიდან ჩამოვიდა და დაფუძნდა ამ მიწაზე XIX საუკუნის დამდეგს რუსეთ-კავკასიის ომის დროს, რომელიც გენერალმა ერმოლოვმა დაასრულა. იმხანად ისლამის მიმდევარი ათასობით კავკასიელი მთიელი გადასახლდა თურქეთში, ხოლო ისინი, ვინც ეს ვერ მოახერხა - ადიღელები, აბაზგები, ჩერქეზები, ყაბარდოელები, ბალყარები და ჩრდილოეთ კავკასიის სხვა ტომები შავი ზღვის სანაპიროზე დამკვიდრდნენ - ოჩამჩირიდან ანაპამდე. 1917 წლის რევოლუციამდე მათი განსახლების ადგილს ეწოდებოდა ქუთაისის გუბერნიის სოხუმის სამხედრო ოლქი. ძალაუფლების სათავეში მოსულმა ბოლშევიკებმა ამ რეგიონს შეუცვალეს სახელი, რომელსაც საფუძვლად დაედო ადგილის ისტორიული სახელწოდება - აფხაზეთი. ამ მომენტიდან ქართული ტოპონიმი „აფხაზეთი“, როგორც რეგიონის აღმნიშვნელი საკუთარი სახელი, დამკვიდრდა და დღემდე არსებობს, ხოლო ამ ტერიტორიაზე მცხოვრებ ყველა მეორე და მესამე თაობის ახალმოსახლეს ეწოდა ეთნონიმი „აფხაზი“. ახალი სახელწოდებით გაერთიანებულ მცირე ეროვნებათა რაოდენობრივი შემადგენლობა არასდროს აღემატებოდა 30-35 ათას კაცს. არადა, „აფხაზეთის“ საერთო მოსახლეობა დაახლოებით ხუთასი ათასს შეადგენდა. ბევრი მიეკედლა ამ ახალ ერთობას, რათა მოეხდინა თავისი სამოქალაქო სტატუსის ლეგალიზება, ელიტური ერის წარმომადგენელი გამხდარიყო და სოციალური პრეფერენციები მიეღო.

კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რომ „აფხაზი“ ეს ეროვნება კი არ არის, არამედ ეთნონიმია.

„აფსუების“ (ეთნონიმ „აფხაზის“ მიმთვისებელი სხვა ეროვნებების) ენაზე წყლის ძუძუმწოვართა და თევზების სახეობათა - დელფინის, კალმახის, სტავრიდის, კამბალის, ხონთქარას (ბარაბული) აღმნიშვნელი ერთი სიტყვაც კი არ არსებობს. მათ აქვთ ერთი სიტყვა «арыба»“. და საერთოდაც, „აფსუების“ ენა მეტად ღარიბი და უმნიშვნელოა თავისი მოცულობით, მასში ბევრი ნასესხები სიტყვაა მეგრული და რუსული ენებიდან. ქართული ენა კი ეს უძველესი და სილამაზით მდიდარი ენაა, ეს მეცნიერების, კულტურის, პოეზიისა და ლიტერატურის ენაა. ქართული ენა ოდითგანვე ღვთისმსახურების ენაა ამ მიწაზე. ეკლესია ჯერ კიდევ IX საუკუნეში გამოეყო ბიზანტიის ეპარქიას და აფხაზეთის კი არა, სრულიად საქართველოს ეკლესია გახდა.

ქართული კულტურის უძველესი ცენტრი და სატახტო ქალაქი იყო ქართული ქალაქი ქუთაისი. „აფსუები“ არასდროს ყოფილან ქრისტიანები და კულტურის, არქიტექტურის, დამწერლობის არანაირი ძეგლი არ შეუქმნიათ.

სულ ცოტა ხნის წინანდელ მაგალითს მოგიყვანთ: ბოლო ოცი-ოცდაათი წელია აღშფოთებას გამოხატავდნენ, სასამართლო დავას აწარმოებდნენ ევროპულ სასამართლოებში, ამტკიცებდნენ, რომ ქვეყანა მაკედონიას არ აქვს უფლება ეს სახელი ეწოდებოდეს. მაკედონელები ეს ისტორიულად ბერძნული ეთნოსია და არა სლავური. და ნაწილობრივ მიაღწიეს კიდეც თავისას - მაკედონიას ჩრდილოეთ მაკედონია ეწოდა.

თანამედროვე „დამოუკიდებელ აფხაზეთს“ არც ისტორიული, არც იურიდიული უფლება არ აქვს სხვისი ისტორიული სახელი ჰქონდეს. აფხაზები ეს ქართული ეთნოსია ამ მხარეს კი

უნდა ერქვას „დროებითი აფსუა“. ამ ეთნოსის წარმომადგენლები ისტორიულად თავს „აფსუებს“ უწოდებენ, თავიანთ ქვეყანას კი „აფსნის“ და არა „აფხაზეთს“. საქართველოს პარლამენტარებს ვთავაზობ, განიხილონ და დაამტკიცონ ამ ტერიტორიის ოფიციალურ სახელწოდებად „დროებითი აფსუა“ და არა აფხაზეთი.

„აფხაზი“ ხალხი ეს გამოგონილი ხალხია, მეფის რუსეთის ქუთაისის გუბერნიის სოხუმის ოლქში ბოლშევიკების დამკვიდრებული.

თქვენ, ქართველები რატომ იჩენთ ასეთ სასტიკ გულგრილობას საკუთარი ისტორიისადმი და წინაპართა ხსოვნისადმი? რატომ დაუშვით უცხო ხალხისთვის „აფსუებისთვის“ აფხაზები ეწოდებინათ და კვლავაც ასე უწოდებთ, ხოლო ომით წართმეულ თქვენს ისტორიულ ტერიტორიებს, საიდანაც იარაღის ძალით გამოდევნეს ასიათასობით ქართველი, ათიათასობით კი დახოცეს და დახვრიტეს, - აფხაზეთს!

რატომ არ აღშფოთდებით, რატომ არ მოითხოვთ, რატომ არ ჩივით იმის გამო, რომ „აფსუას“ ხალხის ახალი დამწერლობა, რომელიც მხოლოდ 1954 წელს შექმნა ქართული გვარის კაცმა გულიამ (ქართულად „გული“ ნიშნავს «сердце»), აფხაზებს მიაწერეს? 1954 წელს გაჩნდა „აფსუების“ პირველი სკოლა და მას „აფხაზური“ უწოდეს. ბოლშევიკებმაც შეგნებულად ბევრი შეცდომა დაუშვეს ქართველი ხალხის ისტორიაში ეთნიკური კუთვნილების დაცვის საკითხში. ახლად მოვლენილ დამწერლობას უნდა ეწოდებოდეს „აფსუა“ და არავითარ შემთხვევაში „აფხაზური“. ეს ფაქტი ხომ კულტურული დრამაა და ფსიქოლოგიური დივერსიაა ქართველი ხალხის წინააღმდეგ. აფხაზები, ანუ ქართველები თავიანთი დამწერლობით IV საუკუნიდან, ხოლო მეორე ვერსიით ძველი წელთაღრიცხვის III საუკუნიდან სარგებლობენ.

თანამედროვე ეტაპზე ისტორიულ და სამართლებრივ დიალოგებში საქართველო არ ავლენს ჯეროვან თანამიმდევრულობას, მკაცრად არ იცავს თავის ისტორიულ ტოპონიმურ, ჰიდრონიმურ, ეთნოტოპონიმურ საკუთარ სახელწოდებებს!

კოლხეთი, ადრე ბერძნების მიერ კოლონიზებული, რომელიც დასავლეთ საქართველოს მთელ დაბლობს მოიცავს, ასევე მუდამ ქართველ ხალხთან იყო დაკავშირებული და არა „აფსუებთან“. იმ ეპოქის არც ერთი დოკუმენტი არ არსებობს, საპირისპიროს რომ ამტკიცებდეს.

ბერძნებმა დიდი გავლენა მოახდინეს ქართველი ერის - მეგრელების, სვანების, გურულების, იმერლების, აჭარლების, ლაზების და სხვათა ცივილიზაციის ჩამოყალიბებასა და განვითარებაზე. ჩვენს წელთაღრიცხვამდე VII საუკუნეში ფაზისად (ბერძნულად „მარად ცოცხალს“ ნიშნავს) წოდებულ კოლხეთის პორტს, ძველი წელთაღრიცხვის V საუკუნეში სახელი გადაერქვა და დღემდე ფოთი ეწოდება, რაც ბერძნულად ნიშნავს პონტოს - შავ ზღვას. XI საუკუნემდე საღვთისმეტყველო წიგნები ბერძნულ და ქართულ ენებზე იყო, შემდგომ - მხოლოდ ქართულ ენაზე. ღვთისმსახურება დღესაც ძველ ქართულ ენაზე წარმოებს. ყველა ქრისტიანთა წმინდა წერილი - ახალი აღთქმის 27 წიგნი დაწერილია როგორც ბერძნულ, ასევე ქართულ ენაზე.

ვიკიპედიაში აფხაზეთის შესახებ ინფორმაცია ხშირად ფეიკია, მოგონილია. ფეიკების ერთ-ერთი ცნობილი შემთხზველი გახლავთ რუსი კონსტანტინე ზატულინი და სხვა „ისტორიკოსები და განმანათლებლები“: ასლან ავიძბა, ერმილე აჯინჯალი, შალვა ინალ-იფა, გივი სმირი, ომარ მაანი, რომლებიც სამეცნიერო და ისტორიულ წიგნებში, ჟურნალებში, ინტერვიუებში ყალბ ფაქტებს ავრცელებენ. მათი განცხადებები ეს ბოდვაა, ეშმაკისეული და თავხედური მტკნარი სიცრუეა. ხოლო ე. აჯინჯალის ციტატა „...აფხაზეთში სახელმწიფოებრიობა შესაძლოა იესო ქრისტეს დაბადების პირველივე საუკუნეებში ჩამოყალიბდა...“ - ისტორიული მოსაზრება კი არა, სრული ნაყალბევია, ფეიკია. ეს შეიძლება სიმართლე იყოს მხოლოდ აფხაზეთთან მიმართებაში და არა აფსნისთან (აფსუა, აფხაზეთი), ის კი აფსუას გულისხმობს.

რატომ არ უპირისპირდებით თქვენი ეროვნული და საერთაშორისო იურიდიული ინსტანციებით ამ მავნებელ მთხზველებს, რომლებიც თავიანთი ყალბი ისტორიული ვერსიებით ხელს უწყობენ დანაშაულს ქართველი ხალხისა და მისი კულტურის წინააღმდეგ? რატომ არ მოაწყვეთ დამოუკიდებელი სამართლიანი გარჩევა და სასამართლო დევნა არ წამოიწყეთ ფაქტების დამახინჯების, ქართველი ხალხის მიმართ წინასწარ განზრახული პოლიტიკური ცილისწამებისა და გენოციდის ბრალდებით?

ბევრ აფხაზს (ნამდვილ ქართველს) ხოცავდნენ ერთადერთი მიზეზით: „თუ ქართველი ხარ, მაშ, მიიღე შუბლში ტყვია!“ ათიათასობით ადამიანი დახოცეს - მკვლელების ცნობიერებას სეპარატისტების მაამებელ ყალბ კომენტატორთა სიცრუე აყალიბებდა.

1992-1994 წლებში ქართველთა (აფხაზთა) გენოციდის საზარელი ფაქტი მსოფლიოს საზოგადოებრივი ცნობიერებისთვის საკმარისად არ არის ცნობილი და სუსტადაა დეტალურად გაშუქებული. ეს თქვენი ბრალია, საქართველოს საჯარო პირნო! ეროვნული ისტორიის განმავლობაში უძველესი დროიდან მეზობელ ქვეყნებს - რომაელებს, ბიზანტიელებს, არაბებს, სპარსელებს, თურქებს და სხვებს არ-აერთგზის დაუპყრიათ თქვენი მიწები, რათა დაემონებინათ ქართველი ხალხი, მაგრამ ახერხებდით თქვენი ტერიტორიების და კულტურის აღდგენას. ამიტომაც შეგარქვეს რამდენიმე ათასი წლის წინათ სპარსელებმა „გურჯები“, თქვენს ქვეყანას კი „გურჯისტანი“ უწოდეს, რაც სპარსულად „მგლების ქვეყანას“ ნიშნავს. ახალი ერის დაწყებიდანვე თქვენი ხალხი მსოფლიოში ცნობილია ენერგიული ცივილიზაციური წინსვლით, საქართველო მუდამ იყო სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის მდიდარი კულტურის არსენალი.

დიდი იმედით ველი, რომ უახლოეს ხანში დაიცავთ და ქართველ ხალხს დაუბრუნებთ თავის ადრინდელ ტერიტორიებს.

„დროებითი აფსუას“ დამოუკიდებლობისთვის 1992-1993 წლების საომარ მოქმედებებში დაახლოებით 3000 უცხოელი მოხალისე მონაწილეობდა. უცნობი თვითმფრინავები ბომბავდნენ, „გრადები“ ესროდნენ, ტანკები ანგრევდნენ ქალაქ სოხუმს და „აფხაზეთის“ სხვა დასახლებულ პუნქტებს, რომ ქართველები გამოედევნათ. 300 ათასზე მეტი მოქალაქე სიკვდილის შიშით იძულებული გახდა მიეტოვებინა მშობლიური კერა, 40 ათასზე მეტი დახვრიტეს და დახოცეს.

ამასთან 247 სამხედრო მოსამსახურე დაჯილდოვდა ლეონის ორდენით (1992 წელს შემოიღეს განსაკუთრებული სიმამაცის, გმირობის, წარმატებული საბრძოლო მოქმედებისათვის). რამდენად უნდა ყოფილიყო გახრწნილი და დამახინჯებული ამ ფეიკური იდეების ავტორთა ცნობიერება, რომ ქართველი ხალხის მკვლელობისათვის ქართველივე მეფის ლეონის სახელობის ორდენი შემოეღოთ ჯილდოდ.

„აფსუების“ ტომის ისტორიაში არაფერი არ არის: არც კულტურა, არც ენა, არც ძეგლები - მხოლოდ ყურით მოთრეული ამბიციები. საყოველთაოდ ცნობილია, რომ „აფსუები“ არ აღიარებდნენ ქრიატიანობას და შორს იყვნენ მართლმადიდებლებისთვის კანონიკური წმინდა წიგნებისგან, ასევე ქრიატიანული მოძღვრების სხვა წყაროებისგან. ადრე, საუკუნეთა განმავლობაში „დროებითი აფსუას“ ტერიტორიაზე მოქმედებდა 140-ზე მეტი ტაძარი და მონასტერი, რომლებიც გამოირჩეოდა საქართველოსთვის დამახასიათებელი არქიტექტურული სტილით, აფხაზეთის სამეფოს არსებობის პერიოდში ჩამოყალიბებული დეკორითა და ფასადური პლასტიკით. ახლა მხოლოდ 15 ტაძარი და 2 მონასტერი მოქმედებს. ქართულ ქრისტიანულ ხუროთმოძღვრებას ეროვნული თავისებურება ახასიათებს. ყველა ტაძარი და ეკლესია ქართველი ოსტატების აგებულია და დუბლირებულია ქვეყნის სხვა რეგიონებში.

მე და საქართველოს მრავალი სხვა გულშემატკივარი გთხოვთ დაიცვათ ევროპის უძველესი სახელმწიფო. VI-X საუკუნეების ევროპაში სულ ოთხი სახელმწიფო არსებობდა: გერმანელი ერის წმინდა რომის იმპერია (დედაქალაქი ახენი), ინგლისის სამეფო (დედაქალაქი ვინჩესტერი), რუსეთი (დედაქალაქი კიევი) და აფხაზეთი (დედაქალაქი ქუთაისი, მხოლოდ ქართული ეთნოსი, სახელმწიფო ენა და დამწერლობა - ქართული, რელიგია - ქრიატიანობა (მართლმადიდებლობა).

ჩვენ ყველა, ვისაც გვიყვარს საქართველო, მისი ხალხი და კულტურა, თქვენგან აქტიურ მოქმედებას ველით!

თქვენ კი, „აფსუა“ ხალხო, თქვენი ჯიუტი და აშკარა მცდელობა, მიიწეროთ საქართველოს მაღალი ცივილიზაციური კულტურა, სხვადასხვა ფრაგმენტებშია გამოხატული.

„აფსუას“ ეთნოსი სარგებლობს სხვისი მემკვიდრეობით და მონაპოვრებით, გვარებიც კი მიითვისეს, რადგან თავისი არ ჰქონდათ. თქვენს ტომს საკუთარი სახელები არ ჰქონია. ისტორიული ფესვების რეალობას ეტიმოლოგია ადასტურებს.

თანამედროვე „დროებითი აფსუას“ - ისტორიულად ქართული „აფხაზეთის“ - მოქალაქეთა 80 პროცენტზე მეტმა მიისაკუთრა ნაცნობების, მეზობლების და ყველა გარშემო მცხოვრების წმინდა ქართული სახელები და გვარები. ეს აქცია ეხმარებოდა მათ საკუთარი თავის ლეგალიზაციაში, ახალი წარმონაქმნის - ბოლშევიკური აფხაზეთის სოციალურ ლანდშაფტში თავიანთი ხალხის ინტეგრაციაში. თქვენ სრულიად მოურიდებლად მიითვისეთ ქართული გვარები, თუმცა თავს ისევ „აფსუებს“ უწოდებთ.

მოგიყვანთ რამდენიმე ასეთ გვარს: კაკალია (მეგრული „კაკალი“), ლომია (ქართული „ლომი“), მიმინოშვილი (ქართული „მიმინო“), თოფურია (მეგრული „თოფური“, ქართულად ნიშნავს „თაფლს“), ბედია (ქართული „ბედი“), ჯიქია (ქართული „ჯიქი“), ქობალია (მეგრული „ქობალი“,ქართულად ნიშნავს „პურს“), ძიძარია (ქართული „ძიძა“), ცაავა (ქართული „ცა“ და „ავა“), მელია (ქართული „მელა“), ღვინჯილია (მეგრული „ულრანი ტყე“), ზარანდია (მეგრული „ზარი“ და „დია“, ქართულად „დიასახლისი“), ჩემია (ქართული „ჩემი“).

„აფსუების“ 630 გვარიდან 500-ზე მეტი ასეთი გვარია, მათი საკუთარი გვარები კი 100- ზე ნაკლებია. 500-ზე მეტ გვარს ქართული ძირი აქვს.

არაღიარებული რესპუბლიკის მთავრობისა და პრეზიდენტის ადმინისტრაციის წევრებსაც კი ქართული გვარები აქვთ. და ამასთან ქართველებს მტრებს უწოდებთ! თქვენ გადამთიელების და ომის დახმარებით ისტორიული მიწებიდან, მამაპაპისეული სახლებიდან გამოყარეთ ძირძველი მოსახლეობა, ნაწილი კი დახვრიტეთ. მაგრამ აფხაზეთის მთელი მიწა-წყლის მრავალათასწლოვანმა ისტორიამ შემოინახა ქართული ტოპონიმები - ჰიდრონიმები, ოიკონიმები, ორონიმები.

„აფსნის“ მთავრობის ზოგიერთ წევრთა გვარები: ანქვაბი (ქართული „ქვაბი“), ბჟანია („ბჟა“ მეგრულად „მზეს“ ნიშნავს), კვიცინია (ქართული „კვიცი“), ქაჯაია (ქართული „ქაჯი“), ჯინჯოლია („ჯინჯი“ მეგრულად „ფესვს“ ნიშნავს), ბებია (ქართული „ბებია“), გაბლია (მეგრულად „გავლენას“ ნიშნავს), გუნია (მეგრულად ნიშნავს „ჰგავს“).

აკადემიური მეცნიერების ცნებების საყოველთაო მნიშვნელობა:

ტომი. ეთნოსის ყველაზე ადრეული ფორმა. მის წარმოქმნას წინ უძღოდა ადამიანთა გაერთიანება ოჯახებად, საგვარეულოებად და კლანებად.

ეროვნება. ეთნოსის შედარებით განვითარებული ფორმა, რომელმაც ჩაანაცვლა ტომი. ტომისგან განსხვავდება იმით, რომ მოიცავს ადამიანთა დიდ რაოდენობას; მისი წარმოქმნა უკავშირდება სახელმწიფოს წარმოქმნას, რომელიც ერთ მთლიანობად აერთიანებს დიდ ტერიტორიებს; ადამიანთა გაერთიანებას საფუძვლად უდევს არა მარტო ნათესაურ-გვაროვნული კავშირები, არამედ ენობრივი, ტერიტორიული, ეკონომიკური და კულტურული ნიშნებიც.

ერი. ეთნოსის ტიპი, ადამიანთა ყველაზე მრავალრიცხოვანი ჯგუფი, რომელიც გაერთიანებულია საერთო ინსტიტუტებითა და ფასეულობებით. ერის ნიშნებია: ერთიანი ტერიტორია, ერთიანი ენა; საერთო ეკონომიკური სისტემა; ერთიანი ეროვნული ხასიათი, სოლიდარობის გრძნობა.

P.S. ამ მიმართვაში მოცემულ ჩემს მოსაზრებებში ყველაზე ნაკლებად ქართული წყაროები დავიმოწმე და არგუმენტაციისა და დასკვნებისთვის რომაული, ბერძნული, ევროპული, თურქული და სპარსული მასალები გამოვიყენე.

რევაზ მიშველაძე

(დასაწყისი „მწერლის გაზეთი“ №3,4,5,6)

მემუარები
როგორ ირწეოდა ხომალდი

26/VIII 89

სანდრო მამასახლისი და მე დამსვენებელთა საკმაოდ დიდი გარემოცვის თანდასწრებით შევასკდით ერთმანეთს კამათში.

მე ვამბობ, რუსეთს ჯერ ნუ ვებრძვით, მთავარია, ცოტა მოვძლიერდეთ დემოგრაფიულად და ეკონომიურად. მთავარია, იმპერიის ნანგრევებში არ მოვყვეთ. დრო უნდა ვიხელთოთ.

სანდრო ამბობს: ჩვენ ზედმეტად ინტერნაციონალისტები ვართ, ჩვენი მთავარი ამოცანაა, რუსეთს ახლავე გამოვეყოთ.

ღმერთმა განსაჯოს, ვინაა მართალი.

27/VIII 89

შევხვდი საქ. სსრ შინაგან საქმეთა მინისტრს შოთა გორგოძეს.

არ ვაპირებდი იმ ინციდენტის მერე მასთან საუბარს, მაგრამ თვითონ გამომელაპარაკა.

ზრდილი, პეწიანი იმერელია.

შევრიგდეთო, მე და იმ პოლკოვნიკმა მაშინ რომ გაწყენინეთ, ფსიხოზის მდგომარეობაში ვიყავით ცხრა აპრილის შემდეგ და გვეპატიებაო.

დიდხანს ვისაუბრეთ.

რატომ აქამდე არ არიან დაჭერილი დამნაშავეები და მათ შორის ოზგანი-მეთქი.

14 აფსუა-მკვლელი დაპატიმრებულია, ოზგანი მოხსნილია და მალე დავაპატიმრებთო.

28/VIII 89

სამწუხარო ამბავი შევიტყვე; ფანჯიკიძისთვის ხმა არ მიუციათ, დეპუტატად რომ გასულიყო. აურჩევიათ ნ. ნათაძე.

ეს ჩვენი, საერთოდ, მწერლობის დამარცხებაა. ჩვენ არ მოგვცეს ხმა.

მერე და რატომ? განა ფანჯიკიძემ ერთ-ერთმა პირველმა არ დარეკა ზარები საქართველოს გასაღვიძებლად?

დიდ პატივს ვცემ ნათაძეს, მაგრამ ნათაძეს თავისი ადგილი ექნებოდა პარლამენტში და ფანჯიკიძეს — თავისი. ორივე უნდა აერჩიათ.

„პრავდაში“ ბალტიისპირეთია სასტიკად გაკრიტიკებული.

ეს ცუდი ნიშანია. იმპერია შეტევაზე გადმოდის.

ხვალ თბილისში უნდა წავიდე.

29/VIII 89

აჭარაში მოგზაურობა დავამთავრე და თბილისისაკენ გამოვემგზავრე.

რა გავაკეთე?

ვიღაც-ვიღაცეები გამოვაღვიძე, ვიღაც-ვიღაცეებს შემოვუძახე. რაც მთავარია, დავრწმუნდი, რომ აჭარა სწორ გზას ადგას. მიხარია.

გზად ქუთაისში გამოვიარე.

ჩემს ქუთაისში.

ვნახე თემურ ლანჩავა, დავით კვიცარიძე, ზურაბ კუხიანიძე...

დიდხანს ვისაუბრეთ ჩვენს საერთო სატკივარზე.

მივესალმები გაზეთ „ლიტ. ქუთაისის“ გამოცემას.

გზად დ. კვიცარიძემ და თ. ლანჩავამ გამომაცილეს და დიდი პატივი მცეს.

30/VIII 89

როგორც მოველოდი, წამოვსულვარ თუ არა თბილისიდან, ჩემი რედაქციის თანამშრომელთაც გამოუკეტავთ კარები და გაკრეფილან.

მე-4 ნომერი უკვე ოცი დღის დაბეჭდილი უნდა ყოფილიყო, მაგრამ მორიგეებს ყველაფერი გაუკეთებიათ, რომ ჟურნალი არ გამოსულიყო.

გადაყოლილი ვარ რედაქციის მუშაკებზე, მაგრამ საქმე საქმეზე რომ მიდგეს, ყველა „ბრუტუსი“ აღმოჩნდება.

31/VIII 89

უნივერსიტეტის რამდენიმე პროფესორი შევხვდით ორჯონიკიძის რაიონის აღმასკომის თავმჯდომარეს — გივი კეკელიძეს.

სახლი, სადაც ვცხოვრობ, ერთი უეზოვო, მიგდებული, მიტოვებული სახლია. ჩვენ ვცხოვრობთ იქ, უნივერსიტეტის თანამშრომლები, უფულო და უპატრონო ხალხი.

ჩვენს გვერდით 9-ში მცხოვრებლებმა სახლს უზარმაზარი ლოჯიები მოაშენეს.

ჩვენც მოვინდომეთ ლოჯიების კი არა, უბრალო აივნების მოშენება საღამოობით სულის მოსათქმელად.

გივი კეკელიძემ, რასაკვირველია, უარი გვითხრა.

ვეძებო სამართალი? სად? ვისთან? ჩვენ ხომ უპატრონო და დაუცველი მოქალაქეები ვართ.

1/IX 89

მომიტანეს „კრიტიკის“ მე-4 ნომრის სასიგნალო.

მე რომ არ ჩამომესწრო, დღემდე დაბეჭდილი არ იქნებოდა.

კორექტურა ბევრია, მაგრამ ურიგო ნომერი არ არის.

მიშა ქვლივიძეს ვესაუბრე დიდხანს.

ნამდვილი პოეტი და გულუბრყვილო კაცია.

ნოველა „დიდი წითელი ბუშტი“ რომ მივუძღვენი, ძალზე გაეხარდა.

2/IX 89

შაბათია. აგარაკზე ვარ. ახალი ნოველების წიგნს ვამზადებ დასაბეჭდად. „განაჩენი“ უნდა დავარქვა. იგი, მართლაც, განაჩენი იქნება, ჩემი ფიქრით.

3/IX 89

მთელი დღე კვლავ წიგნზე ვმუშაობ.

ხვალ რუსთაველის საზოგადოების ყრილობაა. მიწვეული ვარ.

4/IX 89

გაიხსნა რუსთაველის საზოგადოების ყრილობა. პირველი სიტყვა თქვა აკაკი ბაქრაძემ.

დაიწყო წესდების დამტკიცების შესახებ მსჯელობა.

გამოვიდნენ ზვიად გამსახურდია, მარიკა ლორთქიფანიძე, რევაზ თაბუკაშვილი, ჯანო ჯანელიძე...

მეც გამოვედი: ყოველი მსგავსი საზოგადოების წესდება იმ პირის პატივისცემისთვისაცაა შექმნილი, ვის სახელსაც ატარებს-მეთქი.

თქვენ კი რუსთაველი დაგვიწყებიათ-მეთქი.

მართლაც, მთელს წესდებაში რუსთაველზე არაფერია ნათქვამი.

5/IX 89

რუსთაველის საზოგადოების ყრილობა უფრო გამძაფრდა.

წესდების დამტკიცების შემდეგ სხვადასხვა საკითხზე გაიმართა ბჭობა.

დღეს გამოვიდნენ — მარიკა ლორთქიფანიძე, ჩეჩენი — რომელმაც ქართველებისადმი დიდი სიყვარულით ილაპარაკა და დაგმო აფსუები. ე. ჯაველიძე, ითონიშვილი, ლიპარტელიანი (მიწათდატაცებაზე), ზვიად გამსახურდია, ჯანსუღ ჩარკვიანი, რეზო ჩხეიძე, აფხაზეთიდან ქართული სკოლის დირექტორი.

ცხარე, ეროვნული ლაპარაკია, მაგრამ მხოლოდ ლაპარაკი.

ვნახოთ, რა რეზოლუციას მიიღებს ყრილობა.

ესაა მთავარი.

6/IX 89

ყრილობა დღესაც გაგრძელდა.

აკაკი ბაქრაძემ თანათავმჯდომარედ თამაზ კვაჭანტირაძე დაასახელა.

დღეს კარგად გამოვიდნენ თედო ნინიძე, ინგუშეთის წარმომადგენლები, ზვიად გამსახურდია...

ოთხ საათზე მოულოდნელად მიხმეს ცეკაში.

დიდი იმედით წავედი. იქნებ დამადგა საშველი და „კრიტიკის“ რედაქტორობიდან მათავისუფლებენ-მეთქი, რაც ადრე არაერთგზის ვითხოვე.

გუმბარიძის მოსაცდელში ოცდაათამდე ცნობილი მწერალი, ხელოვანი და მეცნიერი იცდიდა.

როგორც გაირკვა, შევარდნაძეს უნდა შევხვედროდით.

ილაპარაკა იმპერიის მინისტრმა. ისე, როგორც ველოდით, თან გვაგრძნობინა, რომ საქართველო უყვარს, თან დაგვარწმუნა, რომ უბედური საქართველოსთვის ვერაფერ სასიკეთოს ვერ გააკეთებს.

საკმაოდ მკაცრად გავაკრიტიკეთ პოლიტბიუროს ხაზი ჭაბუა ამირეჯიბმა, ნოდარ ნათაძემ, ელდარ შენეგლაიამ, თამაზ შავგულიძემ, რეზო ჩხეიძემ, ჯანსუღმა, ლანა ღოღობერიძემ, მე...

პირდაპირ დავუსვი საკითხები, რატომ არ აუქმებთ არაკონსტიტუციურ ავტონომიებს, რატომ არ გინდათ აღიაროთ საქართველოს ანექსია, თქვენ ახლა თქვენი სამშობლოსთვის ბევრი რამის გაკეთება შეგიძლიათ, იქნებ დაგვეხმაროთ-მეთქი.

მაინც, უპირველესად რაში გსურთ დახმარებაო, მკითხა თავაზიანად.

იქნებ მიაღწიოთ ავტონომიების გაუქმებას, რადგანაც დამოუკიდებლობის მიღების დროს ეს ავტონომიები ბომბებად იქცევიან-მეთქი.

გაიღიმა. რუსეთმა საქართველოს რესპუბლიკა რომ გააუქმოს, რას იტყვითო.

ეს უსამართლობა იქნება და მთელი საქართველო აჯანყდება-მეთქი.

ჰოდა, ასე უყვართ აფხაზებს და ოსებს (აჭარაზე არაფერი თქვა) თავიანთი ავტონომიაო. საერთოდ, დამოუკიდებლობა რომ გინდათ, იფიქრეთ იმაზეც, შეუძლია თუ არა საქართველოს დამოუკიდებლად არსებობაო. იცით თუ არა თქვენ, რომ ამჟამად, რუსის პურს და კარაქს ჭამთო.

7/IX 89

უნივერსიტეტში კათედრის სხდომა ჩავატარე.

ვრცელი სიტყვა ვთქვი. აღარ შეიძლება-მეთქი ლექციების ძველებურად კითხვა. ამოვიღოთ-მეთქი პროგრამიდან ძველი თემები „საბჭოთა ლიტერატურისა“ და „კომუნისტის სახის შესახებ ლიტერატურაში“. უნდა ვიკითხოთ იმგვარი ლექციები, როგორც ეკადრება-მეთქი თანამედროვე საქართველოს მოძრაობას.

რაც შეიძლება დიდი სევდით ვილაპარაკოთ-მეთქი 1921 წლის 25 თებერვალზე.

მერე კათედრას გავაცანი შევარდნაძესთან შეხვედრის შედარებით სრული (რაც დამამახსოვრდა) ინფორმაცია.

8/IX 89

„ლიტ. საქართველოში“ დაიბეჭდა ჩემი ნოველა „მესაყვირე“.

დილიდანვე რეკვით ამიკლეს. ყველა მიხვდა, რომ კრება, რომელზეც ნოველაშია ლაპარაკი, არის გორბაჩოვის მიერ ჩატარებული საბჭოების დელეგატთა პირველი ყრილობა.

მკითხველს რას გამოაპარებ.

მართლაც, გულით დავცინე იმ მოჩვენებით დემოკრატიას, ჩვენში რომ სუფევს.

9/IX 89

კიევიდან რაულ ჩილაჩავა მესტუმრა მეუღლითურთ.

დიდხანს ვისაუბრეთ.

უნდა თბილისში დაბრუნება, მაგრამ საქართველოს ხელისუფლება არც ბინას აძლევს, არც სამსახურს.

10/IX 89

კვირაა.

მთელი დღეა ვმუშაობ „კრიტიკის“ პირველი ნომრის (1990) მოწინავეზე.

მინდა გავაანალიზო 1989 და ვუთხრა ქართველს, რა გვასწავლა ამ წელმა საგულისხმო და გასათვალისწინებელი.

11/IX 89

ამ დილით ტელევიზიამ მოსკოვიდან გადაცემაში („120 წუთი“) განაცხადა, ახალი წლიდან ფასებს მოვუმატებთ სურსათს და მრეწველობის ზოგიერთ ნაწარმსო.

უჭირს, უჭირს სოციალიზმს.

ნუთუ არ დადგა დრო, ერთხელ და სამუდამოდ უარი ვთქვათ მარქსიზმ-ლენინიზმზე?

12/IX 89

დღესაც ბევრმა დამირეკა „მესაყვირის“ გამო.

დილით ვახტანგ გოგუაძემ და ლევან ალექსიძემ (თსუ პრორექტორებმა) კათედრის გამგეების თათბირი ჩაატარეს.

სტუდენტები გაუგულგრილდნენ უნივერსიტეტსო.

ნეტა რა მიზეზითო?

გამოვედი და ჩამოვთვალე მიზეზები.

წვერები მოეზარდა ძალიან სწავლების ჩვენეულ სისტემას, ლექციების ფორმას და იმას, რასაც ვასწავლით — კომუნისტურ მეცნიერებას-მეთქი.

შეიშმუშნენ.

13/IX 89

ტელევიზიით „მოამბეში“ გამოვედი და ვთქვი, რომ გამოქვეყნებული კომუნისტური პარტიის პლათფორმა სამარცხვინოა. რომ იგი მხოლოდ იმპერიის, გარუსების წისქვილზე ასხამს წყალს.

ვთქვი, რომ მივიღეთ ქართული ენის სახელმწიფოებრიობის პროგრამა, მაგრამ რაკი ჩვენ დიდოსტატები ვართ ჩვენივე კანონების არშესრულებისა, არც ამ პროგრამას ვასრულებთ.

კვლავ რუსული წარწერები, კვლავ არაქართული საქმის წარმოება.

ქართველები არ ვთვლით თავს საერთო ეროვნული ლაშქრის წევრებად. ეროვნული ბრძოლა ვინმეს პრიორიტეტი სრულიადაც არ არის, მთელი ერის საქმეა-მეთქი.

სხვაც ბევრი რამ ვთქვი, მაგრამ წაუშლიათ.

14/IX 89

კოტე მახარაძემ მითხრა; ახლა, ოქტომბერში უნდა ვითამაშო შენი პიესა და, თუ კაცი ხარ, ერთხელ კიდევ გადახედე, ამ სამ თვეში ხომ არაფერი მოძველდაო.

წამოვიღე „გადასახედად“.

თეატრის ხალხზე სამუდამოდ გამიტყდა გული.

არასერიოზული, უპირო, ცანცარა ხალხია.

კიდეც იმიტომაა წინ ჩვენი თეატრის საქმე.

15/IX 89

როსტოვიდან ჩამოვიდა ლიტერატორი ბიბიკ ლ. თქვენი ყველა ნოველა მაქვს წაკითხული რუსულადო. ახლა რუსეთს თქვენზე დიდი მწერალი არა ჰყავსო.

გამეცინა. რა შუაშია რუსეთი-მეთქი. გაასწორა — საბჭოთა კავშირსო. ან საბჭოთა კავშირი რა შუაშია, მე ქართველი მწერალი ვარ-მეთქი.

ისე გამაბრაზა მისმა შესავალმა სიტყვამ, კინაღამ დამავიწყდა მასპინძლის მოვალეობა, მაგრამ მერე დავცხრი, როცა გამიმხილა, იქნებ ჩემი ლექსები ქართულად ვინმეს ათარგმნინოთო, ქათინაური რუსებმაც ისწავლეს.

დიდხანს ვისაუბრეთ.

ჩვენც იგივე გასაჭირი გვადგას, რაც თქვენაო.

თქვენ სსრკ-დან გასვლა გინდათ. რუსეთს კი — სოციალიზმიდანო.

ვერ წარმოიდგენთ, როგორ ჭირსო როსტოვში ცხოვრება.

თქვენთან კონსერვები მაინც იშოვებაო.

16/IX 89

დღეს შაბათია.

კოტესთვის ორშაბათს მისატან პიესას ვუკირკიტებ.

რაღაც ახალი აზრები გამიჩნდა.

სპექტაკლი მინდა იყოს და არა ქადაგება-მონოლოგი.

17/IX 89

გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნდა „საქართველოს ეროვნული განვითარების კონცეფცია“.

თუ ეს გულწრფელად მთავრობის აზრია და არ არის „სატყუარა“ ხალხის აბმოხების მისაძინებლად, მშვენიერი საქმეა.

ეჭვის თვალით შევცქერი კომუნისტების ზრუნვას ქვეყნისთვის და ერებისთვის.

არ მჯერა!

18/IX 89

გიგა ლორთქიფანიძეს 9 აპრილზე პიესა მივუტანე. ჩანს ასე მოეწონა, რადგანაც რებუსური აზრი შემომთავაზა, სურვილი მაქვს ოდესმე შენი სცენარის მიხედვით გადავიღო მხატვრულ-დოკუმენტური ფილმი 9 აპრილზეო.

უარი არ მითქვამს. თუმცა დარწმუნებული ვარ, უსახსრობის გამო ეს სურვილი ჩქარა გაუნელდება.

„კრიტიკის“ გამოსვლა გვიანდება.

არ შეიძლება ჩემი რედაქტორობა, სიმკაცრეს ვერ ვიჩენ.

19/IX 89

თათია ხაინდრავა მესტუმრა რედაქციაში და თავისი აღსარება გამანდო. 60 წლის ისე მოვიყარე, რომ თეატრში არ შემიშვეს, როლი არ მღირსებიაო. ჩემსავით მსახიობთა მთელი თაობა „მოკლეს“, გაზრდის საშუალება არ მისცეს თეატრალურმა მაფიებმაო.

როგორ დაუტანჯავთ ეს ნიჭიერი ქალი.

დავწერე ყველაფერი, რაც თქვი და დავბეჭდავ-მეთქი.

მართლაც, უნდა ითქვას ამაზე, რომ სხვებს არ არგუნონ მკაცრი ბედი.

„მიეცით ნიჭსა გზა ფართო“...

20/IX 89

მედეა კახიძე, ლევან სანიკიძე და მე ვიყავით დუშეთში.

შეხვედრა გვქონდა.

კარგად ჩატარდა.

ვთქვი, მოსკოვიდან სიკეთეს ნუ ველოდებით, ჩვენვე უნდა მოვიპოვოთ თავისუფლება, უნდა წავართვათ (ან მოვპაროთ) რუსეთს თავისუფლება, ნელ-ნელა უნდა გამოვაცალოთ მძინარეს სასთუმალი და არა დაფ-ღრიალით გავაღვიძოთ-მეთქი კენტავრი.

21/IX 89

მოსკოვში ჩატარდა ცეკას პლენუმი.

გორბაჩოვი თითის ქნევით დაემუქრა მთელს ეროვნულ მოძრაობას.

სსრკ-დან გამოყოფაზე არც იფიქროთ, თორემ გიჩვენებთ სეირსო.

მის მოხსენებაში და შემდეგ რეზოლუციაში არც ერთი საკითხი არ გადაწყდა ხალხის, განსაკუთრებით, მცირე ერების, სასარგებლოდ.

ყველაფერი ძველებურად დარჩა.

გააფეტიშა რუსი. მისცა დიდმპყრობლის უფლებები.

მობრუნდა „უფროსი ძმის“ ინსტიტუტი.

უნივერსიტეტში დღეს კათედრის სხდომა ჩავატარე და ვთქვი საჯაროდ:

ახლა დაიწყება ეროვნული მოძრაობის დევნის პერიოდი. იქნებ რეპრესიებიც მოჰყვეს. არ შეგვეშინდეს. უმწიფარ პოლიტიკანებს ჩვენ უნდა გამოვართვათ დროშა და წარვუძღვეთ ჩვენს ტანჯულ ხალხს-მეთქი.

22/IX 89

მწერალთა კაშვირში შევიტყვე, რომ იტალიაში დარჩა და ამერიკის საელჩოს მოქალაქეობა სთხოვა ვლადიმერ ალფენიძემ.

ვალოდიაზე ცუდს ვერაფერს ვიტყვი, უნიჭო კაციც არ იყო, მაგრამ ეს რამ მოაფიქრებინა, როგორ შეიძლება, რა უნდა გაგიჭირდეს, რომ სხვაგან იცხოვრო. გაიქცე.

თუმცა... სხვა სხვის ომში ხომ ყოველთვის ბრძენია.

23/IX 89

მოვუსმინე „განთავისუფლებას“.

მგონი, ნუგზარ შარია ლაპარაკობდა.

ალფენიძე არ უხსენებიათ; სამაგიეროდ, ტყავი გააძვრეს გორბაჩოვს.

სკკპ-ს ამ ბოლო პლენუზმე უფრო სამარცხვინო რამ არ ჩაუტარებიაო.

ნუთუ, არ უნდა გადადგეს გაკოტრებული მთავრობა?

24/IX 89

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა, გოგი ჯავახიშვილმა, დამიბარა: ისრაელში 5-კაციანი დელეგაცია მიდის და მწერლებიდან შენ უნდა ჩაგრთოთო.

რა უნდა გავაკეთო-მეთქი.

ლიტერატურული საღამოები უნდა გამართო, შენი წიგნები აუქციონზე უნდა გავყიდოთ და ფული ქართველ სტუდენტთა უცხოეთში მომზადების ფონდში გადაირიცხებაო.

დავთანხმდი.

25/IX 89

ლევან სანიკიძემ წერილი მომიტანა რობერტ სტურუას შესახებ.

დიდხანს ვყოყმანობდი, დამებეჭდა თუ არა, ბოლოს გადავწყვიტე, რომ ღირს დაბეჭდვა. ბოლოს და ბოლოს, რ. სტურუას სიმართლე უნდა ეთქვას ქართული თეატრის უცხოურ ჰანგზე გადაწყობისთვის, თუმცა მის დიდ ნიჭს პატივი უნდა ვცეთ.

ქართული მწერლობის იგნორირება არ ეპატიება „რობიკოს“.

26/IX 89

„მამულის“ ახალი ნომერი წავიკითხე.

ტარიელ ჭანტურიაა ფაქტიური რედაქტორი, ტარიელის ნიჭის ძალა ამ ბოლო ნომერსაც ეტყობა.

27/IX 89

საზოგადოება „ცოდნამ“ სადისკუსიო კლუბის - „რას ვამბობთ, რას ვაკეთებთ“ პრეზიდენტობა შემომთავაზა.

დავთანხმდი. არ ვიცი, რა გამოვა ამ საქმიდან.

კიდევ ერთი კლუბი კი არა, საქმე სჭირდება საქართველოს.

რეჟისორმა თამაზ მესხმა მითხრა დღეს: შენი რომელიმე პიესის დადგმა მინდაო.

დასადგმელად ჩემი ოთხივე პიესა წაღებული აქვთ რეჟისორებს, მაგრამ ვინ დგამს.

ტყუილი. ტყუილი და ორპირობა ყოველ ფეხის ნაბიჯზე.

28/IX 89

23 სექტემბრის ნომერში გაზეთ „ქუთაისს“ მესამე გვერდზე კორპუსით დაუბეჭდავს ჩემი ნოველა „კარგად ცხოვრობენ გუბერნატორები?“ ამ ნოველის მთავარი სიმბოლური პერსონაჟი ზვიად გამსახურდიაა. ღმერთმა ნუ ქნას, გამართლდეს ჩემი წინათგრძნობა.

დღეს გამოვიდა რუსთაველის საზოგადოების კიდევ ერთი არაფორმალური გაზეთი „მოძღვარი“. შიგ ჩემი წერილია - „ვინ ამღვრევს წყალს“.

არ უნდა იყოს ურიგო წერილი.

გიორგი ჯიბლაძე გარდაიცვალა.

დღეს დაკრძალვაზე ვიყავი.

29/IX 89

აფხაზეთში და ოსეთში კვლავ მღელვარებაა საქართველოს წინააღმდეგ.

ხმა ჩამოვიდა, ოსებმა გზა გადაკეტეს და ქართველ კაცს „ოსეთის ტერიტორიაზე“ არ ატარებენო.

აი, სადამდე მივედით!

30/IX 89

„ახალგაზრდა კომუნისტში“ ლოვარდ ტუხაშვილის წერილია „ცოცხლებს მოვუხმობ“. ბრწყინვალე წერილია. ამ წერილიდან აშკარაა — რა არის რუსეთი და რუსი ხალხი საერთოდ.

არც ბოლშევიკთა ებრაელი და ქართველი ლიდერებია დატოვებული გაკენწვლის გარეშე.

ერთი სიტყვით, ქართულმა პრესამაც ამოიღო ხმა რუსეთის წინააღმდეგ.

1/X 89

კვირადღეა.

ავად ვარ. გავცივდი, სურდო მაწუხებს.

2/X 89

სწავლა დაიწყო.

დიღომში ახალი სკოლა გაიხსნა. სიტყვა ვთქვი გახსნის ზეიმზე. ახალი სკოლა! ეს ხომ ერის ზეიმია. ესე იგი, ბავშვები არსებობენ. ქართველობა მრავლდება.

გ. გუმბარიძეც იყო. მოეწონა ჩემი სიტყვა. ბატონ რევაზსო, გამოაცხადა, ვთხოვოთო ამ სკოლის შეფობა.

3/X 89

კინოს სახლში ვნახე ესტონელ კინომატოგრაფისტთა დოკუმენტური ფილმი „ჰიტლერ-სტალინი“.

ჰიტლერს და სტალინს — როგორც ტირანებს, ერთ სიბრტყეზე აყენებენ ბალტიელნი და ორივეს მათს ბედში ერთნაირ დამნაშავეებად თვლიან.

ასეა?

მე პირადად სტალინს ჰიტლერის გვერდით ვერ დავაყენებ.

4/X 89

„სახალხო განათლებაში“ გამოქვეყნდა ჩემი სტატია „რა გვჭირს, რა გვიშველის“,

შეუკრეჭ-შეუმცირებიათ, მაგრამ რაც დარჩა, მაინც იკბინება — არ ვინდობ გადამთიელ თავხედ ერებს.

მირეკავს მთელი თბილისი.

ვიღაცამ მითხრა; არ გეშინია, ტერორი რომ დაგინიშნონო?

რა დროს შიშია, ქვეყანა იღუპება.

5/X 89

დღეს დასავლეთ ევროპელთა ფაკულტეტზე ლექცია წავიკითხე. შევეხე მარქსიზმის 4 ნაკლოვანებას.

რა ყურადღება-აღფრთოვანებით მისმენდნენ სტუდენტები.

თათბირი გვქონდა მინისტრ გოგი ჯავახიშვილთან — საგარეო საქმეთა სამინისტროში.

მოხსენება უნდა წავიკითხო ისრაელში სიმპოზიუმზე — „თანამედროვე ქართული მწერლობა“.

საღამოს მიშა ქვლივიძემ, თემურ ჩალაბაშვილმა და მხატვარმა ვახტანგ გულისაშვილმა ვისაუბრეთ „ჭიქა ჩაიზე“.

6/X 89

დღეს თბილისში დაარსდა საქართველოს ოლიმპიური კომიტეტი.

ეს დიდი საქმეა. კიდევ ერთი ნაბიჯი დამოუკიდებლობისაკენ.

თუ ევროპამ მხარი დაგვიჭირა, ჩვენი სპორტსმენები მსოფლიო არენაზე გამოვლენ არა როგორც სსრკ-ს, არამედ როგორც საქართველოს რესპუბლიკის წარმომადგენლები.

„ლიტ. საქართველოში“ დაბეჭდილია დიალოგი მერაბ კოსტავასთან.

მერაბი მის მიერ 2 წლის წინათ წამოყენებულ თეორიას სიტყვა-სიტყვით იმეორებს: „ჯერ დემოგრაფიული გაწმენდა, მერე გამოყოფისათვის ბრძოლა“.

7/X 89

დღეს შაბათია.

მიშა ყანდაშვილის (ექიმი, 1951 წლის რეპრესიების მსხვერპლი, ბრწყინვალე ინტელიგენტი) წლისთავზე გახლდით. ცრემლი მომდიოდა, მის ეულ საფლავს რომ დავცქეროდი.

ნუთუ აქ თავდება ყველაფერი?

საღამოს, ჩემს ცხოვრებაში პირველად, რადიკულიტმა შემომიტია ისე, რომ ნაბიჯი ვერ წავდგი.

სიბერემდე — სიქაჩლეო.

8/X 89

მთელი ღამე თეთრად გავათენე.

რადიკულიტი?

„სასწრაფო“ გვყავდა.

რადიკულიტს, თურმე, ჩვენი მედიცინა ვერ მკურნალობს.

სხვას რას მკურნალობენ!

ჯოჯოხეთური ტკივილები მაქვს.

ეს მინდოდა ჩემი საქმეების გადამკიდეს?

რადიკულიტი რატომ უნდა ყოფილიყო ჩემი ცურვის, ჩოგბურთის, ჩემი სპორტსმენობის ლოგიკური შედეგი?

კაცმა არ იცის, რა სჯობია.

სოსოია ბუხაიძეს მის სიცოცხლეში ხელი არ გაუქნევია.

აჩიკომ მასაჟი გამიკეთა, ცოტა მომეშვა.

9/X 89

დღეს მინისტრთა საბჭოში დაგვიძახეს მწერლებს და ინტელიგენციის სხვა წარმომადგენლებს.

საკითხი იდგა პუშკინის ინსტიტუტის სახელწოდების შესახებ. ამ ორიოდე კვირის წინ სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა მოთხოვნით ინსტიტუტს ეწოდა სულხან-საბა ორბელიანის სახელი.

როგორც გაირკვა, მოსკოვი განრისხებულა ამაზე. ახლავე დაუბრუნეთ სახელიო.

საოცარია, ჩვენგან მთავრობა თანაგრძნობას ელოდა, მაგრამ არ გამოუვიდათ.

ყველამ ერთხმად დავიცავით სულხან-საბა და პუშკინის პატივისცემის მიუხედავად ინსტიტუტს სახელი შევუცვალეთ.

ვნახოთ, სამაგიეროს როგორ გადაგვიხდის მოსკოვი!

მერაბ კოსტავამ თქვა მქუხარე სიტყვა მისებურად, ნერვიულად.

მოიტანა ციტატები რუსი კლასიკოსების (და მათ შორის, სამწუხაროდ, თვით პუშკინის) ნაწერებიდან საქართველოს ზემოდან რომ დასცქერიან, ქედმაღლურად რომ ელაპარაკებიან და ბუსურმანების ბნელ ქვეყანას ეძახიან.

არ მეგონა-მეთქი, ვუთხარი მერაბ, თუ ასე კარგად იცოდი რუსული ლიტერატურა. გაიცინა. ციხეში მეტს რას ვაკეთებდიო.

10/X 89

გამსახურდიამ და კოსტავამ რუსთაველზე მიტინგი ჩაატარეს.

ვესწრებოდი. სიტყვის თქმა მსურდა, მაგრამ ხმა ვერ მივაწვდინე.

დააყენეს საკითხი ასე: ქართველმა ახალგაზრდობამ უარი განაცხადოს სამხედრო სამსახურის სხვაგან მოხდაზე.

ბოიკოტი რუსულ არმიას!

11/X 89

ბაზარზე გამოვიდა ჩემი წიგნი „ცხელ გულზე დაწერილი პიესები“. 4 პიესა შევიტანე.

ვნახოთ, როგორ მიიღებს მკითხველი.

თეატრებმა როგორ მიიღეს? ორი დაიდგა, ორი — ჯერჯერობით ვერა.

ზოგიერთ რუსაპეტა ქართველ რეჟისორს ქართული პიესები არ მოსწონს.

12/X 89

დღეს გალაკტიონის სემინარი ჩავატარე.

დავით თევზაძემ წაიკითხა მოხსენება: „ახალი თვალსაზრისი გალაკტიონის რევოლუციასთან დამოკიდებულებაზე“. გალაკტიონიო რევოლუციას აღტაცებით არ შეხვედრიაო. სწორია.

საღამოს „ცოდნაში“ შეხვედრა მქონდა.

შოთა ძიძიგურმა გახსნა და დიდი შესავალი სიტყვა თქვა.

არ მეგონა, თუ ასე ვუყვარდი.

„ცოდნის“ მდივანმა, ავთანდილ სვანმა, ოთხი თვით ადრე მომილოცა 50 წლის შესრულება. ბატონმა შოთამ „ცოდნის“ სიგელი გადმომცა.

მიყვარს „ცოდნა“ და ყოველთვის სიამოვნებით ვთანამშრომლობ მასთან.

13/X 89

გამოვიდა ქუთაისის ლიტერატურული გაზეთი „უქიმერიონი“ — რედაქტორია თეიმურაზ ლანჩავა.

ძალიან მიხარია.

პირველივე ნომერში ჩემი ნოველა „ცხოვრება“ დაუბეჭდავთ.

დღეს კარგი დღეა. მაცნობეს, რომ „ცისკრის“ რედაქტორად ჯანსუღ ღვინჯილიას ნაცვლად ჩემი დეიდაშვილი იორამ ქემერტელიძე დანიშნა მუხრანმა.

იორამი კარგი ბიჭი და კარგი პოეტია. თუმცა, ვერ დავუკარგავ, ჯანსუღი კარგი რედაქტორი იყო.

ახლა, ამ წუთში ყველაფერი ჩამამწარეს:

ჩემმა ცოლმა-ნათელამ, ამბავი მომიტანა, მერაბ კოსტავა ავარიაში მოხვედრილა და გარდაცვლილაო.

გავგიჟდები, თუ ეს ჭორი არ აღმოჩნდა.

რა უბედურებაა!

გაგრძელება შემდეგ ნომერში



ბაღათერ არაბული

მ გ ლ ე ბ ი...
(სადღეისო საკითხავი)

...დიდი ხანია ე რ თ მ ა ნ ე თ ს ვუღრენთ,
(როგორც ჩანს ჯიშმა მაინც მოგვძებნა!)
გამოდი, მგელო, მაგ უღრანიდან,
ნუღარ გაქვს შიში... თ ა ნ ა მ ო ძ მ ე თ ა...
და უკვე დროა ბოლოს და ბოლოს,
რომ ერთმანეთი შევიცნოთ მგლებმა,
გამოდი, ერთად უნდა ვიცხოვროთ,
ჩვენ მ ო ვ ი პ ო ვ ე თ ამის უფლება...
ანდა გ ა ვ ც ვ ა ლ ო თ სახლიც, სახელიც
და გარდავიქმნათ ჩვენც ახლებურად;
მე- შენს ბუნაგში გადმოვსახლდები,
შენ კი- დაგითმობ ჩემ გამთბარ ბუნაგს...
შენ აქ- ქალაქში, მე კი მანდ- ტყეში
ვიცხოვროთ, როგორც ნამდვილმა მგლებმა,
შენ აქ- ქალაქში, მე კი მანდ- ტყეში
მგლების “ ა ლ ე რ ს ი “ არ მოგვაკლდება...
.....
დიდი ხანია ე რ თ მ ა ნ ე თ ს ვუღრენთ,
(როგორც ჩანს ჯიშმა მაინც მოგვძებნა!)
გამოდი, მგელო, მაგ უღრანიდან,
ნუღარ გაქვს შიში... თ ა ნ ა მ ო ძ მ ე თ ა...

გამოვაღწიე სულის იარებს...

1.
... გამოვაღწიე სულის იარებს,
გზას მიბრკოლებდა ბურუსი, თქეში,
არც ბოროტება
და არც სიავე-
აღარაფერი არ დარჩა ჩემში...
და ბრმად ვუყურებ მე დღეს სამშობლოს,-
უკვე არაფრის ხილვა არ მინდა,
ალბათ, ამგვარად, ჯერაც უშობი
იმზირებიან ჩვილები ციდან...
2.
... ჩვენ ბედის ვარსკვლავს
მივდევთ სხვა მხარეს,
სად იდუმალი ჰქრიან ქარები;
აღარაფერი აღარ მახარებს
და ყინულივით ვარ უკარები...
ბედი კი მოჰგავს მდინარეს გაშლილს,
რომელიც არ ცნობს ვიწრო ნაპირებს,
რომელიც ყველას ნაკვალევს წაშლის,
მასში შეცურვას ვინც დააპირებს...

ნუ გამოიყვანთ ბავშვებს ზღაპრიდან

გამომაძევეს მე ბავშვობიდან,
გადამიკეტეს კარი ურდულით,
დღეს შურით ვუმზერ სათამაშოებს,
როგორც დასჯილი და გაქურდული...
იქ დამრჩა ხმალი, ზღაპრის ქვეყნების,
დევთან ბრძოლისთვის რომ მისახსოვრეს,
ახლა კი იმ დევს, ძალით თუ ნებით,
შევგუებულვარ, როგორც ახლობელს...
მისთვის ვარსებობ და მისთვის ვცხოვრობ,
მწარე ჭაპანსაც მისთვის ვეწევი;
მე ჩემი თავის ჩრდილი ვარ მხოლოდ,
ჩემი თავის და ბედის შეწევნით...
სასახლე ჩემი ქცეულა ყორედ,
ჩაჟანგულია ჩემი გუთანიც
და ცხრათავიან დევის შემყურეს
აღარაფერი მაქვს საკუთარი...
თითქოს ჩამქრალა მომავლის შუქიც,
(ვაი, სოფელო, ბინდით მოცულო!)
დევის ნებაზე ვცეკვავ და ვბუქნავ
და ღმერთთან დევის ენით ვლოცულობ...
წაშლილა ათას ფერით ნაფერი
ის დრო – დიდების მზით რომ ბრწყინავდა,
შთამომავალთან და წინაპართან
ერთხელ ხომ უნდა წარვსდგე პირნათლად...
გადარჩენის და დახსნის სიმბოლოდ,
ოცნების სხივით სავსე ნაპირთან,
ზღაპრის დევებთან მაინც იბრძოლონ,
ნუ გამოიყვანთ ბავშვებს ზღაპრიდან!..

მ ა რ ტ ო ხ ე

...სოფლის გაღმა ქარისგან
გაძარცული ხე მოჩანს,
ის...დეკემბრის ველ- მინდვრებს
მარტოდმარტო შემორჩა...
შიშით უნდა გალიოს
მოსაწყენი ზამთარი,-
ზოგჯერ თუ მოაკითხავს
ყვავი - ავი ყრანტალით...
ზოგჯერ კიდევ ჩიტების
გუნდი თუ ინახულებს,-
გაახსენებს გარდასულ
გაზაფხულებს, ზაფხულებს...
არ ილევა ყოველდღე
წუხილი და ტანჯვა ხის,-
იცის, მოადგებიან
მასაც, მალე, ნაჯახით...
ჯერ კი... ქარებისაგან
გაძარცული ხე მოჩანს;
ის...დეკემბრის ველ- მინდვრებს
მარტოდმარტო შემორჩა...

ვ ი დ რ ე . . .

... ვიდრე დაგვიფენს ბედი გზაზე
მწარე ნარ-ეკალს
და ვიდრე ჩვენთვის გამგზავრების
ზარი დარეკავს...
ვიდრე საწუთროს გვილამაზებს
კვლავ მზე-ნათელი,
ვიდრე ვიღაცას ვაგონდებით
და ვენატრებით...
ვიდრე გადუვლის უკუნეთი
დროს- უნეტარესს,
მოვეფეროთ და გავუფრთხილდეთ
უნდა ერთმანეთს!..
ვიდრე ვიღაცას ვუყვარვართ და
ვიღაცა გვიყვარს,
ვიდრე ქცეულა ვარდ- ყვავილი
ნარად და დიყად...
ვიდრე მნათობი დილის პირზე
ჩვენთვის ამოდის
და ვიდრე ჩვენთვის მთვარეს იბნევს
ცა საღამოთი...
ვიდრე აქა ვართ და შორია
კიდევ... ლეთამდე,
მოვეფეროთ და გავუფრთხილდეთ
უნდა ერთმანეთს!..

მინდა, გიყვარდე...

... მინდა, გიყვარდე ყინვაში, მზეში,
მინდა, გიყვარდე მგზნებარედ, მუდამ
და არ მსურს, მოვკვდე ოდესმე შენში,
რადგან ეს თვითონ არასდროს გსურდა...
გიყვარდე, ვიდრე ჩვენი სხეული
და ჩვენი სული ვნებას გვგვრის კიდევ
და ვიდრე ვიგრძნობთ, ვერაგ დასნეულ
დროებას როგორ გამოვერიდეთ...
გიყვარდე, ვიდრე ბედი თუ ღმერთი
წუთისოფელში დაგვტოვებს ერთად
და ვისურვებდი, თვით ჯოჯოხეთშიც,
თუნდ სამუდამოდ, მეცხოვრა შენთან...

უწმინდესო და უნეტარესო!

განსაცდელის ჟამს თქვენ გამახსენდით
და სასოებით გული ამევსო;
თქვენ და თქვენს სამწყსოს
გფარავდეთ ღმერთი,
უწმინდესო და უნეტარესო!..
ჩვენ, ხშირად, ცოდვებს ვიმრავლებთ ჩვენთვის,
ჩვენვე ვიბედებთ დღეებს მწარესო;
ძეშეცდომილთაც გვფარავდეს ღმერთი,
უწმინდესო და უნეტარესო!..
გულში უფალი გვისურვე მეტი,
რომ რწმენით სული ხმლისებრ ავლესოთ;
ღვთის გზაზე მავალთ ფარავდეთ ღმერთი,
უწმინდესო და უნეტარესო!..
თქვენი ლოცვები მაღლა ცას ერთვის,
დაბლა- ღვთისმშობლის წილხვედრ
მხარესო;
თქვენ და თქვენს სამწყსოს
გფარავდეთ ღმერთი,
უწმინდესო და უნეტარესო!..

საქართველოს

... არეულია კეთილ-ბოროტი,-
გაუტანლობით,
შურით,
ღალატით,
ვეღარ ვიცხოვრებთ, როგორც
ვცხოვრობდით,
ვეღარ დავმალავთ, რასაც ვმალავდით...
დღევანდელ დღისთვის პასუხს ვინ აგებს?!
ან მომავლისგან მაინც რას ელი?!
დამხობილია ციხე-სიმაგრე
და მეციხოვნეც,- უკანასკნელი...
არც განმკითხავი და არც გამგები,
დიდი ხანია, არავინ არ ჩანს,
შენი კოშკები,- ბროლით ნაგები,
გზად მოთარეშე ყაჩაღებს დარჩათ...
უელავს ღამეს მთვარის ნისკარტი,
ცა გადაშლილა ულურჯეს მინდვრად,
მე კვლავ მიყვარხარ, როგორც მიყვარდი,
ასე დიადი და ასე წმინდა...

სადა ხარ, ქრისტე?!

... სადა ხარ, ქრისტე,
სადა ხარ, ნეტავ?!.
შენი გზა მკრთალად გამოკრთის ბნელში;
პილატეები
დღეს ყველგან სხედან
და ბრბოს უსმენენ შურისგან შეშლილს...
ცხოვრება ჩვენთვის გახდა საშიში,-
ურჯულოება
ავ ვნებებს გვისევს;
დაბრუნდი, ქრისტე, - დაბრუნდი ცაში,
თორემ აქ ჯვარზე გაცვამენ ისევ...

ზეციური მგზავრი...
(ხილვა)

...სივრცეთა მიღმა და ქართა მიღმა,
სად ციურ ლანდებს ბინდი ედება,
სხივის კიბეზე მიღოღავს ვიღაც
და აღსავლისკენ მიეხეტება...
თან მიაქვს სული, როგორც სასჯელი,
სული, რომელიც მტვერში ახვეტა
და აღებს მთვარეს- ზეცის ფანჯარას,
სხვა სამყაროში გადასახედად...

მასკარადი ანუ... ნაცნობი პარალელები...

მთებზე დავკიდეთ ზვავების ზავთი
და ხეობებზე გუგუნი ქართა;
გამოვექეცით ზაფხულს და ზამთრის
თეთრ სასახლეში...მასკარადს ვმართავთ...

აქ არის მელა, კურდღელი, ტურა,
კულისებიდან გაკვესეს მგლებმაც,
ლომი ვეფხვის წინ ზის მედიდურად,-
ლომს ვინ წაართმევს ამის უფლებას?!.
და მასკარადი... იწყება კიდეც,-
თოვლის დარბაზის კარი იღება,-
ჟირაფი მაღლა ყინვის ჭაღს ჰკიდებს,
სცენა ქცეულა ფერად ნიღბებად...

არავინ იცის, ვინ ვისთან ცეკვავს,
ვინ ვისთვის ხარჯავს ალერსს უკლებლივ,
ვინ ვის დაუფენს ნარსა და ეკალს,
ვის ხვდება თაფლი და ნაზუქები...

არავინ იცის, ვინ რომელს შხამავს,
ვინ ვის უმზადებს ხაფანგს და ორმოს;
ამ მასკარადში...დღეცა და ღამეც
გაზაფხულამდე უნდა ვიცხოვროთ!..

მთებზე დავკიდეთ ზვავების ზავთი
და ხეობებზე - გუგუნი ქართა;
გამოვექეცით ზაფხულს და ზამთრის
თეთრ სასახლეში...მასკარადს ვმართავთ...

მეხსიერების განძთსაცავი

ნეტავ ის ძველი განცდა სად წავიდა?
ანდა იმ ლამაზი ქალაის თვალთ ლაციცი?
მეხსიერების განძთსაცავიდან
ამოგაქვს ყველაფერი, რაც გახსოვს, რაც იცი...
იქ იყო: დღეები ტკბილი და მწარე
და წლები- გაშლილი უშავეს ჭილოფად,
რომლებმაც გული ტკივილით დაბზარეს
და სულში დაგიტოვეს მრავალი ჭრილობა...
იქ იყო სიყვარულიც,- მზის შუქით ნაფერი
და უფლის ნების ღვთიური განცდა;
იქ იყო ყველაფერი, იქ იყო ყველაფერი,
რაც გზებზე გალია და დროში გაცვდა...
და ფიქრობ: ის ძველი განცდა სად წავიდა?
ანდა იმ ლამაზი ქალაის თვალთ ლაციცი?
მეხსიერების განძთსაცავიდან
ამოგაქვს ყველაფერი, რაც გახსოვს, რაც იცი...

ც ხ ო ვ რ ე ბ ა
(სადღეისო საკითხავი)

... იყო სილაღეც, იყო გართობაც,
დღეს ვის ვახსოვართ, ან ვენატრებით?!.
ვერ შევძელ ჩემი მოყვასის მტრობა
და ამიტომაც გამიჩნდნენ მტრები...
უფლის აღსავალს ცეცხლი შეუნთეს,
თავზე დაიმხეს მთელი დროება;
ამ უ რ წ მ უ ნ ო ე ბ ს, ღმერთო, შეუნდე
უ ს ი ყ ვ ა რ უ ლ ო ს ა რ წ მ უ ნ ო ე ბ ა...

ი მ ე დ ი

... ბევრი წავიდა და... მიიმალა,
ზოგმაც გამრიყა და... გამიმეტა;
სიკვდილ-სიცოცხლის გზებზე მიმავალს
შენ ერთადერთი შემრჩი იმედად...
ყველა გაცუდდა და ყველა ჩაქრა,
ჭირში მეგზურად ვინც არ გინატრა;
შენ ბნელ ღამეში სინათლედ ჩანხარ,
ჩანხარ ვარსკვლავად და ათინათად...
და თანამდგომად მიმყვები ახლაც,
ჩემ წინ ეკლიან ბილიკს მიჰკვალავ,
მახსოვს, მაშინაც შენ გვერდში მახლდი,
როცა არავინ არ მიმიკარა...
შორს ჩანდა ნისლის ფრთები დახრილი,
ზედ ყვავი ჩანდა ბინდის ნაფლეთად,
შემოდიოდა ღამე დაღლილი
და შავ აბრეშუმს ირგვლივ აფენდა...
ბნელ ცაზე ღრუბლის ჩონჩხი ეკიდა,
გზებზე ეფინა მტვერი ნისლების,
შენ კი იმედის ზარებს რეკავდი,
კვლავ მამხნევებდი და მაფხიზლებდი...
მემუქრებოდა ღამე წალეკვით,
(ბევრჯერ ღალატმაც გული დასერა!)
შენ კი სინათლის გზებს მასწავლიდი
ღამიდან დღეში გადასასვლელად...
.....
ბევრი წავიდა და... მიიმალა,
ზოგმაც გამრიყა და ... გამიმეტა;
სიკვდილ- სიცოცხლის გზებზე მიმავალს,
იმედო, შენღა შემრჩი იმედად!...

შვიდი საყვირი

ზაალ ნემსაძე

ვუძღვნი იაკობ პაპიაშვილს -
სამაგალითო ქართველს ისრაელში
და სამაგალითო ებრაელს საქართველოში.

იერიქონის მცხოვრებნი შიშით გადაჰყურებდნენ თავიანთი ქალაქის მტკიცე კედლებიდან მათ შორიახლოს განლაგებულ ისრაელის ბანაკს. ხმებმა ხალხზე, რომელიც ეგვიპტიდან გამოვიდა და 40 წელი უდაბნოში დაეხეტებოდა, რომელმაც დაამარცხა ამორევის ქვეყნის მეფეები და იორდანე გადმოლახა, არცთუ უსაფუძვლოდ შეაშფოთა ქანაანელნი. იორდანეზე გადმოსვლამ ხომ ცეცხლზე ზეთი დაუსხა. როგორი საქმეა გაზაფხულზე მდინარის გადალახვა, რომელიც სწორედ ამ დროსაა ყველაზე უფრო წყალუხვი. უფრო მეტიც, მდინარე საერთოდ გაჩერდა. კალაპოტი ამოშრა და მრავალრიცხოვანი ჯარი, ბავშვები და ქალები, მთელი საქოენლი ისე გადმოვიდა დამშრალ იორდანეზე, ფეხიც არავის დასველებია...

ვიდრე იორდანეს გადალახავდა, ისრაელი შიტიმში იდგა და მოსეს შემდეგ, მისმა მეთაურმა, იესო ნავეს ძემ, ორი მსტოვარი გაგზავნა იერიხონის დასაზვერად. ისინი ქალაქში შევიდნენ და ადგილობრივი მეძავის, რახაბის სახლში გაათიეს ღამე. თუმცა, მათი მოსვლა შეიტყვეს ადგილობრივებმა და მიხვდნენ, დასაზვერად რომ იყვნენ მოსულნი. მეძავმა სტუმრები დამალა და თანამოქალაქენი მოატყუა, სტუმრები წუხელ წავიდნენო. თავად კი პირობა ჩამოართვა, ამ სიკეთისთვის, რაც გიყავით, ქალაქს რომ აიღებთ „მე და ჩემს ახლობლებს ხელი არ გვახლოთო“. სტუმრებმა პირობა მისცეს და შიტიმში მშვიდობიანად დაბრუნდნენ. ამის შემდეგ ისრაელი დაიძრა შიტიმიდან და მიადგა იორდანეს, რომელიც უფლის დახმარებით და სწავლებით გადალახეს. როცა მთელმა ხალხმა გადალახა, უფლის ბრძანებით, იესო ნავეს ძემ თორმეტი ხალხიდან თორმეტი კაცი გამოარჩია, რომელთაც თითო ქვა აკრიფეს იორდანეს შუაგულიდან „და გავიდნენ ამ ქვებიანად გაღმა, სათავეში დააწყვეს. ასევე თორმეტი ქვა დაასაწყობა იესომ იორდანეს შუაგულში იმ ადგილას, სადაც ფეხი ედგათ უფლის აღთქმის კიდობნის მტვირთავ მღვდლებს. დღემდე იქ აწყვია ეს ქვები“ (იესო ნავეს ძე 4:8-9).

მოგვიანებით, როცა ხალხი იორდანედან ამოვიდა და გილგალში დაბანაკდა, ის თორმეტი ქვა, იორდანედან რომ წამოიღეს, გილგალში დააწყობინა იესომ, „რათა ყველა ხალხმა გაიგოს ამ ქვეყანაზე უფლის მარჯვენის ამბავი, რომ მაგარია იგი, რათა მუდამ გეშინოდეს უფლის, თქვენი ღმერთისა (იესო ნავეს ძე 4:24)...

ეს ყველაფერი არ დარჩენიათ შეუნიშნავი ახლოს და შორს მცხოვრებ ხალხს და დიდი შიში ჩამოვარდა მათშ. იერიქონელები კანკალით უყურებდნენ ებრაელთა ბანაკს. ყველაზე მეტად მათ ისრაელის ტაქტიკა აოცებდათ, რომელიც ძირფესვიანად განსხვავდებოდა ადრე ნანახისგან. მომხვდურები ისე არხეინად იქცეოდნენ, საერთოდ არ ჰგავდნენ ქალაქის დასაპყრობად მოსულთ. შტურმის წინა მომზადების ნიშან-წყალი არ იგრძნობოდა მათ ქმედებებში, ერთადერთი, რასაც მტრები აკეთებდნენ, ის იყო, რომ თავიანთ მღვდლებთან ერთად დღეში ერთხელ ქალაქს გარშემო უვლიდნენ და საყვირებს აგუგუნებდნენ.

გაოცება და გაუკვეცლობა ყოველდღე იზრდებოდა. რას ნიშნავდა ეს? რეატომ იქცეოდა მტერი ამგვარად? ქალაქელებს აოცებდათ მტრის სიმშვიდე, თუ დღეში ერთხელ საყვირების ხმას არ მივიღებთ მხედველობაში. ეს სიჩმე აშინებდა იერიქონელთ და აღარც კი იცოდნენ, როგორ მომზადებულიყვნენ თავდასაცავად. ექვსი დღე უარა გარშემო ისრაელმა იერიქონს. ყველაფერი კი უფლის ნებით კეთდებოდა. ეს მან უბრძანა ისრაელს: „ასე აკეთეთ ექვსი დღის მანძილზე. შვიდმა მღვდელმა ატაროს ვერძის რქა შვიდი ბუკი კიდობნის წინ. მეშვიდე დღეს შვიდგზის შემოუარეთ ქალაქს და მღვდლებმა სცენ ბუკებს. როცა ჩაჰბერავენ ვერძის რქას და გაისმება ბუკის ხმა, დასცეს დიდი ყიჟინა მთელმა ერმა და იქვე ჩაიქცევა ქალაქის კედლები და ავა ხალხი ქალაქში, თითიოეული თავისი გზით“ (იესო ნავეს ძე 6:3-5).

ყველაფერი უფლის სიტყვებისაებრ მოხდა. საყვირების ხმასთან ერთად, 40 ათასი მეომრის ხმა და მთელი ერის ყიჟინა დაატყდა თავს იერიქონს, უცებ ჩამოიშალა მისი კედლები და ჯარი შეიჭრა ქალაქში. ქალაქი დაეცა ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით. კედლები კი არ დაინგრა, არამედ ჩამოიშალა, რაც მრავალწლიანმა არქეოლოგიურმა გათხრებმაც დაადასტურა...

უფლის შეგონებით „ცეცხლს მისცეს ქალაქი და ყველაფერი, რაც შიგ იყო, მხოლოდ ოქრო-ვერცხლი და სპილენძისა და რკინის ჭურჭელი უფლის სახლის საგანძურისთვის გადადეს.

მეძავი რახაბი, მამამისის სახლი და ყველა, ვინც კი მას ჰყავდა, ცოცხალი დატოვა იესომ...“ (იესო ნავეს ძე 6:24-25).

შვიდი საყვირი, რომელმაც დასცა იერიქონი, აპოკალიფსის ცენტრალურ ნაწილშიც ფიგურირებს. იოანეს ეს ხილვა ლამის „გამოცხადების“ სამ თავს მოიცავს მერვედან მეთერთმეტემდე და ერთ-ერთ ყველაზე რთულ გამოცანად ითვლება მთელი ახალი აღთქმის, რამეთუ დეტალების მოზღვავება თავბრუდამხვევია და უძლურს გხდის რაიმე გაიგო. მეშვიდე საყვირის შემდგომ მოვლენებს გაგახსენებთ.

მეშვიდე ანგელოზმა ჩაჰბერა საყვირს და გაისმა ცაში ხმა: „წუთისოფლის სამეფო გახდა ჩვენი უფლისა და მისი ქრისტესი და იმეფებს იგი უკუნითი უკუნისამდე. ოცდაოთხი უხუცესი, რომლებიც ღვთის წინაშე ისხდნენ თავიანთ ტახტებზე, პირქვე დაემხვნენ და თაყვანი სცეს ღმერთს. და თქვეს: „გმადლობთ შენ უფალო ღმერთო, ყოვლისმპყრობელო, რომელიც ხარ, რომელიც იყავი და რომელიც მოხვალ, რომ მოიღე შენი დიდი ძალა და გამეფდი. გამძვინვარდნენ წარმართები და მოვიდა შენი რისხვა და ჟამი, რათა მკვდრები განკითხულ იქნენ და საზღაური მიეცეთ შენს მონებს - წინასწარმეტყველებს და წმინდანებს და მათ, რომელთაც შენი სახელის ეშინიათ - დიდებს და პატარებს და მოსპო დედამიწამ მომსპობნი“.

გაიღო ღვთის ტაძარი ცაში და გამოჩნდა მისი აღთქმის კიდობანი მის ტაძარში და იქნა ელვანი და ხმანი, ქუხილნი და მიწისძვრა და დიდი სეტყვა (გამოცხ. 11:15-19).

იერიქონის კედლების დანგრევა შვიდი 10 ბიბლიურ სასწაულში, რომელსაც მეცნიერების აზრით, ახსნა აქვს. გთავაზობთ ამ სიას:

მკვდრეთით აღდგომა; იესოს წყალზე გავლა; განკურნება; სოდომი და გომორი; წარღვნა; ეგვიპტის 10 სასჯელი; ცეცხლმოკიდებული ბუჩქი; ნოეს კიდობანი; წითელი ზღვა და იერიქონის კედლები.

აქვე გეტყვით, რომ ჩემი მოკრძალებული აზრით, ზოგიერთი მეცნიერული ახსნა ამ მოვლენებისა იმდენად უსუსური და უსახურია, რაც მთავარია, მიუღებელია ნებისმიერი მორწმუნესათვის, რომ განხილვის ღირსადაც არ ღირს, თუმცა ერთ მაგალითს მოგიტანთ: ეს არის ცეცხლმოკიდებული ბუჩქი ანუ ალმოდებული მაყვლოვანი. აი, როგორ ხსნის ამ მოვლენას ფიზიკოსი კოლინ ჰამფრეი: ბუჩქი, სავარაუდოდ, აკაცია იყო და ვულკანის ხვრელთან იზრდებოდა, რამაც მისი აალება გამოიწვია. ფსიქოლოგიის პროფესორი ბენი შენონი კი აცხადებს, რომ ღმერთის ხმა, რომელიც მოსემ გაიგონა, ჰალუცინეგონური სუბსტანციების მიღებით იყო გამოწვეული(?!)

„გამოეცხადა უფლის ანგელოზი ცეცხლის ალად შუაგულ მაყვლოვანში. ხედავს, ცეცხლი უკიდია მაყვლოვანს, მაგრამ არ იწვის მაყვლის ბუჩქი“ (გამოს.3:2). წერია სადმე აკაცია? სამაგიეროდ მაყვლოვანის შესახებ სამჯერ წერია ანუ ეს სიტყვა სამჯერაა ნახსენები ერთ წინადადებაში. ბიბლიის შემქმნელმა იცოდა წინასწარ, რომ გამოჩნდებოდა მავანი ფიზიკოსი, რომელმაც მაყვლის და აკაციის გარჩევა არ იცის. ფსიქოლოგიის პროფესორთან კი უფრო მძიმე კლინიკურ შემთხვევასთან გვაქვს საქმე. თუ უფლის საუბარი მოსესთან ჰალუცინეგონური სუბსტანციების მიღებით იყო გამოწვეული, მაშინ მოსედან დღემდე, ამ ლოგიკით, იქნებ მსოფლიოც ამ ჰალუცინეგონური სუბსტანციის ნაყოფია? აი, ასე „მეცნიერულად და დამაჯერებლად“ ამგვარ „მეცნიერებს“ „შეუძლიათ“ შვიდი საყვირის ამოცანაც „ამოხსნან“ და კაცობრიობის გონი წინ წასწიონ...

კიდევ ერთხელ წავიკითხე „გამოცხადება“ შვიდი საყვირის ეპიზოდის შესახებ, რომელიც ყველაზე დიდი ხილვაა იოანესი. ის არ ამოიწურება მხოლოდ რვიდან მეთერთმეტემდე თავის ჩათვლით, არამედ გრძელდება მეცამეტე თავის იმ ადგილამდე, სადაც საუბარია ხილვაზე შვიდთავიან და ათრქიან ზღვიდან ამომავალი მხეცისა და მიწიდან ამომავალ ორრქიანი მხეცისა, რომელსაც ჰქონდა კრავის მსგავსი ორი რქა და ლაპარაკობდა, როგორც გველეშაპი.

დიდი ყურადღებით წავიკითხე აღნიშნული ადგილები და მთელი „გამოცხადება“. შვიდი საყვირის ლიტერატურული სტრუქტურა ასე ჩამომიყალიბდა: 1. საწყისი სცენა - ანგელოზი შვიდი სასანთლის შუაში. ტაძარი; 2. პირველი საყვირი; 3. მეორე საყვირი; 4. მესამე საყვირი; 5. მეოთხე საყვირი. პირველი განმარტება, სამგზის უბედურების დედამიწის მცხოვრებთა თავზე: „ვაი, ვაი, ვაი დედამიწაზე მცხოვრებთა სამი ანგელოზის საყვირთა დანარჩენი ხმებისაგან, რომელთაც მოუწევთ დაყვირება“ (იოანე 8:13). 6. მეხუთე საყვირი, ციდან დედამიწაზე ჩამოვარდნილი ვარსკვლავი; 7. მეექვსე საყვირი, მეორე განმარტება: კიდევ ორი უბედურება დედამიწის მცხოვრებთა სამი წინა უბედურების შემდეგ. „დაიხოცა ადამიანთა მესამედი ნაწილი“. 8. მეშვიდე საყვირი. მომცრო წიგნი ანგელოზის ხელიდან: „შენ მოგიწევს კვლავ იწინასწარმეტყველო ხალხებსა და ერებზე, ენებსა და მრავალ მეფეზე“. 9. თქმა ორ მოწამეზე: „მივცემ ჩემს ორ მოწამეს და ისინი იწინასწარმეტყველებენ ათას ორას სამოც დღე ძაძებით მოსილნი“. 10. ტაძრის სცენა, აღთქმის კიდობანი, „მოვიდა შენი რისხვა და ჟამი, რათა მკვდრები განკითხულ იქნენ...“ „გაიღო ღვთის ტაძარი ცაში და გამოჩნდა მისი აღთქმის კიდობანი მის ტაძარში...“

ეს გახლავთ ლიტერატურული სტრუქტურის გამარტივებული ვარიანტი. ვფიქრობ, რომ ყურადღებას იმსახურებს მეხუთე საყვირი: „მეხუთე ანგელოზმა დააყვირა საყვირს და ვიხილე ციდან დედამიწაზე ჩამოვარდნილი ვარსკვლავი და მიეცა მას უფსკრულის ჯურღმულის გასაღები“ (გამოცხ.9:1).

შემდეგ მოდის საკმაოდ ვრცელი აღწერა ამ ვარსკვლავის მოქმედების - კალიები, რომლებიც შესახედაობით საომრად გამზადებულ ცხენებს წააგვანან და მათი მეფე, უფსკრულის ანგელოზი, რომელსაც ებრაულად ჰქვია აბადონი, ხოლო ბერძნულად აქვს სახელი აპოლონი.

ამასთან დაკავშირებით გავიხსენოთ ძველი აღთქმიდან ესაია (14:12):

„როგორ ჩამოემხე ციდან, მთიებო, ძეო განთიადისა! მიწას დაენარცხე, ხალხთა მტარვალო!“

ჰალილ ბენ შაჰარი ჰყვება, ოდესღაც ძლევამოსილი ანგელოზის დაცემაზე, რომელიც მოგვიანებით იქცა სატანად ანუ ღმერთისა და ხალხის მტრად და მეხუთე საყვირის დროს სწორედ მასზეა საუბარი. გამოცხადება მას ბერძნულად „აპოლონად“, ხოლო ებრაულად „აბადონად“ მოიხსენიებს, რაც ორივე შემთხვევაში „დამლუპველს“ ნიშნავს.

საყვირები ითვლება აპოკალიფსის უმნიშვნელოვანეს ნაწილად და დამაკავშირებელი რგოლია შვიდ ბეჭედსა და შვიდ წყლულს შორის.

22.01.2020

ირაკლი კენჭოშვილი - 85

85 წლისა შესრულდა თვალსაჩინო ქართველი მწერალი და მეცნიერი ირაკლი აკაკის ძე კენჭოშვილი. ამის გამო საქართველოს მწერალთა კავშირმა იუბილარს მისალმება გაუგზავნა. მისალმებაში ნათქვამია:

ბატონო ირაკლი!

ჩვენო ერთგულო თანამოკალმეო!

საქართველოს მწერალთა კავშირი, თქვენი მეგობარი ქართველი მწერლები გულითადად მოგესალმებიან მხცოვან ამაგდარ შემოქმედსა და ლიტერატურისმცოდნეს და გილოცავენ დაბადების 85 წლისთავს.

1957 წელს ჟურნალ „მნათობში“ გამოაქვეყნეთ პირველი ლიტერატურული წერილი „ილია ჭავჭავაძე და ქართული „შექსპირიანა“. დებიუტი ფეხბედნიერი გამოდგა და მას შემდეგ თქვენი ნაწარმოებები სისტემატურად ქვეყნდება ქართულ სალიტერატურო თუ სამეცნიერო პერიოდიკაში, გამოდის ცალკე წიგნებად.

ფართო საზოგადოებრიობა გიცნობთ, როგორც ღრმადგანსწავლულ, ერუდირებულ მკვლევარს ქართული და არამარტო ქართული მწერლობისა, გიცნობთ, როგორც ღირსეულ წევრს ქართული ლიტერატურის მკვლევართა გუნდისა.

სწორედ ზემოთთქმულის დასტურია თქვენი ისეთი წიგნები, როგორიცაა „გალაკტიონ ტაბიძე და ევროპული ლიტერატურა“, „გალაკტიონ ტაბიძის პოეტიკა“, „კრიტიკული ძიებანი“, „გალაკტიონ ტაბიძის სამყაროში“.

არაერთი ძალზე მნიშვნელოვანი და საყურადღებო სტატია მიუძღვენით, როგორც ქართული (შოთა რუსთაველი, დავით გურამიშვილი, ალექსანდრე ჭავჭავაძე, ნიკოლოზ ბარათაშვილი, სიმბოლისტები), ისე უცხოური (უილიამ შექსპირი, მიგელ სერვანტესი, უილიამ ბლეიკი, თომას ელიოტი, ჯეიმზ ჯოისი, ერნესტ ჰემინგუეი) ლიტერატურის კლასიკოსთა შემოქმედებას.

მართლაც რომ სასიამოვნო მოვლენად იქცა ჩვენი სალიტერატურო ცხოვრებისა თქვენს მიერ შედგენილი და თქვენივე რედაქტორობით გამოცემული ქართული ლირიკის ანთოლოგია (1765-1825), რომელშიც XVII-XVIII საუკუნეების არაერთმა მნიშვნელოვანმა პოეტმა დაივანა. მსგავსი რეზონანსი ჰქონდა ალექსანდრე ჭავჭავაძის თხზულებათა აკადემიურ გამოცემას, რომელიც თქვენი დიდი რუდუნების შედეგად შიქმნა.

თქვენს კალამს ეკუთვნის წერილები მოდერნიზმზე.

მშვენივრად თარგმნეთ ენტონი ბერჯესის „ერნესტ ჰემინგუეი და მისი სამყარო“, თომას მაინ რიდის „ოკეანეში დაკარგულები“, ერნესტ ჰემინგუეისა და სომერსეტ მოემის მოთხრობები.

სად არ გიმუშავიათ. სხვადასხვა დროს იყავით კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის რედაქტორი, საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის მეცნიერ-მუშაკი და კომპარატივიზმის განყოფილების გამგე, ჟურნალ „კრიტერიუმის“ მთავარი რედაქტორი, ლიტერატურის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს წევრი, ჟურნალ „სჯანის“ სარედაქციო კოლეგიის წევრი, საქართველოს პარლამენტის ორი მოწვევის დეპუტატი, თბილისის საკრებულოს წევრი...

ჩვენო ირაკლი!

კიდევ ერთხელ გულითადად გილოცავთ საიუბილეო თარიღს საყვარელ კოლეგას და მტკიცედ გვწამს, რომ წელთა სიმრავლე ვერარას დააკლებს თქვენს პიროვნებას და კიდევ დიდხანს იღვაწებთ ქართული მწერლობის სასიკეთოდ.

საქართველოს მწერალთა კავშირი

ავთანდილ ივანიძე - 75

75 წლისა შესრულდა ცნობილი ქართველი პოეტი და მხატვარი ავთანდილ არჩილის ძე ივანიძე. ამის გამო საქართველოს მწერალთა კავშირმა იუბილარს მისალმება გაუგზავნა. მისალმებაში ნათქვამია:

ძვირფასო ბატონო ავთანდილ!

საქართველოს მწერალთა კავშირი, თქვენი მეგობარი ქართველი მწერლები გულითადად მოგესალმებიან ჩინებულ შემოქმედს, ჩვენს ერთგულ ძმას და თანამოკალმეს და გილოცავენ ღირსშესანიშნავ თარიღს - დაბადების 75 და ლიტერატურულ-შემოქმედებითი მოღვაწეობის 55 წლისთავს.

1967 წელს გორის სალიტერატურო ალმანახ „ლიახვში“ გამოქვეყნდა თქვენი პირველი ლექსები და მას შემდეგ ნაყოფიერ შემოქმედებით მოღვაწეობას ეწევით, პერიოდულად აქვეყნებთ რა თქვენს ნაწარმოებებს ქართულ სალიტერატურო ჟურნალ-გაზეთებში.

თქვენი პოეტური კრებულები, ისეთები, როგორიცაა „საუბარი გულთან“, „ჰიმნი სიყვარულისა“, „შენთან ერთად“ ქართველი მკითხველის ინტერესითა და მოწონებით სარგებლობს. ამ კრებულებში თქვენი მშობლიური კუთხის - მესხეთის სისხლით მორწყული ისტორიაა დაუნჯებული, ვარძიისა და ხერთვისის ნათელი ადგას თქვენს პოეზიას და ყოველივე ეს განუმეორებელ კოლორიტს ანიჭებს თქვენს ლექსებს, რომელთა ლირიკული გმირი ცდილობს გაერკვეს ჩვენი ყოფის ცოდვა-მადლში, ცდილობს ამაღლდეს ამაოებაზე და იქ, ცის კაბადონზე დაიდოს ბინა, ცდილობს დროის - დამფრთხალი იაბოს დაურვებასა და წვრთნას... უმთავრესი კი მისთვის იმ სიწმინდეების დაცვაა, ჩვენმა წინაპრებმა საპატრონოდ და მოსავლელად რომ დაგვიტოვეს...

თქვენი მშვენიერი თარგმანებით გაეცნო ქართველი მკითხველი მიხეილ ლერმონტოვის, ანა ახმატოვას, მარინა ცვეტაევას, სერგეი ესენინის ლექსებს.

ჩვენთვის, თქვენი მეგობრებისთვის კარგადაა ცნობილი თქვენი გატაცება მხატვრობით. თვითნასწავლი მხატვარი ხართ და საკუთარი სულის ნაწილს უყოყმანოდ უთმობთ ხელოვნების ამ ურთულეს ჟანრს...

ნაყოფიერ საზოგადოებრივ მოღვაწეობას ეწევით. სხვადასხვა დროს მუშაობდით საშუალო სკოლების დირექტორად, თბილისის გლდანისა და კრწანისის რაიონების განათლების განყოფილებების ინსპექტორად და მეთოდისტად, განათლების რესპუბლიკური სკოლის მეთოდისტად, გაზეთ „სარანგის“ ლიტმუშაკად, გაზეთის „საუბრები ბიბლიაზე“ მთავარ რედაქტორად...

თქვენი გარჯა და მწერლური ღვაწლი ორჯერ აღინიშნა „შოთაობის“ (მესხეთი) პრემიით. თავის დროზე გაიმარჯვეთ შემოქმედ პედაგოგთა ლიტერატურულ კონკურსში. მონიჭებული გაქვთ ქართული კულტურის ამაგდარის საპატიო წოდება. გვიხარია, მათ რიცხვს გიორგი ლეონიძის სახელობის პრემიაც რომ შეემატა.

ძვირფასო ავთანდილ!

კიდევ ერთხელ გულითადად გილოცავთ საიუბილეო თარიღს დამაშვრალ, ამაგდარ შემოქმედს. დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და შემოქმედებით წინსვლას გისურვებთ.

საქართველოს მწერალთა კავშირი



ჯემალ ინჯია - 85

85 წლისა შესრულდა გამოჩენილი ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე ჯემალ ნიკოლოზის ძე ინჯია. ამის გამო საქართველოს მწერალთა კავშირმა იუბილარს მისალმება გაუგზავნე. მისალმებაში ნათქვამია:

ბატონო ჯემალ!

ჩვენო ძვირფასო და საყვარელო თანამოკალმეო!

საქართველოს მწერალთა კავშირი, თქვენი მეგობარი ქართველი მწერლები გულმხურვალედ მოგესალმებიან დიდებულ შემოქმედს, თანამედროვე ქართული პოეზიის ერთ-ერთ გამორჩეულ წარმომადგენელს და გილოცავენ დაბადების 85 წლისთავს.

თქვენი სამწერლო ნათლობა აწ უკვე შორეულ 1955 წელს შედგა, როდესაც გორში გამომავალ ალმანახ „ლიახვში“ გამოაქვეყნეთ პირველი ლექსები. მას შემდეგ ქართველი მკითხველისთვის ოქეციით თქვენი საესავი სამშობლოს უერთგულეს მეციხოვნედ, რომელსაც გულისფიცარზე აქვს ამოტვიფრული დიდი ილია მართლის სამება - მამული, ენა, სარწმუნოება. ამ უწმინდეს იდეალებს ემსახურებით თითქმის შვიდი ათეული წლის განმავლობაში და, ალბათ, ამიტომაც არის ასე საინტერესო და მნიშვნელოვანი თქვენი ლიტერატურული ცხოვრება, ძიებებით, მიგნებებით, დიდი ადამიანური ტკივილებითა და სიხარულით რომ არის გაჯერებული.

ქართველმა მკითხველმა შეიყვარა თქვენი პოეზია, ისეთ პოეტურ კრებულებში რომ დაივანა, როგორიცაა „ლიახვმა თქვა“, „კალენდარი“, „ლირიკული დღიური“, „სილუეტი“, „ლირიკა“, „თავთავები“, „ნამუსის ქუდი“, „ასი ლექსი სიყვარულზე“, „დავიწყებული ვალსები“, „სონეტების გვირგვინი“, „ასი ლექსი“, რჩეული, „მწამს, ანუ მიყვარს“, „გორს და გორელებს“, ერთტომეული, ოთხტომეული...

თქვენი შემოქმედება, თქვენი ლექსი ხომ მშობელი ერის უებრო მსახურების მშვენიერ მაგალითს წარმოადგენს. თქვენს პოეზიას სილაღე და მელოდიურობა, ვერსიფიკაციული მრავალფეროვნება, გამოკვეთილი რიტმი, ეფექტური რითმა, სიტყვის ფლობის არაჩვეულებრივი უნარი, ორიგინალური ხედვები გამოარჩევს სხვათაგან. როგორ შეიძლება გამორჩეულად არ აღვნიშნოთ, რომ ქართულ სინამდვილეში თქვენ ერთ-ერთმა პირველმა შექმენით კლასიკური მოდელი ისეთი ურთულესი პოეტური ფორმისა, როგორიცაა სონეტების გვირგვინი. სულ ახლახან გამოცემული კრებული „ირმის ნახტომი“, რომელშიც შესულია სონეტების ცამეტი გვირგვინი თქვენი პოეტური ძალმოსილების დასტურია . თქვენი შემოქმედების გაცნობისას კიდევ ერთხელ ვრწმუნდებით, რომ ჯემალ ინჯიას პოეზიის წვიმა ასე სიყვარულით რომ ეფინება მშობლიურ მთა-ბარს, არასდროს მდგარა სხვის ღრუბლებში და მუდამ თავისთავადობით გამოირჩევა.

თქვენი ლექსები თარგმნილია უკრაინულ, ინგლისურ, უზბეკურ, ფრანგულ, სომხურ, რუსულ, ოსურ, რუმინულ ენებზე.

საყურადღებოდ მიგვაჩნია თქვენი პროზაული ნიმუშები: „ფარული ჩანაწერები“ (2 წიგნად), „ანფასები და პროფილები“, „აი, იაკობი“ (ბავშვებისათვის განკუთვნილი წიგნი იაკობ გოგებაშვილზე), „აბრისი“ (ოთარ ჩხეიძისადმი მიძღვნილი)...

დიდებულად თარგმნეთ ედგარ პოს , ბორის პასტერნაკის, ალექსანდრ ბლოკის, ალექსანდრე პუშკინის, მარინა ცვეტაევას, ვლადიმერ მაიაკოვსკის, მიხეილ ლუკონინის, ნიკოლოზ ტიხონოვის, სამუელ მარშაკის, რევაზ ასაევის პოეზიის ცალკეული ნიმუშები. ცალკე აღნიშვნის ღირსია თქვენი ღვაწლი, რაც დასდეთ სერგეი ესენინის ქართულად ამეტყველებას. თქვენი პოეტური ძალმოსილების მკაფიო დემონსტრაციად იქცა პორტუგალიური პოეზიის კლასიკოსის ლუის დე კამოენსის მსოფლიო მნიშვნელობის რენესანსული ეპიკური შედევრის „ლუზიადების“ თქვენეული თარგმანი. თქვენვე თარგმნეთ ლიტველ პოეტთა მცირე ანთოლოგია „ლიტვური პოეზიის გაზაფხული“. სულ ახლახან გამოეცით მშვენიერი წიგნი „მსოფლიო პოეზიის ზარდახშა“, რომელშიც თქვენს მიერ თარგმნილმა ყველა დიდმა უცხოელმა პოეტმა დაიდო ბინა...

თქვენი სახით მართლაც რომ გამორჩეული საზოგადო მოღვაწე ჰყავს შიდა ქართლს - საქართველოს გულს. ათწლეულების განმავლობაში ხელმძღვანელობდით გორის სამწერლო ორგანიზაციას და სულს უდგამდით დიდი კულტურული ტრადიციების წინსვლას მშობლიურ ქალაქში. სხვადასხვა დროს მუშაობდით გორის კულტურის განყოფილების გამგედ, გაზეთ „გამარჯვების“ განყოფილების გამგედ, შიდა ქართლში საქინფორმის საკუთარ კორესპონდენტად, გორის განათლების მუზეუმის დირექტორად, გაზეთების „ქართლისა“ და „ლიტერატურული გორის“, ჟურნალ „ქართლის“ მთავარ რედაქტორად. არჩეული ხართ საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობისა და ჟურნალ „განთიადის“ სარედაქციო საბჭოს წევრად,

თქვენი მრავალწლიანი ღვწა და რუდუნება სათანადოდ დაფასდა. დაჯილდოებული ხართ ღირსების ორდენით, მონიჭებული გაქვთ დავით აღმაშენებლის, აკაკი წერეთლის, ივანე მაჩაბლის, გალაკტიონ ტაბიძის, ფრიდონ ხალვაშის სახელობის და საქართველოს მწერალთა კავშირის პრემიები, ქართული პოეზიის რაინდის წოდება. არჩეული ხართ გორის საპატიო მოქალაქედ, გორის სახელმწიფო უნივერსიტეტში გახსნილია თქვენი სახელობის აუდიტორია. გვახარებს, რომ თქვენი ჯილდოების რიცხვს გიორგი ლეონიძის პრემია შეემატა.

გვახარებს, რომ ახლაც ჭაბუკური გატაცებით ემსახურებით ქართული პოეზიის წინსვლას. ამის დასტურია თქვენი სულ ახლახან გამოცემული კრებულები „სამასი უღალატო“, „მხოლოდ შენ ერთს“, „წვიმის სიმფონია“.

ჩვენო ჯემალ!

კიდევ ერთხელ დიდი სიყვარულით გილოცავთ საიუბილეო თარიღს ძველქართული პატიოსნებით გამორჩეულ შემოქმედს, გისურვებთ დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და თქვენი ყველა სანატრიონის აღსრულებას.

საქართველოს მწერალთა კავშირი

ქალთამზე ანა სურმანიძე

ხელისგულები

როდესაც ვდუმვარ
ბეწვის ხიდზე გადიან მაშინ,
გზას გვერდს უვლიან
ჩემი ცხელი ხელისგულები.
ჯიხვის სისწრაფით,
ჟინით,
ომით,
გამბედაობით,
ქარაფს რქებს ახლის
ოღონდ მისწვდეს
სულის პირიმზეს.

როცა ხორხიდან ამოდიან
ზმნები,
კავშირი,
შორისდებული,
რიცხვითი თუ ნაცვალსახელი,
ხელისგულებზე ცელსიუსის შავი შტრიხები
მორცხვად თავს ხრიან,
წითლდებიან
და მაღლდებიან.

და როცა ვტირი
ჩემი ცხელი ხელის მტევნები
ემსგავსებიან სტალაქტიდის გამჭვირ
ლოლუებს,
რომლებსაც წლები,
საუკუნე
თითებს უგრძელებს,
რომლებსაც ჩემი უმარილო ცრემლივე
ალხვობს.

და სტალაქტიდის მტევნებს შორის ჩამდ-
გარი სითხე
ტვინის მღვიმიდან
ზღვას უერთდება...

ჯონათან

თვალები. მზე. წყალი. ტირიფი.
ტალღები. სილურჯე. კვალი.
თოლია
ფიქრები.
საზღვრები.
გაფრენა.
გარღვევა.
ხვალე.
მორჩილნი. ჯგუფები. საკვები.
თევზები. ბრბო. ბნელი სონატა.
ძიება.
შეცნობა.
ამბოხი.
იფრინე,
იფრინე,
ჯონათან!

ახალშობილის ხე

მა, შენ რომ დამირგე ატმის ნერგი,
მე რომ დავიბადე,
პირველად, ცამეტის ვიყავი რომ გახმა.

მე გითხარ,
ალბათ მეც მოვკვდები
და მთელი ღამე ცრემლი ვთესე.
შენ დილით
სხვა ადგილას გადაგირგავს.

მალევე თვალი გაახილა.
უჭირდა,
თუმცა ახერხებდა მზის დაბუდებას
და ფეთქდება ატმისფერი გაზაფხულები.

რამდენიმეჯერ სცადა სიკვდილი,
შენ ყოველ ჯერზე უცვლიდი ადგილს
და არ აძლევდი კვდომის უფლებას.

ის ფხიზლდებოდა.

მე ვეხვეოდი
როგორც სულისცალს
და ჩემი ყველა მწუხარება
ტანში გაუჯდა.
ფესვმა ინოვა ჩემი ცრემლის ნაკადულები
და ღიმილები გამოისხა კვირტად აქა—იქ.

რაც შენ წახვედი,
აღარავინ უცვლის ადგილებს.
რაც შენ წახვედი
ერთნაირად გვზნექს ქარიშხალი.

ბაღის განაპირას,
როგორც დანის პირას,
ჩემი სიცოცხლის დანაპირით,
ვერ გახარებული,
ვერ აყვავებული,
თრთის
"ახალშობილის ხე".

***

გარეთ წვიმს,
შიგნით ტკაცუნობს შეშა,
ხის სუნი ასდით ოთახის კედლებს.
მე ვიტყვი, ნაცრად იქცევა ცეცხლი,
შენ,- ნაკვერჩხალი დამალვას შეძლებს.

***

ეს მე ვარ, ღმერთო,
უნახატო ჩარჩო კედელზე,-
ფერად კვადრატში
მომწყვდეული სიცარიელე...

მოწყალების ტოტები

მოწყალებისთვის გამოშვერილ ტოტებზე
საქანელას ნუ ჩამოკიდებ.
თუ მაინც არ დაიშლი, მხოლოდ ბავშვები
აქანავე.
და როცა თოკის გამალებული ხახუნის
გამო მხრებზე კანი გადაძვრება,
ჩამოხსნი საქანელას?

და თუ ჩამოხსნი იტირებს ბავშვი.
თუ კი დატოვებ, იტირებს ხე.
ნუ მიატოვებ იმ ტივებს წყალში,
ოდესღაც ისხდნენ იმ ტივებზე.

ტივის გულები ამ ხის საკუთრება იყო წინათ,
ახლა რომ მოწყალების ტოტები გაუშვერია.

აცალე

არ ნანობ, არ ტირი, არ ეძებ,
იქნება, რაც იყო, რაც არი,
ხომ ბევრჯერ გაწურე კენჭები,
ხომ თვალში იყარე ნაცარი.
ხომ წაღმა აბრუნე ზღაპარი,
რაც იყო , არ იყო, არც არი,
ხომ მკლავის მაგივრად, ერთჯერაც,
ცხოვრება გრიგალზე აცარი.
ღმერთმანი,ზღაპრები მთავრდება,
იქ აღარ რჩებიან ცალ- ცალი.
ნუ ტირი, ქარები ჩადგება,
ითმინე, მეზღაპრეს აცალე.

აღაზა მთისპირელი

/ზარი/

ავაჰ, ჩაშლილო კლდისპირო,
ავაჰ, დაცლილო სიათა,
ხარლაღო, ქედდადრეკილო,
ნამუსრაებო ჭიათა.
ნისლებს რომ მანდილ გადუყრის,
დადგეს რამ წამი შვებისა,
არც რაი, შენი აღაზა,
ფარაგით იხოშრებისა.

/ნაწყვეტი/
•
ილოცავს აშექალაი, თოლთ ნისლი
ჩაუფენია,
ოქროს თოქალთო მზა არი, ოქროსავ
ჰყრია ქერია,
არ გასწყრეს ხატისბატონი,
ნაღვარევმშვენიერია.
მინდორაებზე გაშალოს ლეგა
ღრუბლების ჯარია.
კრძალულად სდგანან ლანდები,
ზანზალაკების ქარია,
ნიავმა შასძრას, შაიღოს, დიდის
ბატონის კარია.

•
ტოტს ანანავებს ჩინარის,
ნიავი ბედისწერისა,
ტოტებზე ორბნი დამსხდარან,
ტოტქვეშ კვალია მწევრისა.
რა სულ ერთ ალაგს შაყრილან ,
გზა დევნილის და მდევრისა.

•
ჭოროხიდანა როშკამდე,
გზა-ბილიკები რაც არი,
ჩემი მანდილის ჩრდილია,
ჩემი ნაწნავის გზა არი !

ბროწეულის ღვინო

*
შენ რომ გიყვარდე,
გავიშლიდი საკინძეს მკერდზე,
და დამწიფებულ ბროწეულებს გამოგი-
ჩენდი.
დამცვივდებოდა ლალის მძივი,
მოტკბო-მომჟავო.
შენი თითებიც,
გამოთლილი სპილოს ძვლისაგან...
და შენი ბაგეც, აბრეშუმის,
დაითვრებოდა...
დაიღვრებოდა ჩემი სულიც
თიხის სურიდან...
შენ რომ გიყვარდე,
ღმერთო, ჩემო,
შენ რომ გიყვარდე..

•

სადა ხარ, პირიქითელო,
მწიფს ბროწეულის კალო,
ლალის მძივები აცვივა
ნდომის კამკამა წყაროს.
თვრებოდე, ინაბებოდე,
წყლით ისველებდე ბაგეს,
ვეფარებოდე ცხრა ციხეს,
ჩუმი ლოდინით ნაგებს.

მკერდზე მილეწდე საღილეს,
მწიფე თავთავის კალოს,
გინდოდეს, მომესწორფერო,
თუ არა , გამეყარო.

•
ძნელი ხარ, წუთისოფელო,
დამცემ ცეცხლსა და ტყვიასა,
ხან ხოდაბუნში დამმალავ,
ხანაც გამაჩენ ტყიანსა.
გულს მამიწურავ, მამიჭერ
შაჰკრავ გზას უგზოს, გზიანსა.
საცა თავთავებს გაჰფანტავ,
ღვარძლიც იქ გადაიარსა.
რაც რამ ვარამი ვიწვნიე,
სულ ჩემი სიბეჩავითა,
ახალქალობაც იყო და
რა უგზო-უკვლოდ წავიდა.
საცრით წყაროდან ნაზიდი
მადლი ხელთ არა მჭერია,
ვინაც მეგონა მოყვარე,
თურმე მოსისხლე მტერია.
ძნელი ხარ წუთისოფელო,
მესვრი ტალახს და ტყვიასა,
ხან ხოდაბუნში დამმალავ,
ხანაც გამიყვან ტყიანსა.

*
ნისლი ჩამოდგა არხვატსა,
ლეგა ღრუბლების სამყოფელს,
ნეტავი, ოქროს ბულულას,
ცისა და ხმელის გამყოფელს.
მოვანდეს გულსა უტრფოსა,
უწვიმარ, უმზექაროსა,
იმან ხომ იცის, ჩემს იქეთ,
არც ვისკენ მიეჩქაროსა.
გამოვშლი ნისლის თივთიკებს,
როგორც ფერგაცლილ პირიმზეს,
შემეფაკლება ფურცლები,
ხარ-ირმის პირველ ყვირილზე.
ნეტავ ნისლს, ჩამდგარს არხვატსა,
ლეგა ღრუბლების სამყოფელს,
ნეტავ, ოქროსა ბულულას,
ცისა და ხმელის გამყოფელს.

(ნაწყვეტი)
*
ნისლებს გამოვშლი ქედებზე,
ღრუბლებს წავასხამ მითხოდან,
იმან თქვას, შაიყარნეთო,
ვინც ადრე გაყრას ითხოვდა.
დავტოვებ ბროლის სასახლეს,
მამა-პაპათა საძვალეს,
რაც სხვას უნდოდეს,სხვას ჰქონდეს,
მე ჩემი დარდი მაწვალებს.

•
შენ კარგად იცი,
ეს ბილიკი ჩემთან არ მოვა
ველური ნდომაც,
უნებართვოდ
აგყრის იარაღს.
ჩაგისაფრდება ლელიანში
ქარი ვერაგი,
რომ ცხელი კოცნით
გამოშალოს
ყველა იარა.
გაგლეჯილია საგულესთან
თეთრი პერანგი,
სველია ზუჩი,
ლელიანში წრიალებს ქარი.
სისხლი სდის შენს წინ
უნებურად დაცემულ ბალახს,
და დევის ძვალი,
მავთულებით მიბმული მორზე,
დროგამოშვებით ხმაურობს და
აღვიძებს ჭალას.

ელგუჯა მგელაძე

საქორწილო წიქარა

ჩემი უფროსი და მედეია მგელაძე 1971 წელს გაბედნიერდა, ცოლად გაჰყვა ლანჩხუთის რაიონის სოფელ ჭყონაგორის მკვიდრს ლადო ორმოცაძეს, რომელიც იმჟამად უკვე თბილისში ცხოვრობდა და მუშაობდა. ქორწილი, როგორც წესი ჯერ ჩვენს სოფელ ზომლეთში გაიმართა, ხოლო შემდეგ სიძის ოჯახში.

ლადოს უაღრესად შრომისმოყვარე, კეთილსინდისიერი და პატიოსანი მშობლები ჰყავდა — ბატონი მინაგო და ქალბატონი მარუსია. მათ ძლიერი ოჯახი ჰქონდათ, ძირითადად ეწეოდნენ მესაქონლეობას და მინათმოქმედებას. მინაგო ორმოცაძეს მრავლად ჰყავდა შინაური ფრინველი, მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონელი, ჰყავდა ცხენებიც.

სოფელ ჭყონაგორაში ჩვენი პირველი შეხვედრისთანავე ბატონმა მინაგომ გამომიცხადა, რომ საქორწილოდ მჩუქნიდა ორწლიან მოზვერს, რომელიც, დაჟინებული თხოვნის შემდეგ მაჩვენა კიდეც. მოზვერი რომელსაც წიქარა ერქვა, მუქი წაბლისფერი იყო, ძალიან კარგად მოვლილი და ჩასუქებული. მან დამინახა თუ არა, რატომღაც ჩემსკენ გადმოდგა რამდენიმე ნაბიჯი, შემდეგ შეჩერდა, თავი მაღლა ასწია და თვალებში მომაჩერდა, კარგახანს ასე გაუნძრევლად იდგა, შემდეგ მოულოდნელად თვალები დახუჭა და ნათლად დავინახე თუ, როგორ წამოსცვივდა დახუჭული თვალებიდან ცრემლები. შემდეგ თვალები გაახილა და ისევ მე მომაშტერდა, აშკარა იყო რაღაცას მეუბნებოდა, ალბათ იმას, რომ არ დამეჩქარებინა ჩემი დაოჯახება და ქორწილის გამართვა, რასაც, ბუნებრივია, შეეწირებოდა მისი სიცოცხლე.

იმჟამად მე 21 წლის ვიყავი და ამ შემთხვევამ ცუდ ხასიათზე დამაყენა, მაგრამ სუფრაზე ღვინის სმის შემდეგ იგი სულ დამავიწყა, თუმცა შემდგომში იქ ნანახი უამრავჯერ ამომიტივტივდებოდა ხოლმე ჩემს მეხსიერებაში.

ჩემი დის ქორწილიდან რამდენიმე თვე გავიდა და ცხენზე ამხედრებულმა ბატონმა მინაგომ ჩემი საქორწილო წიქარა ზომლეთში ამოდენა ჩემს მშობლებთან, თან დაარიგა ისინი, რომ კარგად ედევნებინათ თვალი, პირველ ხანებში მაინც, რათა საქონელი თავის ძველ პატრონთან არ დაბრუნებულიყო.

მანძილი ჩვენსა და ჩემი სიძის სახლს შორის, უმოკლესი საცალფეხო ბილიკით, ათიოდე კილომეტრი იქნება. სწორედ ამ გზაზე გამოატარა მოზვერი ბატონმა მინაგომ ზომლეთში ამოყვანისას. მამაჩემს თავდაპირველად წიქარა სულ ეზოში ჰყავდა გაშვებული და იქ აბალახებდა, თუმცა რამდენიმე თვის შემდეგ თავის სხვა საქონელთან ერთად საბალახოდ ეზოს გადაღმა საძოვარზე გაუშვა.

დაახლოებით ერთი კვირის შემდეგ მოზვერი სხვა საქონელთან ერთად საღამოს შინ აღარ დაბრუნდა. ცოლქმარმა მთელი სოფელი მოიარეს, მაგრამ მისი პოვნა ვერ შეძლეს. შემდგომში ერთ-ერთმა მეზობელმა გაიხსენა, რომ უცხო საქონელმა რომლის აღწერილობაც ზუსტად ემთხვეოდა დაკარგულისას, ჩვენი ეზოს წინ ჩაიარა და გეზი ლანჩხუთისაკენ ჰქონდა აღებულიო. ეს გზა სწორედ იმ ბილიკს უერთდებოდა, რომლითაც იგი ჩვენთან ამოიყვანეს.

მამაჩემმა გადაწყვიტა სოფელ ჭყონაგორაში წასულიყო და გაერკვია თავის ძველ პატრონთან ხომ არ დაბრუნდა მოზვერი, მაგრამ მეორე დღეს ეს რატომღაც ვერ მოახერხა და ერთი დღით გადადო გამგზავრება, თუმცა ეს აღარ გახდა საჭირო, ვინაიდან მეორე დღეს ბატონი მინაგო კვლავ ცხენზე ამხედრებული ეწვია ჩვენებს ზომლეთში და დაკარგული მოზვერი უკან ამოუდენა.

ჩვენების სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა: უზომოდ გაიხარეს დაკარგულის პოვნით და მძახალის სტუმრობით, მამაჩემმა მაშინვე რამდენიმე მეზობელს უხმო და სულ მალე ოჯახში მშვენიერი პურმარილიც გაიშალა...

ამ ამბის შემდეგ მოზვერს ეზოდან აღარ უშვებდნენ, მან, მართალია, ძალიან მოიწყინა, მაგრამ უზარმაზარ ეზოში მაინც მშვიდად ძოვდა საუკეთესო ბალახს და თითქოს ბედსაც შეეგუა.

ერთხელაც დედაჩემს ეზოს ჭიშკარი ღიად დარჩენოდა, რითაც ისარგებლა წიქარამ და, რომ იტყვიან, თვალსა და ხელს შუა გაუჩინარდა. ამის გაგებისთანავე მის საძებნელად საჩქაროდ წასული დედაჩემი ისევ ძველ გზას დამდგარ წიქარას სოფლის ბოლოში წამოეწია და უკან დაბრუნება დაუპირა, მაგრამ ეს იოლი არ აღმოჩნდა, ვინაიდან მოზვერმა არ ისურვა უკან დაბრუნება და ჯიუტად ცდილობდა მისი ძველი პატრონისაკენ გზის გაგრძელებას.

დედაჩემი იძულებული გახდა გზად შემხვედრი ჩვენი სოფლელებისთვის ეთხოვა დახმარება და წიქარას უკან დაბრუნება მხოლოდ მათი გულმოდგინე დახმარების შემდეგ მოხერხდა.

ამის შემდეგ წიქარაზე მეთვალყურეობა გაორმაგდა. მის სამოქმედო არეალს მხოლოდ ეზოში ბალახობა წარმოადგენდა, საღამოს კი სხვა საქონლებთან ერთად ბოსელში თავის ადგილს მიუჩენდნენ.

გავიდა დრო და ექვსიოდე თვის შემდეგ მოზვერი თითქოს საბოლოოდ შეეგუა თავის ბედს, მაგრამ ჩვენივე სოფლის, საკმაოდ მოშორებით მცხოვრები ერთ-ერთი მეზობლის დაკრძალვიდან უკან დაბრუნებულ ჩემს მშობლებს ეზოს ჭიშკარი ღია დაუხვდათ და წიქარა აღარსად ჩანდა, არადა, უკვე მოსაღამოებული იყო. საკმარისზე მეტი მცდელობის მიუხედავად მის კვალს ვერ მიაგნეს და გადაწყვიტეს მის საძებრად მეორე დილით კვლავ ჭყონაგორაში წასულიყვნენ.

მამაჩემი მეორე დილით ერთ-ერთ ჩვენს მეზობელთან ერთად მანქანით მართლაც ეწვია მძახლებს ჭყონაგორაში, რომლებიც სიცილით მიეგებნენ მას და უთხრეს: ეს ჩვენი წიქარა რომ არა, ეტყობა, თქვენს სტუმრობას ვერ ვეღირსებოდითო. მერე მზახლებმა გულთბილად მოიკითხეს ერთმანეთი. შემდეგ კი სხვა საქონელთან ერთად მყოფი წიქარაც მოინახულეს, რომელმაც მამაჩემს დანახვისთანავე ზურგი შეაქცია და რამდენიმე მეტრით გაშორდა, შემდეგ კვლავ მისკენ შემობრუნდა, თავის და რქების ქნევით მკაცრად დააცქერდა, თითქოს მიმართავდა: გამეცალე, უკან აღარ წამოვალ, აქ დარჩენა მინდაო.

მასპინძლებმა სტუმრები შინ შეიპატიჟეს და მშვენივრადაც გაუმასპინძლდნენ. ბატონმა მინაგომ კვლავ თავის თავზე აიღო წიქარას ზომლეთში დაბრუნების საქმე, რაც ორ დღეში შეასრულა კიდეც.

მამაჩემმა გადაწყვიტა ურჩი მოზვერისათვის ჭკუა ესწავლებინა და დაესაჯა: დილით ბოსლიდან გამოყვანის შემდეგ მას გრძელი თოკით ეზოში აბამდა, იქვე კი ვედროთი წყალს უდგამდა.

აი მაშინ მოხდა, რაც მოხდა! წიქარამ პროტესტის ნიშნად ჭამას თავი დაანება და დღის მეორე ნახევარში მხოლოდ წყალს მიირთმევდა, ისიც ძალიან ცოტას. დღის განმავლობაში ძირითადად იწვა, ან ეძინა, ან რაღაცაზე ფიქრობდა. რამდენიმე დღე ამ ყოფაში გაატარა და თითქოს გახდა, დაჩიავდა, თვალები ჩაუცვივდა.

დედაჩემმა მაშინვე ვეტერინარი მოუყვანა, რომელმაც გულდასმით გასინჯა პირუტყვი, შემდეგ კი მისი წარმომავლობით დაინტერესდა. ქსენომ ყველაფერი თანმიმდევრო ბით ჩამოურაკრაკა, ამასთან წიქარას სოფლიდან ორჯერ გაპარვა და ძველ მისამართზე დაბრუნებაც, არ გამორჩენია.

ამის მოსმენის შემდეგ ვეტერინარმა, კარგა ხნის დუმილისა და ფიქრის შემდეგ, რამდენიმე პუნქტიანი გადაწყვეტილება მიიღო:

1) წიქარასთვის სასწრაფოდ მიენიჭებინათ თავისუფლება, რაც ითვალისწინებდა თოკიდან მის აშვებას და ეზოში თავისუფლად გადაადგილების შეზღუდვის მოხსნას;

2) წიქარასთან ერთად ეზოში სხვა საქონლის შემოშვებას, რათა ეულად არ ეგრძნო თავი და ცუდი ზრახვებისათვის დრო აღარ დარჩენოდა;

3) მოზვერზე სისტემატური კონტროლის დაწესებას და მისი გუნება-განწყობილების დადგენა-შესწავლას;

4) წიქარასთან ხმამაღალი ლაპარაკის აკრძალვას და მისთვის მსუბუქი მუსიკის ჰანგების ჩართვას!

ამის შემდეგ ვეტექიმმა დედაჩემს უთხრა, რომ, თუ სამ დღეში მდგომარეობა არ გამოსწორდებოდა, იგი კვლავ მოინახულებდა მოზვერს და შემდეგ დასახავდა სხვა ღონისძიებებს, საჭიროების მიხედვით.

ქსენომ ეჭვის თვალით გააცილა ეზოდან მიმავალი ვეტექიმი, ჩანდა, რომ მისი ვიზიტით და რჩევა-დარიგებებით უკმაყოფილო დარჩა, მაგრამ ცხადია, ეს ხმამაღლა არ გამოუთქვამს.

წიქარას რქებიდან თოკის მოხსნის შემდეგ ცხოველი კარგა ხანს გაუნძრევლად იდგა, შემდეგ თავი დააქნია, თითქოს დედაჩემს მადლობას ეუბნებოდა თავისუფლების მინიჭებისთვის. მერე ნელი ნაბიჯით გასცილდა იქაურობას და ბალახობა დაიწყო, რითაც ქსენომ ძალიან გაიხარა. მისთვის ცხადი გახდა, რომ ვეტექიმის რჩევა - ეზოში სიწყნარის დაცვის და მსუბუქი მუსიკის ჰანგების გაჟღერების შესახებ აშკარად იმედს გაამართლებდა და მისი ხელმეორედ მოხმობა საჭირო აღარ იქნებოდა.

გადიოდა დრო, წიქარა მართლაც მალე მომჯობინდა, ჩვეული ხალისიც დაუბრუნდა. ამ დროს იგი უკვე ორწლიანი მოზვერი კი არა, ოთხ წელს მიტანებული ხარი იყო. ჩემს მშობლებს სოფლელებმა რამდენჯერმე შესთავაზეს: ხომ ხედავთ, ბიჭი ცოლის თხოვას ჯერ არ აპირებს, დაგვითმეთ თქვენი წიქარა, გავხედნით და ურემში შევაბამთო, მაგრამ ჩემმა მშობლებმა, რომ იტყვიან, ქვა ააგდეს და თავი შეუშვირეს: წელს ელგუჯა აუცილებლად დაქორწინდებაო. ასე უკვე მერამდენედ ეუბნებოდნენ ისინი მეზობლებს.

...ერთ მშვენიერ დღეს გაურკვეველ ვითარებაში წიქარა კვლავ გაუჩინარდა. ჩვენებმა იფიქრეს, ნამდვილად კვლავ მინაგო ორმოცაძის ოჯახს დაუბრუნდაო და მამაჩემი მძახალს ჭყონაგორაში ისევ ესტუმრა, მაგრამ ხარი იქ არ აღმოჩნდა. მაშინ კი ყველა შეფიქრიანდა და წიქარას გაუჩინარების ათასგვარი ვერსია განიხილეს, რომელთაგან უმთავრესად მისი ქურდობა რჩებოდა.

მამაჩემი სოფელში დარდიანი და ხელცარიელი დაბრუნდა. ცოლ-ქმარი ერთმანეთს აბრალებდა წიქარას დაკარგვას, მაგრამ ამაზე ფიქრმა დიდ ხანს არ გასტანა. რამდენიმე დღის შემდეგ ბატონი მინაგო კვლავ ცხენით ესტუმრა ჩვენებს და კარგი ამბავი შეატყობინა: წიქარა საღ-სალამათი მისულა მასთან, მაგრამ ზომლეთში ვერა და ვერ გამოუდენია, ამიტომ გადაუწყვეტია, ჩემს ქორწილამდე ხარი მასთან დარჩენილიყო, ხოლო საქორწილოდ ან ცოცხლად ამოიყვანდა ანდა დაკლავდა და ხორცს უკლებლივ ამოიტანდა.

ეს წინადადება ჩემი მშობლებისთვის ყოველმხრივ მისაღები იყო და დიდი მადლობაც გადაუხადეს, შემდეგ კი რამდენიმე მეზობელთან ერთად სხვა სადღეგრძელოებთან ერთად წიქარას გამოჩენის სადღეგრძელოც შესვეს.

მინაგო ორმოცაძემ კაცურად შეასრულა თავისი დაპირება და 1979 წლის ოთხ იანვარს გამართული ჩემი ქორწილისათვის მართლაც უზარმაზარი, კიდევ უფრო ჩასუქებული და დამშვენებული წიქარა ცოცხლად მოჰგვარა მამაჩემს...

რაოდენ სამწუხაროა, რომ სწორედ იმ წელს, არც ისეთ ასაკში შესული ბატონი მინაგო გარდაიცვალა.

უფალმა ნათელში ამყოფოს მისი სული.

ქიშო და თევზის დღე

გასული საუკუნის 80-იან წლებში, საბჭოეთის ხელისუფლება ხშირად იღებდა უცნაურ, ხშირ შემთხვევაში მოკლევადიან კანონებს. მაგალითად, ერთხელ შემოიღეს ,,თევზის დღე", რაც იმას ნიშნავდა, რომ მთელი ქვეყნის მასშტაბით ყოველ ხუთშაბათს ყველანაირი ხორცის რეალიზაცია იკრძალებოდა, გარდა თევზისა. ამ კანონით სურდათ, რომ ქვეყანაში დაქცევის გზაზე მდგარი მეცხოველეობის დარგი როგორმე გადაერჩინათ. ქართველებმა ხუთშაბათს ,,თევზის დღე" შეარქვეს.

ძალოვანი სტრუქტურები მთელი ქვეყნის მასშტაბით აკონტროლებდნენ რესტორნებსა და კვების სხვა ობიექტებს და თუ რომელიმე მათგანი ხორცით დამზადებულ საკვებს გაყიდდა, უზარმაზარი ჯარიმები დაეკისრებოდა და დახურვაც კი დაემუქრებოდა.

ამ კანონის მოქმედების დროს 26 კომისრის რაისაბჭოს აღმასკომში, საბინაო ტრესტის მთავარ ინჟინრად ვმუშაობდი. რაიონის მილიციის იმჟამინდელი უფროსი გახლდათ უაღრესად ღირსეული, განათლებული და იუმორით დაჯილდოებული პიროვნება ჯიმი სხირტლაძე, რომლის პირველი მოადგილე იყო ჯან-ღონით სავსე, სპორტული აღნაგობის კაცი შოთა ასათიანი, ხოლო ვაზისუბნის მილიციის ქვეგანყოფილების უფროსი, ამ ამბის მთავარი გმირი, ქიშვარდ ლომსაძე გახლდათ, რომელსაც რატომღაც ყველანი ქიშოს ვეძახდით.

ერთხელ, ოთხშაბათ დღეს, მას აღმასკომის სხდომაზე ჰქონდა ასეთი საკითხი: ,,დედაქალაქის გარეგნული იერსახის მოწესრიგებისა და შემდგომი გაუმჯობესების შესახებ."

სხდომაზე რაიონის მილიციის ხელმძღვანელობა და უბნის ინსპექტორებიც იყვნენ მიწვეული. სანამ სხდომა დაიწყებოდა, ცხარე დისკუსია გაიმართა შოთა ასათიანსა და ზემოხსენებულ ქიშოს შორის. ბატონი შოთა აცხადებდა: გუშინ თბილისის ზღვაზე ვიყავი, პანსიონატ "ოქროს საწმისიდან" მეორე სანაპირომდე გადავცურეო. ქიშო კი ეწინააღმდეგებოდა და ეუბნებოდა ეგ წარმოუდგენელია და ამ ჩვეულ ბაქიბუქობას მორჩიო.

ცოტა ხნის კამათის შემდეგ დანიძლავდნენ: თუ შოთა მართლა გადაცურავდა თბილისის ზღვას, ქიშოს 10-კაციანი პურმარილი უნდა ეკისრა ,,ქოიავას დუქანში", ხოლო თუ ვერა, ანალოგიურ სუფრას შოთა გაშლიდა. ნიძლავი მე უნდა ჩამეჭრა. ამიტომ სხდომისთვის საჭირო მასალებით სავსე საქაღალდეები იქვე დავდე და მჭიდროდ ჩამორთმეული მათი ხელები ჩავჭერი... თან შოთას შევთავაზე: უკან ნავით გავყოლოდით და თუ მეგობარს ცურვა გაუჭირდებოდა, მაშველი რაზმიც იქვე ვიქნებოდით.

ორივეს ჭკუაში დაუჯდა ჩემი წინადადება და მეორე დღისათვის დავთქვით შეხვედრა თბილისის ზღვასთან არსებულ პანსიონატ "ოქროს საწმისთან".

გათენდა ხუთშაბათიც, დათქმულ ადგილას შევიკრიბეთ, ქიშო, მე და კიდევ მილიციის ორი თანამშრომელი. შოთას ცოტა შეაგვიანდა. თურმე საქმეებს აგვარებდა, სანამ ჩვენამდე მოვიდოდა, დაურეკავს ბატონი ჯიმი სხირტლაძისათვის, მისი მოადგილეებისთვის, კიდევ რამდენიმე სხვა ძალოვანისთვის და საღამოს 7 საათისათვის ისინი დაუპატიჟნია თბილისის ზღვასთან მდებარე "ქოიავას დუქანში." ეს დუქანი იმ დროისათვის მთელ ქალაქში გამოირჩეოდა ადგილმდებარეობით, ხედებით, სიგრილით, სისუფთავითა და გემრიელი პურმარილით.

მოკლედ, სტუმრებისა და რესტორნის შეფ-მზარეულის გაფრთხილების შემდეგ გამოცხადდა სანაძლეოს მოსაგებად ჩვენი შოთა, ტანსაცმელი გაიხადა და ნავის კიჩოდან წყალში გადაეშვა, ჩვენ კი ნავით უკან მივყევით.

მოცურავის ძლიერი მკლავები ,,მხარულით" აპობდა ზღვის ტალღებს, შუამდე არც ვიქნებოდით მისულები, რომ შოთამ შეანელა ცურვა, მოგვიტრიალდა და ქიშოს მიმართა: მგონი გაგიმართლა, ძმაო! დღეს რაღაც ვერ ვარ ფორმაშიო. ქიშომაც ვითომ გულნატკენმა უპასუხა: თავს რისთვის იკლავ, შე კაცო, ამოდი, არაფერი დაგემართოსო, მაგრამ შოთამ მაინც გააგრძელა მხარულით ცურვა. ზღვის ორიმესამედი ექნებოდა გადაცურული, რომ კვლავ მოგვიტრიალდა: რა თვალი მეცა ასეთი, ისე დავიღალე, არა მგონია ნაპირამდე მივაღწიოო.

ეს თქვა, მაგრამ მაინც განაგრძო ზღვასთან ჭიდილი. 200 მეტრიღა ექნებოდა ნაპირამდე დარჩენილი, რომ კვლავ მოგვიტრიალდა: მეტი აღარ შემიძლია, ბიჭებო! ვეღარ ვუძლებო და თითქოს იძირებაო, ფართხალი დაიწყო.

ცოტა არ იყოს შეგვეშინდა, ქიშომაც, არიქა, ნიძლავის გულისთვის მეგობრის ცოდვა არ დავიდოო, თხოვნით უთხრა: ოღონდ ამოდი და პურმარილს მე ვკისრულობო... ხელი გაუწვდინა ამოსაყვანად, მაგრამ შოთამ ჩაყვინთა და რამდენიმე წამში ლამის ნაპირთან ამოყვინთა. ხელი დაგვიქნია და ქიშოს მიმართა: ჰა, ქიშო, დაამატე 5 კაცის პურმარილიც და ზღვას უკანვე გადავცურავო. 10 მეტრი დარჩა სრულფასოვან გამარჯვებამდე, რომ კვლავ მოტრიალდა; რას აპირებ, ქიშო, ამატებ იმ ხუთ კაცს თუ მნებდებიო? წაგებულმა ხელი ჩაიქნია: გეყოფა, გეყოფა, ამოდი 10- კაციანი სუფრაც საკმარისიაო.

შოთა ნაპირზე გავიდა, იქვე ჩვენს დასანახად მიწაზე 10-15 ,,აჭიმვა" გააკეთა, თითქოს ზღვის გადმოცურვაარეყოგასახურებლადო,მერეჩვენს ნავში ჩაჯდა და გამარჯვებული იერით დაუწყო ყურება დამარცხებულ, თავჩაქინდრულ ქიშოს.

საღამოს 7 საათი ხდებოდა რესტორან "ქოიავას დუქანთან" რომ შევიკრიბეთ. 10 კაცის ნაცვლად 12-მა მოვიყარეთ თავი. ქიშომ ყველას ვითომ წყენით გამოგვიცხადა: რაღა დღეს დაემთხვა, ხუთშაბათი, ხომ იცით ,,თევზის დღეა" და ხორცეულის გარეშე მოგვიწევს ქეიფიო!

უფროსმა მზარეულმა, რომელიც ის-ის იყო შემოგვეგება, გაიგონა მისი ნათქვამი, ხელები გაშალა და გვითხრა: ეგ მართალია, მაგრამ თქვენთვის გამონაკლისს დავუშვებთ, მობრძანდით ყველაფერი მზად გვაქვსო!

აბა, ვინ დააჯარიმებდა მათ, როცა ყველანი აქ იყვნენ -პოლიციის უფროსიც, საგზაო პოლიციის უფროსი გურამ გურაბანიძეც, მისი მოადგილე გურამ ოთარაშვილიც და სხვებიც.

მართლაც, არნახული პურმარილი მოემზადებინათ ჩვენს სანაქებო დუქანში, ღორის სუკებით, ხბოს მწვადებითა და ციკნის ჩაქაფულით, ე.წ. ,,თევზის დღეს". გურამ ოთარაშვილმა ხაშლამაც კი მოატანინა.

რა თქმა უნდა, არნახული სუფრა დიდ ხარჯებთან იქნებოდა დაკავშირებული, ამიტომ ქიშო მოწყენილი, სევდიანი, თევზივით ცივი თვალებით უყურებდა სუფრაზე შემოტანილ ახალ-ახალი სახეობის კერძებს, მაგრამ ჯადოსნურმა ღვინომ, მალე ისიც მოაჯადოვა და ხასიათზე მოიყვანა.

ამ ქეიფიდან რამდენიმე დღეში, სამსახურში ქიშოს შევხვდი, დიდი მადლობა გადავუხადე შესანიშნავი გამასპინძლებისათვის და მისი ოჯახიც მოვიკითხე. მან კი ოჯახის ხსენებაზე ამოიხვნეშა და მიპასუხა: გაიხარე, ელგუჯა, მაგრამ მაგ პურმარილის ხარჯის გამო, დამრჩა ცოლ-შვილი ზღვაზე წაუსვლელი და ამ პაპანაქება ზაფხულში თბილისში უნდა ამოვგუდოო.

მისმა ამ ალალად ნათქვამმა სიტყვებმა ქიშოსადმი მეტი თანაგრძნობა გამიჩინა...

გიორგი მალაშხია

ჩემი სამყარო

ჩემი სამყარო ისე ვრცელია,
ვით ოკეანე, ვითა ცის კიდე.
ხან მუქია და ხან ნათელია,
თვალი ვერ წვდება იმის სიდიდეს.
ის წარსულია თითქოს უძირო,
ყოფის უჭკნობი მძიმე ფურცლები.
მე მინდა გმირითა საქმეთ ვუმზირო,
წინაპართ გვლილ გზებითაც ვტკბები.
მე დღევანდელი მხიბლავს თაობა,
რა ვუყოთ ზოგიც თუ არცხვენს მოდგმას,
ბევრის საქმე და გამბედაობა -
ეს ის ლიბოა, ცხოვრება რომ დგას.
კაცობრობის მონაპოვრებზე
როდესაც ვფიქრობ, ეს ძალებს მმატებს,
ფიქრებით დავალ მათ გავლილ გზებზე,
ჩავეჭიდები მათს ბრძნულსა აზრებს.
ჩემ აზრთ სამყარო უფრო მეტია
ვიდრე წარსული, დღევანდელობა.
მთავარი მაინც მათი ბედია,
ვისაც ვუტოვებთ მემკვიდრეობას...
ამაყად ვუმზრ მე მთელ სამყაროს,
ის ჩემიცაა, მას ვუერთდები.
მთელი არსებით. მე მითაც ვხარობ,
რომ სამყაროა ჩემი ლექსები.

ბუნება

ბუნება საოცარია –
თვალუწვდენელი სამყარო,
უბადლო, სანუკვარია,
რაც აქ არსებობს და ხარობს.
ბუნება სილამაზეა,
განუზომელი სიმდიდრე,
ყველას მიღმა და კარზეა
მისი სივრცე და ცის კიდე.
ჩვენი მეორე დედაა –
მაცოცხლებელი მზრუნველი,
სიხარულია, სევდაა,
ბრძენია, როგორც რუსთველი.
ბუნება არის საწყისი
სიკეთის, სიყვარულისა,
ის არის ,,ოქროს საწმისი,"
აძგერებაა გულისა.
ხანდახან კიდეც მკაცრია,
გვაფრთხობს სასჯელით ცოდვილებს,
ის ინდობს, ვინც მამაცია,
არ ზოგავს მონა–მორჩილებს.
ბუნება გასაკვირია –
თითქოს ლამაზი ზღაპარი,
საიდუმლოთა სკივრია,
ამხსნელი, აბა, სად არი?
არ აქვს საწყისი, არც ბოლო,
არც სივრცის, არცა დროისა,
ჩვენ კი ეს ვიცით სულ მხოლოდ:
ის ყოველივეს მოიცავს!
რთულია კიდეც მარტივი –
ეს გვაქვს მრავალგზის განცდილი,
ჩვენ კიდევ გვერგო პატივი,
ვართ საოცრების ნაწილი!.

აზრები

ჩემი აზრების რაშები
სამყაროს გულში ჩნდებიან,
აღარ სჭირდებათ საშვები,
ყველა ზღურბლს გადასცდებიან.
არ რჩებათ მიუწვდომელი
მსოფლიოს ერთი წერტილიც –
ადგილი მიუდგომელი
სხვა რომ ვერავინ ვერ ივლის.
დრო უსასრულო, უძირო
მათთვის ვეღარ ქმნის ჯებირებს,
მათ შეუძლიათ უმზირონ
საუკუნეთა მთელს რიგებს.
ხან ეწვევიან მომავალს,
ვით დაგეშილი მსტოვრები,
რომ გვაცნონ, მოგვცემს რას ახალს,
წელთა ნაკადი გორებით.
აღარ სჭირდებათ მოტორი,
არც ენერგია ულევი,
მათ შეცვლის გული და გონი
სხვა ვერაფერი სრულებით.
ვეღარ გაზომავს სისწრაფეს
მათსას ვერცერთი მრიცხველი,
გაუსწრებს კიდეც სინათლეს
ამოფრქვეული, ფიცხელი.
რაშები ჩემი აზრების
სასწაულს ისე სჩადიან,
მათთვის ახლოა კვაზრებიც,
აზრები რა დიადია!

ოპტიმიზმი

ღრუბლებიდან მზე მალე გამოვა,
უფრო ძალუმად ხვალ იკაშკაშებს,
მოსავალი კი წელს კარგი მოვა,
გლეხკაცის ბეღელს იგი აავსებს.
ყველგან იქნება მტკიცე მშვიდობა,
ყველას ეწვევა ბედნიერება,
დაისადგურებს ერთობა, ძმობა,
ვნახავთ უკეთეს ქვეყნიერებას.
ექნება შველა ყველა ავადმყოფს,
გაიმართება ბევრი ქორწილი,
ვერვინ გაბედავს ქიშპობას და ომს,
ბევრს გაუჩნდება ნანატრი შვილი.
ღრუბლებიდან მზე მალე გამოვა,
უფრო ძალუმად ის იკაშკაშებს,
კეთილთა მძლავრი არმია მოვა,
ბოროტთა ძალებს ძირს დაანარცხებს!

მთები

მხიბლავს, მალაღებს მაღალი მთები,
ოცნებით მე მათ მწვერვალზე ვდგები!
აქედან მოსჩანს მთელი ქვეყანა,
მისი წარსული და ოქროს ხანა.
ისინი მტკიცედ მტრულ ქარს წინ ხვდება,
მათგან შუქურად მზე იმზირება.
ხანაც მთებიდან ზვავი მოგორავს,
ეცემა ხევს და მხარგაშლილ გორაკს.
ხან მზეზე ელავს მათი სხეული,
ხან დგანან ღრუბლებშემოხვეულნი.
სილამაზეა მაღალი მთები,
მათზე ოცნებით მე ავმაღლდები.
მთები ამშვენებს მშობლიურ მხარეს,
იმათი ხილვა ძლიერ მახარებს.
მომწონს სიმაღლე ყოვლის და მთების,
ერთხელ ფიქრებში მეც ავმაღლდები.

წვიმა

ერთგან მოვიდა ჟუჟუნა წვიმა
საამო ხმით და ნაზი მუსიკით,
მიწა დაალბო უხვმა, ციმციმამ,
გვალვისგან ბუჩქი გადარჩა სიკვდილს.
ააბიბინა ბალახი, სკვერი,
შუქი სიცოცხლის შთაბერა ყანას,
ტყეც ახმაურდა, თითქოს სიმღერით,
სახურავები აახმოვანა...
სადღაც სხვა წვიმა მოდის გრიალით,
ულევ ნიაღვრად სხვაგვარი ძალით.
წალეკა დამბა, არ დარჩა კვალი
აანიოკა კაცი და ქალი...
დატოვა მშივრად მხარე მაძღარი,
წაიღო ურჩმა სიცოცხლეც ბევრი.
მილეწ–მოლეწა ეზო და კარი, –
ვეღარ იზამდა ამას თვით მტერიც ...
ბოლოს გამოჩნდა, ჰა, ცა კამკამა
მრავალი ფერის, ვით ცისარტყელა,
ვეღარ ავცდებით ჩვენ ვერვინ ამას –
ჩვენც ორნაირად გვაწვიმს სულ ყველას.

შოთა ლეჟავა

ჩემი ღელე

ჩემი ღელე ნასერელა
და გაღმა ტყე ვაშლარაო,
ეს ტყე მინდვრად ქცეულა და
ღელეც კი დამშრალაო,
თურმე როგორ გავიზარდე,
ვცურაობდი პატარაო,
დავინახე ტყეც და ღელეც,
გული როგორ დამწყდა რაო,
უპატრონოდ მივატოვე,
აუ, როგორ გამხდარაო,
ჩემი ფეხის ნატერფალი,
აღარ არის, გამქრალაო.
დროსთან ერთად ეს ბუნებაც,
აუ, როგორ წამხდარაო,
ცრემლი მომდის ღაპაღუპით,
ცრემლი თვალზე გამშრალაო.
ვეღარ ვნახე ნატერფალი,
სიზმარშიც კი ამხდარაო
და სიზმარში ვნახე ტერფი,
დინოზავრის გამხდარაო.
მილიონების წლის წინათ
არაფერი მომხდარაო,
ერთი წამით მოგონება,
იყო არა, იყო რაო.
მილიონების წლის შემდეგ
რა იქნება იცი, რაო,
მე ისევ დავიბადები
და ვიქნები პატარაო.
სად ვეძებო ჩემი ღელე
და გაღმა ტყე ვაშლარაო.

***

მტრედო, მომეც ფრთები,
შენი ფრთებით ვფრენდე,
ცაში ვთამაშობდე,
დაბლა ვღუღუნებდე,
თან ლექსებსა ვწერდე,
მშვიდობაზე ვმღერდე,
თავისუფალ საქართველოს
ლექსებით ცით ვუმღერდე.

***

საქართველოვ, რატომ ტირი,
გაგითეთრდა თმაო,
შავი ღრუბლით დაიფარა
ეს ლურჯთვალა ცაო.

საქართველო გადაგვარდა,
შენ კი ლექსებს თხზაო,
ქრება ჩემი საქართველო,
მეტი რაღა ვთქვაო.

უფრო მეტად ავტირდები,
გათეთრებულ თმით,
მე ვიცი, ავღრიალდები,
ლომ-ვეფხვების ხმითო.

კავკასიონზე ვიყივლებ
არწივების ხმითო,
მართვეების წრიპინით და
მისი ფრთების შლითო.

და დავდივარ უსამშობლოდ,
გათეთრებულ თმითო
და წავიდა ეგ ცხოვრება
წეწვა-გლეჯის გზითო.

და ცხოვრების ამ ქარავანს,
მივდევ თეთრი თმითო,
ძაღლი ყეფს და ქარავანი,
მაინც მიდის თავის გზითო.

მიწას ვბდღვნი ბუღა ხარივით,
ფეხებით და რქებითო,
ვტირი, ვბღავი, ვყივი, ვჩივი
მთელი ჩემი ძალის ხმითო.

მიყვარხარ, საქართველოვ!

დაგლეჯილო, დაფლეთილო,
დამსხვრეულო, წართმეულო,
ცრემლითა ვწერ მე ამ ლექსებს
და ამ ცრემლით დანამულო.

დაკბენილო, დატორილო,
ქარიშხლისგან დატბორილო,
ზამთრისაგან დათოვლილო,
ნაპწკენო და მოტეხილო.

***

მერცხალივით დავფრინავდი,
ჩემი იყო ხმელეთ, ზღვაო,
ახლა არც ზღვის ხმა მომესმის,
ხმელეთიდან არვის ხმაო.
ვისი იყო ეს ზღვა იცი,
ვისი იყო ხმელეთიო,
თავს ზევით ძალა არა მაქვს,
მომდის ელეთ-მელეთიო.

***

როცა ვისმენ წარსულის ხმებს,
ნეტავ, რაზე ჩივიანო,
ესმით ალბათ ჩვენი ხმები,
ამიტომაც ყვირიანო.
მაფრთხილებდნენ, არ დაკარგო,
ეს მიწა ცეცხლოვანიო,
ზღვიანი და მთიანიო,
ცისფერთვალებიანიო,
თაფლისთვალებიანიო.

გიორგი ქენქაძე

***

ჩვენი ფესვები აქედან მოდის,
ამ ლამაზ სოფელს ხარბალი ჰქვია,
დანანებით რომ იხსენებს მამა
და ჩემი ნატვრა, ნახვა მწყურია.
ნუ ღელავ, მამი, ნუ დაღონდები,
მალე დადგება ეს ნათელი დღე,
მე და შენ ერთად, მე და შენ ერთად,
მე და შენ ერთად მოვივლით სოფელს..

***

ელენე და ზაური, ანდრია და ზურა,
შენ სადა ხარ, ნია?
რა კარგია თქვენთან ერთად
თოვლიანი დილა,
ვითამაშოთ, ვიგუნდაოთ
და გავერთოთ ბევრი,
სიხარულით, სიყვარულით
გავატაროთ დღენი.

***

როგორ მიყვარხართ, იცი?
მაგას რად უნდა ფიცი,
თქვენ ჩემი მშობლები ხართ,
ჩემით ამაყობთ, ვიცი.



მიხეილ მახარაძე - 75

75 წლისა შესრულდა თვალსაჩინო ქართველი მწერალი, მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე მიხეილ ქაზიმის ძე მახარაძე. ამის გამო საქართველოს მწერალთა კავშირმა იუბილარს მისალმება გაუგზავნა. მისალმებაში ნათქვამია:

ძვირფასო ბატონო მიხეილ!

საქართველოს მწერალთა კავშირი, თქვენი მეგობარი ქართველი მწერლები ღრმა პატივისცემით მოგესალმებიან მხცოვან, ამაგდარ მწერალსა და ფილოსოფოსს და გილოცავენ დაბადების 75-ე წლისთავს.

მრავალწახნაგოვანი და მრავალმხრივია თქვენი შემოქმედებითი ინტერესების სფერო. ერთნაირი ძალმოსილებით ემსახურებით ქართულ სიტყვაკაზმულ ლიტერატურას, როგორც მთარგმნელი და ლიტერატურის კრიტიკოსი; მეცნიერებას, როგორც ფილოსოფიის პირველხარისხოვანი ისტორიკოსი.

ყველას კარგად გვახსოვს თქვენი სამწერლო დებიუტი, როდესაც 1986 წელს გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ გამოაქვეყნეთ წერილი „სხალთის ხეობის მშვენება“, სხალთის ეკლესიას რომ ეძღვნებოდა. მას შემდეგ მართლაც რომ ნაყოფიერ მნიშვნელოვან ლიტერატურულ და სამეცნიერო მოღვაწეობას ეწევით და თქვენი წვლილიც შეგაქვთ ქართველი ერის სულიერი განმტკიცების საშვილიშვილო საქმეში.

ფასდაუდებელი ღვაწლი დასდეთ ქართული ფილოსოფიის ისტორიის გააზრებას. თქვენი საკანდიდატო („პირველი მიზეზის პრობლემა ნეოპლატონიზმში“ - 1978 წ.) და სადოქტორო („არეოპაგიტიკის ფილოსოფიური შინაარსი“ – 1989 წ.) დისერტაციები სპეციალისტების აღიარებით მათი ავტორის ფართო თვალსაწიერზე, ღმა ერუდიციაზე, ურთულეს ფილოსოფიურ პრობლემებში უტყუარ წვდომაზე მეტყველებს. ამის დასტურია თქვენი არაერთი მონოგრაფია და ოცამდე სამეცნიერო-პოპულარული და პუბლიცისტური კრებულები. თქვენი მრავალი სტატია ითარგმნა ინგლისურ, უკრაინულ, რუსულ და გერმანულ ენებზე. ბოლო წლების მიღწევათა რიგს განეკუთვნება მონოგრაფიები „თანამედროვე ქართული ფილოსოფია“ (ნარკვევები) და „აკადემიკოსი შალვა ხიდაშელი“. საყოველთაო ყურადღება მიიპყრო თქვენმა სტატიამ „შოთა რუსთაველის შემოქმედების რელიგიურ-ფილოსოფიური წყაროები“, რომელიც ნიუ-იორკშიც გამოქვეყნდა.

სხვადასხვა დროს მუშაობდით საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტის მთავარ მეცნიერ-თანამშრომლად, ქართული ფილოსოფიის ისტორიის განყოფილების გამგედ, ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარედ, ჟურნალ „მაცნეს“ ფილოსოფიის სერიის რედაქტორად, თსუ ფილოსოფიის დარგში ხარისხების მიმნიჭებელი სპეციალიზირებული საბჭოს წევრად, თბილისისა და ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტების პროფესორად, თავდაცვის ეროვნული აკადემიის საპატიო პროფესორად, უმაღლეს სასწავლებლებში კითხულობდით ლექციებს შუა საუკუნეების, აღორძინების ეპოქის, მე-20 საუკუნის დასავლეთისა და ქართულ

ფილოსოფიაზე. ამჟამად კი ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი და პროგრამის ხელმძღვანელი ხართ.

ნაყოფიერ მთარგმნელობით საქმიანობას ეწევით. ქართულად თარგმნეთ ვლადიმერ სოლოვიოვის „მუჰამედი“, ალექსეი ლოსევის „აღმოსავლური რენესანსი“, ალექსანდრ მენის „ქრისტეს პიროვნება“ და „ხელოვანის ზნეობრივი მისია“.

ქართველი მკითხველი ინტერესით შეხვდა თქვენი მოთხრობებისა და ნოველების კრებულს „მერიენს“.

უაღრესად საყურადღებოა თქვენი ლიტერატურული და პუბლიცისტური წერილების კრებულები, ისეთები, როგორიცაა „გამხელილი ფიქრები“, „სხალთის ზარები“, „სხალთის ზარების ექო“, „ავანტიურა აჭარის სახელით“, „დაწუნებული ჩანაწერები“. დიდი სიყვარულით შეჰქმენით ფრიდონ ხალვაშის, შალვა ნუცუბიძის, სერგო დანელიას, ნიკო ჭავჭავაძის, თამაზ ბუაჩიძის, ოთარ ჯიოევისა და სხვათა პორტრეტები.

არჩეული იყავით საქართველოს პარლამენტის წევრად, აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარედ, ევროსაბჭოს შავი ზღვის რეგიონის კონგრესის ვიცე-პრეზიდენტად.

დაჯილდოებული ხართ ღირსების, ვახტანგ გორგასლის სახელობის I ხარისხის, ბრწყინვალების საპრეზიდენტო ორდენებით. მონიჭებული გაქვთ საქართველოს სახელმწიფო და ეროვნული პრემიები, შალვა ნუცუბიძის სახელობითი პრემია, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საპატიო სიგელი...

თუ რამ გვახარებს თქვენთან მიმართებაში, ის გვახარებს, რომ არასოდეს, თვით უმაღლეს სახელმწიფოებრივ თანამდებობებზე მოღვაწეობისას არ გაზულუქებულხართ, უფრო კი პირიქით, მუდამ სანიმუშო სისადავითა და სულიერი არისტოკრატიზმით გამოირჩეოდით. ეს კი რჩეულთა ხვედრია მხოლოდ.

ბატონო მიხეილ!

კიდევ ერთხელ გულითადად გილოცავთ საიუბილეო თარიღს ღირსეულ შემოქმედსა და მოღვაწეს, დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და ახალ გამარჯვებებს გისურვებთ.

საქართველოს მწერალთა კავშირი



სიმონ ზაქარაია - 80

80 წლისა შესრულდა გამოჩენილი ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე სიმონ დომენტის ძე ზაქარაია. ამის გამო საქართველოს მწერალთა კავშირმა იუბილარს მისალმება გაუგზავნა. მისალმებაში ნათქვამია:

ბატონო სიმონ!

ჩვენო ძვირფასო და საყვარელო თანამოკალმევ!

საქართველოს მწერალთა კავშირი, თქვენი მეგობარი ქართველი მწერლები გულმხურვალედ მოგესალმებიან დიდებულ შემოქმედს და გილოცავენ დაბადების 80 წლისთავს.

დღემდე სიმონ ზაქარაიას გამოქვეყნებული აქვს შემდეგი წიგნები: „მონატრება“, „ჩემი გულის დარდები“, „დევნილები გოლგოთის გზაზე“, „სამშობლოსათვის თავგანწირული რაინდები“, დედაზე „შეუბღალავი მანდილი“, რომელმაც დიდი დამსახურება დაიმსახურა და უწოდეს სახელმძღვანელო, „ქართველი მხატვრები და მოქანდაკეები“, „ცოტა რამ ძველი კოლხეთის ცივილიზაციის შესახებ“, „ვაჟა ეგრისელის პოეზიაზე“, „ჩემს ერის ნაკვალევზე“ და სხვა. ამ წიგნებში განხილულია დევნილები გოლგოთის გზაზე, მოულოდნელად გამოძევებული ქართული მოსახლეობა აფხაზეთის ტერიტორიიდან, გზაზე მთებში, თოვლში და ყინვაში დაღუპული, „სამშობლოსათვის თავგანწირული რაინდები, ადგილი ჰქონდა ღალატს.

გაზეთებსა და ჟურნალებში მოღვაწეობის პერიოდში მის მიერ გამოქვეყნებული სტატიების რაოდენობა 100-ზე მეტია. არის რამდენიმე წიგნის რედაქტორი.

სიმონ ზაქარაია გახლავთ ეკოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, აფხაზეთის ეროვნული აკადემიების აკადემიკოსი, „ფაზისისა“ და „ქალდეას“ აკადემიების ვიცე-პრეზიდენტი. სიმონ ზაქარაია არის საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ საბჭოსთან არსებული „ბუნებრივი რესურსების დაცვისა და რაციონალურად გამოყენების უწყებათაშორისო კომისიის“ წევრი.

სიმონ ზაქარაიას ყველა ადამიანური თვისება ამშვენებს: ესაა ვაჟკაცური ზნე, სითბო, სიკეთე, სიბრძნე და თავმდაბლობა, რაც შეურყევლად და უტყუარ თვისებად დაყვა ჟურნალისტურ და მეცნიერულ საქმიანობაში. ერის თვისება განსაკუთრებით კარგად ჩანს ავადმსაგონარ აფხაზეთის ომის ქარიშხლიან და სისხლიან დღეებში, ყინვასა და ქარში, უგზოობასა და შიმშილში დატრიალებული ბედუკულმართობის დროსაც, როდესაც შეუძლებელი გახდა მტრისა და მოყვარის ერთიმეორისგან გარჩევა.

სიმონ ზაქარაია ჩვენი საზოგადოების გამოჩენილი პიროვნებაა, თავისი განათლებით, შრომისმოყვარეობით, სამშობლოს სიყვარულით, კეთილსინდისიერებით, ყოველთვის შემართული, დაუღალავი მებრძოლი კეთილი საქმეებისათვის.

ჩვენო სიმონ!

კიდევ ერთხელ დიდი სიყვარულით გილოცავთ საიუბილეო თარიღს ძველქართული პატიოსნებით გამორჩეულ შემოქმედს, გისურვებთ დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და თქვენი ყველა სანატრიონის აღსრულებას.

საქართველოს მწერალთა კავშირი

სიმონ ზაქარაია - 80

ჩემო სიმონ, ჭეშმარიტი ქართველი მწერალი და მოღვაწე, კეთილშობილი, თავმდაბალი კოლხი ხარ.

თითო ხელი ყველაფერიაო, სწორედ შენზე ითქმის; თვალსაჩინო მეცნიერიც ხარ, მშვენიერი ესეისტი და პუბლიცისტი, პოეტი და პროზაიკოსი.

განუზომელი ტკივილით სავსე შენს წიგნებს უცრემლოდ ვერ ვკითხულობ.

შენს პიროვნებას რომ ვაკვირდები, სწორედ რომ ვაჟასეული კაი ყმა ხარ.

ზოგიერთი ჩვენი საერთო ნაცნობივით განდიდების მანიით არა ხარ შეპყრობილი და დიასახლისების დაწერილ სულელურ ლექსებს ლიტერატურად არ ასაღებ.

ვიცი, შენი ტკივილის მიზეზი. მეც შენსავით ვარ ჩაბმული ქვეყნის გამთლიანების სამსახურში, მაგრამ ჰაი, რომ ჯერჯერობით გვირაბის ბოლოს სინათლე არ ჩანს.

ღმერთმა გაძლება მოგცეს.

80-ს გილოცავ, ჩემო ერთგულო მეგობარო!

რევაზ მიშველაძე
რუსთაველის პრემიის ლაურეატი

თორნიკე ღვინიაშვილი

***

და თუ ფიქრობდი სულ მომავალზე,
შენ ახლა ფიქრობ მხოლოდ წარსულზე,
მიზეზი არის ერთი რამ მხოლოდ
- წარსული იქცა ახლა მომავლად.

ნუ გაქვს იმედი - ჩვენ რომ გვეცხოვრა
ისევ წარსულში
ჩვენ დავუშვებდით იგივ შეცდომებს,
რომელნიც უნდა გვენანა მერე,
მომავალში.

და ნუ გგონია - მომავალში ცხოვრება
შეცვლიდა რამეს
- ჩვენ მაინც ვინანებდით შეცდომების
დაუშვებლობას.

ეთერ ზარიძე

***

უიმედობა როკავს
მზე ვეღარ ალღობს ვერა,
გაჯიუტებულ ყინულს
დეკემბრის პირქუშ მზერას
გზაზე დაჩოქილ ბინულს.
ვისმენ სიჩუმის ქვითინს
და შლეგი ქარის ხარხარს
ეს გათოშილი ფიფქიც
არაფერს ამბობს ახალს.
დარდს მიენარცხა გუშინ
იმედით სავსე კოკა
და ჩემს გაყინულ გულში
უიმედობა როკავს.

ნანა არაბული

წუხილი

ფიქრი ჩემი, ღამეული,
უსრული და მთვარეული
სევდა, სახნავ ანეულის
სადაც წაველ, თან დამქონდა!

სული, შორით მარებელი,
დროში, დროით მტარებელი,
საწუთროსთან მდარებელი,
ჩემი ქვეყნის გზებზე ქროდა!

გზები იყო, უდაბური
ბნელთ სახდური, უსახური!
ცა, უმზეოდ თავსახური
ვაჰმე, რა შორს დამრჩენოდა!

სახლი, დაშლილ- დარღვეული.
ეზო, სამან გარღვეული,
ბედი, ჟამ- კარ აღრეული
რა მიმქონდა, რა მომქონდა?!

შენ ხარ, ჩემი საფიცარი,
ისევ, შენსკენ მოვიჩქარი
შემაგებე ღია კარი
მე, შენს გარდა, სხვა რა მქონდა?!

ელისო ქიტიაშვილი

გვინდა მშვიდობა

ორი უნაკლო განძი გვაქვს,
მეგობრობა და მშვიდობა,
გთხოვთ, იმ უჟამო ღვაწლითა,
ღმერთო, შორს გაგვთქვას გმირობამ.
ვერ ვპოვე განძის სადარი,
მოგვდგამს და გვინდა მშვიდობა,
შვენოდეს მკას, ვით სამკალი,
შორს გარდაიქმნა თვით ძმობა.
ძმა რომ ძმით არის ძლიერი,
მშვიდობას შუქი ამშვენებს,
სანდოდ ვზრდით კვალით ბრძნიერით,
ვით ოდას, გულით ნაშენებს.
სულ უჩნდეს მეტად ყველაზე
ხალხს ხატად, სავარდებოდა,
ვუსურვებ, ჩვენს პლანეტაზე,
პატარა საქართველოდან.

თინა ჭეჟია

ხილვა-- სიზმარი

რა ბედენაა მხოლოდ სიცოცხლე
ან მარტოდ ყოფნის
მშვიდი დღეები?
წარსული წლების
ის ისტორია,
რომელსაც ვერა და ვერ ველევი...
მაინც ვინ იყო
ჭიშკართან კაცი,
რომ დაიძახა, თიკა, თინაო?
...და რომ გავედი იქ, არვინ იყო,
ხილვა იყო,თუ მეძინაო?
გავხედე სრულად ცარიელ ქუჩას,
გასახვევს გაკრთა, ლაბადა თეთრი...
ვეღარ გავბედე და ამ მისტიკას,
ვერ შევუშალე კადრს მიღმა ხელი.
მივხვდი , ის იყო...
შორ წარსულიდან... ჩემზე სიზმრების
განძის მფლობელი...
მიტოვებული მყარი ალიბით
და საბუთების დასახელებით...
მესმა კარეტის და თეთრ ცხენების
თქარათქურები, მალემსრბოლებით
თითქოს დაღამდა და გამაღვიძა
დამბაჩების ხმამ ყრუ გასროლებით...
თეთრ ანგელოზმა ბევრი იფრინა
და მოაღწია ჩემამდე თმენით,
ჰო, მიმახვედრა,რომ აქ ,საქმეში
დანამდვილებით ერია ღმერთი...
გავხედე ქუჩას არავინ ჩანდა,
გასახვევს გაკრთა ლაბადა თეთრი.

ნინა სამხარაძე

მძიმე

მძიმედ მიფრინავს პეპელა.
მე ფრთებზე ვუთვლი წერტილებს
ღმერთის ხალივით წმინდას და
ფერმკრთალს.
ზუსტად ამდენჯერ მინდოდა შველა
ჩემსავე თავს რომ შევწირე
ჩემივე თავი მსხვერპლად.

თამარ ბურნაძე-წიწიკაშვილი

პირშავადა ვარ შენთან, ღამეო!

გთხოვ, მომიტევო, გაგიორგულდი... პირშავადა ვარ შენთან, ღამეო! მზეს მწველ კისერზე ჩამოვეკიდე. თხოვნა-მუდარით მივიპატიჟე ჩემს სამყოფელში. მეგონა, ტკივილს დამიამებდა... ვერაფერს გახდა ჩემთან, ვერაფერს, ვერც დავითა და ვერც ზავითა... ვერ შემეგუა ცრემლით მოჟამულს, დაჰკრა ფეხი და ისევ წავიდა...

ახლა კი ვზივარ და კვლავ შენ გელი, რამეთუ შენ ხარ მაცოცხლებელი სამყარო ჩემი!..

იცი?

უჩინმაჩინის ქუდი ჰხურავს ჩემს ბედს და იღბალს. სულის სარკმელთან ასასივით ჩამსაფრებია. როგორც კი ტანჯვისგან მცირედით განმუხტვას ვცდილობ, ის მაზმანივით მიმარაგებს ახალ დარდ-დავარს. ისე უღმერთოდ დამთრგუნა და დამასნეულა, რომ არ შემარჩინა სიხარულის ერთი ნაკარტიც. ჩემს სამზეოს ჩამოაფარა ნისლისფერი ფარდა... ისე გამიუცხოვა ღიმილი, რომ სათოფეზეც აღარ მეკარება. სამაგიეროდ, ნაღველი მფლობს უნაპირო, დაუდგრომელი...

სურნელი გიდის სხვაგვარი, ჩემო!

შენ ჩემო თბილო, უცვლელო ბუდევ, აკვანო ჩემო და იავნანავ! გზანაკვალევო შენ ჩემი სიყრმის, სუნთქვავ სულისა და გულის გულო! სიზმარშიც ვეტრფი შენს მთებს და მდელოს! სურნელი გიდის სხვაგვარი, ჩემო! გსურს გმსახურებდე, გემონო, გეყმო! მიყვარხარ ძლიერ! მიყვარხარ, გჩემობ!..

მინდა, რომ საზრდოდ შთავბერო სული, წარსულის ხსოვნად ჩაკირულ ფესვებს, მერე კალთაზე გემთხვიო ლოცვად და ტკივილების მალამოდ გექცე!..

შენ ვით იქნები ჩემი გზამკვლევი

ვწუხ, აღმართ-აღმართ ვერ გალევ სავალს, თუმცა დაღმართზეც გიცურავს ფეხი. მოლიპულია შარაგზაც შენთვის, რადგან ვერ განჭვრეტ საღი გონებით სიკეთესა და ფარისევლობას და შენივ ხელით ჩაძირე ქვესკნელს, კეთილი ნებით ნაგები ხიდი... ამაოდ ეძებ გზაგარიყული მდინარის ნაპირს...

შენ ვით იქნები ჩემი გზამკვლევი, ვინაც მიმიყვანს მონასტრის კართან, რამეთუ არ გწამს უფლის ღირსება და ეროვნული თვითმყოფადობა.

თეთრი ზღაპარი

როცა ზამთარი თეთრად დაგათოვს, როს საგულეში ჩაგიდგება ქარი ბორბალა, როცა შენს ნათელ შუბლს გადათქეშენ ქარტეხილები, როს მარტოობა დაიბუდებს სრულად შენს სულში, მე მაშინ მოვალ!.. ლოცვით ვემთხვევი ჩამონაცრულ ტაძრის ნანგრევებს, გულამოსკვნამდე ვაქვითინებ სულობოლ ჭადარს და ღამე-მთვარეულ გულს სანთლად დაგინთებ...

...ვერხვის ფოთლებში ატირდება თეთრი ზღაპარი...

სიცოცხლე?..

ბავშვობის უდარდელმა წლებმა თვალის დახამხამებაში გაირბინეს... როს გაზაფხულად ვყვაოდი, გული დუმილში ვამყოფე... ვიბედნიერე მოკლე ჟამს და დავტკბი დედა-შვილობით... ზაფხულის გზის გასაყარზე უბედურება დამატყდა, გულის სიღმემდე დამხანჯლა, დამახრჩო ცრემლის მორევში... ჩემს შემოდგომასაც ურცხვად დაეპატრონა და გმინვა-გოდებით მატარა. მიკვირს, ზამთარიც მეწვია, მაგრამ იმდენად ცივი და უუნაროა, არა ღირს გამოღვიძებად...

სიცოცხლე?.. თვალს და ხელს შუა გამიქრა... ახლა ის დროა, გეთაყვა, ავიკრა გუდა-ნაბადი...

თოვს...

თოვს... თოვს... რა ლამაზად თოვს!.. რამდენი წელია აღარ მინახავს თეთრსაბანქვეშ ასე უცნაურად გარინდული დედამიწა და ქათქათა სამოსით შემოსილი მიდამო. მაგრამ ეს ზამთარი არ ჰგავს თავდაღმართზე მთელი სისწრაფით ციგით ჩამოქანებას, არც თოვლში კოტრიალს, არც უდარდელ სიცილ-კისკისთან შერწყმულ გუნდაობას, არც ვედროჩამომხობილ, ნახშირის წვერ-ულვაშიან თოვლის პაპას და არც ქათქათა, თოვლზე წმინდა გრძნობის ნიშნად, თრთოლვით ამოტვიფრულ შეყვარებულთა ინიციალებს, წუთიერად რომ აღგამაღლებს და ანგელოზის ფრთებშესხმულს ზეცას შემოგატარებს...

ო, ეს ზამთარი მოჰგავს სიბერეს, თეთრთმადათოვლილს, გულსევდიანსა და სულგაყინულს...

თოვს... თოვს... თოვს... ჩემთვის იქნებ უკანასკნელად...

რა თილისმა გაქვს?

მე უშენობით მქვია არავინ, ვგავარ ქარდაქარ უგზოდ ხეტიალს... შენ ხარ სამოთხე - მზის სხივმოსილი, სირმებნაქარგი ზღვა და ხეობა...

რა თილისმა გაქვს, ნეტა ვიცოდე, რომ ხარ შენ ჩემი გულის მპყრობელი!.. საგალობელიც შენ ხარ სულისა და ერთადერთი ჭირისუფალიც...

ბელა ალანია

ეს ბრძოლა, ზუსტად ვიცი, რაც არის!

იანვრის სუსხი აღარ მაშინებს,
ვიდრე გიზგიზებს გულში ხანძარი,
არც მშველელს ვუხმობ, არც მოსეირეს,
ეს ბრძოლა, ზუსტად ვიცი, რაც არის!

როგორ ვეჩვევით და ვუძლებთ კიდეც
გამუდმივებულ ამბებს სიკვდილის.
ჭირისუფლობას იჩემებს ეშმა,
გავეშებული ყურში მიწივის.

ვერ გავერიდე წარსულის ლანდებს
ჩემთან რომ დარჩნენ, არ იქცნენ ფერფლად.
მკერდში ჩამიდნა მტკივანი გული,
ზოგჯერ მგონია, აღარც კი ფეთქავს.

ვერ გამოვლიე თალხი სიზმრებიც,
სარეველებით რომ მივსებს მინდვრებს,
ვერც მოყვრად მოსულ მტრებს გავერიდე
და მათთან ერთად ცხოვრება მიწევს.

მაგრამ ხომ არის სულის სვენება,
უკუნის მნათი ციდა ლამპარი?!
არც მშველელს ვუხმობ, არც მოსეირეს,
ეს ბრძოლა, ზუსტად ვიცი, რაც არის!

***

შენს დანახვაზე მინდა, რომ თრთოდნენ
ჩემი მუხლები კვლავინდებურად,
რომ ისევ შენი იმედი მქონდეს,
ვითომ არც რამე დავიწყებულა.
არც მონატრებას ელევა სული,
როგორც დეკემბრის ქარში ბეღურას.
შენი ხმა ისევ ისე მიყვარდეს,
შენმა თვალებმა ცად მიმეგზუროს,
ღაწვებზე მესხას მაისის ვარდი,
მზის ოქროქარვა თავზე მებუროს,
სულში გნიასი იყოს პეპლების,
სასიყვარულო და საერთგულო.

***

ვერ მიშველის მზის სხივი,
ვერც სხვა მადლი ზეციდან,
ზაფხულიც რას გამათბობს,
თუკი გულში შემცივდა
ხმას ჩაიკმენდს, იყუჩებს
ჩემი ახალგაზრდობა,
მეგონა არ დამთმობდა,
მაგრამ აღარ დამზოგა.
არასდროს მინატრია
ოქრო, ვერცხლი, ფარჩები
სიყვარულით ვსულდგმულობ,
მისით თუ გადავრჩები.
მწვერვალები ცას ისევ
უკოცნიან გულისპირს,
გავუფრთხილდეთ სიცოცხლეს
ერთმანეთის გულისთვის.
კვლავაც წამოწვებიან
მხართეძოზე მინდვრები,
ღამეს ვიწვენ უბეში,
შენით სავსე სიზმრებით.
მთებს ეტრფიან ნისლები
უკვე დიდი ხანია,
მე კი მზეს ვეფიცხები,
მისკენ მიმიხარია.
დავარწიოთ აკვანი
ცას დაკიდულ იმედის,
გამოვფინოთ გრძნობები,
გულს რომ წამლობს ისეთი.
ცისარტყელას ხიდებთან
კვლავაც დავთქვათ შეხვედრა,
გახსოვს, როგორ გვინდოდა
მათი ხელით შეხება?!

***

ვერ გამოვდექი დროის მეხოტბედ,
არ მინატრია მლიქვნელის ნიჭი,
გაუფასურდა ბევრი რამ ირგვლივ,
დაკარგა აზრი, გაძლება მიჭირს.
ნეტავ რამდენი უნდა ვეწამო,
რომ დაღლილ სულის შევძლო ცხონება,
ვცდილობ და მაინც, ასე მგონია,
არ კმარა მარტო ერთი ცხოვრება.
რა ვუპასუხო, შენი სიმართლით
თავს იტკიებო, ასე თუ მითხრეს?!
როცა სამშობლოს აჭრიან გულ-ღვიძლს,
ჩემი სიცოცხლე რა უნდა ღირდეს?!
ამ ჩემს ცხოვრებას რა უნდა ვუყო,
ყოველი დღე რომ მიჩენს თავსატეხს,
თითქოს ჩვილივით ვწევარ აკვანში
ვეღარ ვეტევი, ვლეწავ არტახებს.
ყოფნა- არყოფნის ზღვარზე მატარებს,
არ მთმობს არაფრით სევდის ლაშქარი,
მაგრამ იმედიც არ დააყოვნებს,
გამოწვდილ ხელით ვგრძნობ რომ აქ არის.
შევკაზმე ცხენი, ვერ შემაფერხებს
ყინვა-ავდრებით მკაცრი ზამთარი,
არც იღბალს ვწყალობ, არც უბედობას,
სიყვარულია, მაინც რაც არის
კალთებს აივსებს ცა მზის სხივებით,
ტყემლის ყვავილიც პეპლებს დაისევს ,
კვლავ ჩემებურად დავღლი სტრიქონებს,
ლექსს შევაგებებ მზიან დაისებს!..
ნეკერჩხლის ფოთლებს შევუშრობ ცვარ-ნამს,
უთუოდ გულში უნდა ვახარო,
რა უნდა მოხდეს, ღმერთო, ისეთი,
მე რომ სიცოცხლე გადამაყვაროს.

***

როგორ მინდა, როგორ,
თოვდეს, თოვდეს, თოვდეს,
თეთრი მარგალიტი
ეხვეოდეს ტოტებს.
იანვარი ცაში
ფენდეს ნისლის ფარდებს,
თეთრი თექა ეცვათ
ჩვენი ეზოს ნაძვებს.
თმა აქოჩრილ ურთხმელს
ჭირხლი დასდებოდეს
ვარსკვლავეთი ცაში
ნაირფერად კრთოდეს
მინდა, კარგად მყავდე,
დარდი აღარ მქონდეს,
ვინახავდე გულში
ამ თოვლზე თეთრ გრძნობებს,
შენი ერთი ნახვა
ზეცის გახსნას სჯობდეს.
ისევ სიყვარულზე,
გიყვებოდე ოდებს,
კრძალვით, ფეხაკრეფით
შობა მოდიოდეს...
როგორ მინდა, როგორ,
თოვდეს, თოვდეს, თოვდეს...

მაია ხოფერია

რა მეშველება ?...

უთოვლო თბილისს რა ეშველება ?
ვინ უპატრონებს ხეებს გაძარცვულს,
რა მეშველება, ან მე უშენოდ
როგორ ველოდო ასე გაზაფხულს ?!...
ვინ შეიფარებს უბუმბლავ ჩიტებს,
რომ არ მომიკლას ღამით სიცივემ ?
დრო მაწანწალა ძაღლივით მიყეფს,
გადაღლილ ფიქრსაც ვეღარ ვიცილებ...
ამ ზამთარს ვიცი, უთუოდ მოთოვს,
გათოშავს თითებს სისველე ფიფქის,
ვიღაც უტიფრად სიყვარულს მოგთხოვს,
სისხლნაკლულ სახეს მედება ფითრი...
ქარი კი ისევ ირბენს შეშლილი,
წვიმასაც ფეხზე ჰკიდია დარდი,
არც არაფერი არის შეცვლილი,
უბრალოდ, გარეთ უთოვლოდ ბარდნის !...

საღამოს ნისლი

ახლა მარტოდ ვარ და დრო მაქვს ფიქრის,
გუშინ შეხვედრას ერქვა - ნახვამდის,
მე ვიყავ შენი საღამოს ნისლი
და გავიფანტე სანამ გნახავდი...
შენ ბედნიერი ჰყვებოდი ამბავს,
ნაფერებ თვალებს დაჰკრავდა სითბო,
მე გაწყვეტილ ძაფს ვერაფრით ვაბამ
და გათოშილ გულს მაგ მზერით ვითბობ..
ცაზე ვარსკვლავი კიაფობს ცალად,
ვეჩურჩულები - მანიშნე რამე,
სიცოცხლე მიყვარს, ვერაფრით ვმალავ,
მოწმეა თეთრად თელილი ღამე...
ვიღაც დაიწყებს უაზროდ ქილიკს,
ვიღაც კი საზრდოდ სულს ჭორით არჩენს,
მე მაინც შენი ცხოვრების ბილიკს,
რაღაცნაირი ფერებით ვავსებ...

ეს გზა

ეს გზა როდესმე შენთან მომიყვანს,
მაგრამ სათქმელი მექნება სულ სხვა,
სისხლით დაწერილ ლექსებს მოგიტან,
რომელიც დღემდე წარსულით მსუსხავს...
დიდი ხანია მაგ თვალთა მზერა,
სხვა თვალის ფერზე დაგეშილია,
მათი ციმციმის სიყალბის გჯერა,
მაგრამ მე მაინც არ მეშინია...
გეტყვი - რომ ღირდა ცხოვრება შენთვის,
გეტყვი - რომ ღირდა სიცოცხლე ამად,
ჩვენ ერთმანეთის სიშორე შეგვშლის,
ლოდზე დამსხვრეულ ტალღას რომ
ვგავართ...
ეს გზა როდესმე შენთან მომიყვანს
და გზას ექნება ბილიკიც, ხიდიც,
ლექსით ნაწამებ ფურცლებს მოგიტან,
სადაც გხატავდი, მაგრამ ვერ გშლიდი !

რაღაც...

რაღაც უცნაური არის სიმარტოვე,
ფიქრმა გადაუსწრო ქარს,
ობლად დარჩენილმა ღამე ვიმარტოვე,
მივდევ გადარეცხილ კვალს...
ჭადრის ფოთლებისგან კაბა შევიკერე,
მწიფე ფორთოხლისფერს ჰგავს,
გოგო მეტიჩარა, შენ რომ შეიფერე,
იცი ?! — რა ძალიან მგავს...
წიგნი სიყვარულზე ისე შევიყვარე,
სტრიქონ-სტრიქონ ვდიე ბნკარს,
სხვისთვის დაწერილი — ჩემში შევიფარე,
ტანზეც მის მაგივრად მწვავს,
ღამე გავათეთრე, გული გადავღალე,
ვეღარ დავეწიე ქარს,
მიწაზე ფენილი ყვითელი ფოთლების
მკვდარი სურნელება მკლავს !...

მე მიხარია

მე მიხარია წვიმა და ქარი,
შემოდგომაა და კვლავ სიშორე,
ფოთლებში ჩუმად გამქრალი კვალი,
სუსტი მხრებიდან ტვირთს რომ ვიშორებ...
სულ სხვა ფერებში ველი გაზაფხულს,
გზისპირა იელს, პალმას და ძეწნას,
ვიღაც მპირდება დღეებს არნახულს
და აპრილს მკრთალი თითებით ძერწავს...
მეტყვის, რომ ღირდა ლოდინი ამად,
შეშლილ დღეებსაც ხანდახან სდიო,
წარსულის ჩრდილი მიმყვება გამად,
დაღლილი გულით როდემდე გდიო...
რა შემპარავად მოდის სიბერე,
ზამთარიც სულში შეაღწევს ნებით,
შენ ჩემს სიყვარულს გულში იფერებ,
მე, როგორც ფიფქი, ვეცემი, ვდნები...
მიყვარს თოვლი და გიზგიზი ბუხრის,
ბედისწერაა შუბლზე ხაზები,
ყველა შეცდომას თავს ნებით ვუხრი
და ბედთან ისევ უხმოდ ვზავდები...
მე, მიხარია წვიმა და ქარი,
შემოდგომაა და გზაც გვაშორებს,
ფოთლებში ჩუმად გამქრალი კვალი,
სუსტი მხრებიდან ტვირთს რომ მაშორებს !..

არ ჩავაქრობ

არ ჩავაქრობ შენზე ფიქრის ღადარს,
მოთმინებით შევუბერავ სულს,
მონატრება ისევ ყელს მიღადრავს,
გწერ და ამით ვიიმედებ გულს...
დაეკარგა ფერი მწვანე ფოთლებს,
სად წახვედი?! — მოლოდინი მკლავს,
შემოდგომა ცივ ღამესთან მტოვებს
და მშველელი არც არავინ მყავს ...
ვერც ხეები მალავს შიშველ ტოტებს,
მზე გაცივდა, განაცრისფრდა ცაც,
მე წავედი, შენ სხვის ხელში გტოვებ,
ის სხვა არის მშველელიც და ხსნაც...
გულში მშვიდად დაილექა წლები,
სადღაც მესმის სუსტად ფეთქვის ხმა,
ქალს წარსულის მოგონება შვენის,
იქნებ გსურდა ჩემთვის რამის თქმა ?!...
გაზაფხულზე მომიტანდი ტიტებს,
მეღიმება — რა ფიქრებში გხვევ,
გამითბობდი, შენს ნაფერებ თითებს,
გწერ და ფურცელს ნაკუწებად ვხევ...
არ ჩავაქრობ მინავლებულ ღადარს,
მოთმინებით შევუბერავ სულს,
მონატრება ისევ ყელს მიღადრავს,
გწერ და ამით ვიიმედებ გულს ...

მამუკა ლიპარტელიანი

მამუკა ლიპარტელიანი დაიბადა 1969 წლის 26 აგვისტოს, ლენტეხში. დაამთავრა ლენტეხის საშუალო სკოლა. სხვადასხვა წლებში სწავლობდა ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის ფაკულტეტზე. 2018 წელს, საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის და საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის მიერ გამოცხადებულ ესეების კონკურსში სახელწოდებით - „დამოუკიდებლობიდან თავისუფლებისაკენ, რესპუბლიკის 100 წელი“ - მამუკა ლიპარტელიანის ამავე სახელწოდების ესემ მეორე ადგილი დაიკავა, რომელიც დაიბეჭდა საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის და საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის მიერ 2019 წელს გამოცემულ კრებულში. „მწერლის გაზეთში“ მამუკა ლიპარტელიანი პირველად იბეჭდება.

ბაღათერ არაბული

ბრავო, ნინელი!

როიტ-ერბენდორფის პატარა რკინიგზის სადგური უკაცრიელის შთაბეჭდილებას ტოვებდა. ბავარიის სოფლების თვისებაა მსგავსი შთაბეჭდილების მოხდენა ადამიანზე. ქუჩაში გამოსულს გეგონება სოფელი სადღაც გახიზნულაო. უცაბედად სიკვდილის აჩრდილი წარმოგესახება თვალწინ - მკვდარი სოფელი!.. მაგრამ სინამდვილეში სულ სხვა რამ ხდება - აქ ყველა თავისი საქმითაა დაკავებული. იშვიათად თუ ნახავთ ქუჩაში ტყუილუბრალოდ მოსეირნე ან ხმამაღლა მოლაპარაკე გერმანელებს. აქ დრო ფული ღირს. დროგამოშვებით ლამაზად მოასფალტებულ ქუჩაზე გაქროლებული ავტომობილი ან გერმანული ეკლესიის, კირხეს ზარის გუგუნი თუ დაარღვევს ალბათ უკვე ტრადიციად ქცეულ სიჩუმეს. აქ ემოციას მექანიზმისთვის დაუთმია თავისი ადგილი. მაგრამ ეს ყოველივე სოფლად ხდება, გერმანელი ბაუერების სამფლობელოში. ქალაქი კი სულ სხვა რამეა. ევროპის მაჯისცემა სწორედ ქალაქში იგრძნობა...

მაგრამ ქალაქი შორს იყო უკაცრიელი რკინიგზის სადგურიდან. მხატვარმა ბავარიული მანტოს საყელო აიწია, თავი კისერში ჩარგო და მხრებში კიდევ უფრო მოიხარა. თუმცა უკვე ნაზამთრალი თებერვლის მშვენიერი ნაშუადღევი იდგა, მაინც ციოდა. საფეთქლებთან ოდნავ შევერცხლილი თმა ქარმა აუწეწა. თავზე ხელი ნერვიულად გადაისვა, თითქოს თმასთან ერთად ტვინში ტკიპასავით ჩამჯდარი არეული ფიქრების დალაგება ეწადა.

- როგორ არ იყიდა. ახლა რა უნდა ვქნა? - დილით, როცა სახლიდან გამოვიდა ჯიბეში უკანასკნელი ათი მარკა ედო. ვალი უნდა გაესტუმრებინა, მაგრამ იფიქრა... არ გაუმართლა. გასტშტეტის მეპატრონემ, სათვალიანმა, მელოტმა კაცმა, საფეთქელთან გრძლად მოშვებული თმით გაპრიალებული თავის კანი ცალხაზიანი რვეულივით რომ გადასეროდა, ნახატებს არც შეხედა.

— Gruss got !

— Gruss got !

— მე ერთხელ უკვე ვიყავი თქვენთან, mein herr, თქვენ ჩემი ნახატი იყიდეთ, - დამტვრეული გერმანულით მიმართა მხატვარმა.

- Ach ja! გამახსენდა.

- ხომ არ გნებავთ ჩემი სხვა ნახტებიც იყიდოთ?

- O nein, nein! ფული არ არის.

ეს უარი თითქოს საფასური იყო.

პირველი ნახატი რატომღა იყიდა? რამხელა სიხარული იყო პირველი ნახატის გაყიდვა. მუყაოს ყუთის კედელზე აკვარელში დახატული პატარა ზომის სიურეალისტური სიუჟეტი. ეს იყო პირველი ნახატი, რომელიც გაყიდა.

- ამ ნახატში რამდენს ითხოვთ? - მხატვარი უცებ დაიბნა. არასდროს გაეყიდა რაიმე. არადა ამ გასტშტში ნახატების გასაყიდად მოვიდა. მაინც არ ფიქრობდა, რომ ყიდვა-გაყიდვის პროცესი ასეთ შეგრძნებას გამოიწვევდა, უცაბედად თავი ბაზარში ეგონა... რა ღირს მწვანილი? ნახატი ხომ მწვანილი არ არის. თუმცა მწვანილსაც თავისი დანიშნულება აქვს... და ალბათ მწვანილის გარეშე ნახატიც ვერ შეიქმნებოდა, რადგან მუცელი უპირველესია. ყველა სურვილი ხომ მუცელზე გადის, ხოლო სურვილი მაცოცხლებელი ელექსირია ადამიანისა. ყველა რაღაცას ყიდის - ზოგი ნახატს, ზოგი მწვანილს, ზოგი სინდისს... მაგრამ სამწუხარო ყიდვა-გაყიდვის საგანი როდია, სამწუხარო მხოლოდ ის არის, რომ ყველაფერი იყიდება.

ვერასდროს წარმოიდგენდა, რომ თავისი ნახატის შეფასება მოუხდებოდა.

- თქვენ რამდენად შეაფასებთ?

- ნახატი თქვენია, თქვენვე უნდა შეაფასოთ. - ისევ ორჭოფობა. გვერდითაც არავინ ედგა, რომ დახმარება ეთხოვა. მხოლოდ გასტშტეტის მეპატრონე ჩამრგვალებულიყო მის წინ და წითლად ჩამოღაჟღაჟებულ ლოყებში ტუჩის კუთხეებიდან ნასროლი ღიმილი გედის ბუმბულით გატენილ ბალიშში ჩაჭედებული ლურსმნის თავებივით გასჩროდა.

პირველი ნახატი არ შეფასებულა, იგი ორმოცდაათ მარკად გაიყიდა.

ამ დილითაც სწორედ იმ გასტშტეტისაკენ მიაქროლებდა ორვაგონიანი მატარებელი. ათ წუთში უკვე როიტ-ერბენდორფის სადგურზე იყო. გასტშტეტისაკენ მიმავალ აღმართს შეუყვა. წინ ძველებური ეკლესიის მშვენიერი ხედი გამოჩნდა. ნაზად მოფარფატე სიოს მხატვრის სმენამდე მოჰქონდა ასნლოვანი ხეების ხალისიანი ჩურჩულის ხმა მზის მოკისკისე სხივებთან, ახალი სიცოცხლის მაცნეებად რომ მოვლინებოდნენ ქვეყნიერებას. თებერვლის სუნთქვაში გაზაფხულის სურნელი იგრძნობოდა. ქვაფენილი მალევე აიარა თითქმის დარწმუნებულმა იმაში, რომ ერთ ნახატს მაინც გაყიდდა. ერთი პატარა შესახვევი და გასტშტეტის ნაცნობი შენობის კონტურებიც დალანდა ნაზამთრალი ხეთა რტოების ჩახლართული ქაოსის მიღმა. გასტშტეტის ეზოში არავინ იყო. მხატვარმა პატარა ხის კარი შეაღო და ნაცნობი მომრგვალებული ქვის კიბით მეორე სართულზე ავიდა. გასტშტეტის სასადილო დარბაზები ცარიელი დახვდა, ბარშიც არავინ იყო. მხოლოდ სამზარეულო ოთახიდან მოისმოდა მოშვებული ონკანის ყრუ ხრიალი.

- ხო არ შევიდე? თუ დავუძახო? - ბარს თვალი მოავლო და... და დაინახა ის, რისთვისაც მოვიდა ამ გასტშტეტში. რისი შოვნისთვისაც ადამიანები ვინ იცის რას არ იგონებენ და რას არ სჩადიან, რომლის გარეშეც ვერ იყიდი სიამოვნებას ამ ქვეყნიურს და რაიც თავად ქცეულა ბედნიერებად ადამიანთა ნებით, მათივე ცოდვებით დამძიმებულ დედამიწაზე. კუთხეში, იქვე პატარა მაგიდაზე ღიად დატოვებული სალაროს უჯრიდან რიგში ჩამწკრივებული გერმანული მარკის კუპიურები მაცდურად უმზერდნენ გახუნებულ ჯინსის შარვალსა და ძველ მანტოში გამოხვეულ ღარიბ მხატვარს. მარტო გაფიქრებამ გული ძალუმად აუძგერა, სახე მთლად აელეწა, ვინმეს რომ დაენახა იტყოდა დაიწვებაო. ამას თვითონაც გრძნობდა. უკან გამოსვლა დააპირა... წინაც მოუნდა ფეხის დაძვრა... დაბნეულად მიმოიხედა. ვეღარ იძვროდა ადგილიდან. აღარც კი ახსოვს ასე რამდენ ხანს იდგა. დრო კი გადიოდა. არც გასტშტეტის მეპატრონე და არც სხვა ვინმე სულიერი არ სჩანდა...

და უცაბედად თბილისი გაახსენდა (როგორ მოენატრა თბილისი). კინომსახიობთა თეატრის წინ გაკრული პატარა აფიშა: დღეს. ამფიტრიონი 38. მთავარ როლში ნინელლი... დასაწყისი 18 საათზე.

- უკაცრავად, საათის რომელია?

- ნახევარია.

- ექვსის?

- დიახ!

- გმადლობთ.

სწორედ იმ საღამოს მოემგზავრებოდა გერმანთა ქვეყანაში (ეუტსცჰლანდ).

- თვითმფრინავი თერთმეტზეა, - უთხრა მეგობარმა, - ვინ იცის მერე როდისღა დაგვატკბობს ქართული თეატრის გენია.

- წავალ, ბილეთებს ავიღებ, - უთხრა მხატვარმა მეგობარს. სალაროს შესასვლელი ცარიელი იყო. პატარა სარკმლის მიღმაც არავინ ჩანდა. იქვე კედელთან მოდგმულ მაგიდაზე ფულით სავსე ქაღალდის ყუთი იდგა. მოლარე სადღაც გასულიყო. ხელის მტევნის გადაყოფა და ეს ფული მთლიანად მისია. ისევ ორჭოფობა. ცოტა ხნის შემდეგ სარკმლის კედელზე მიაკაკუნა. ხმა არავინ გასცა. ისევ დაფიქრდა.

- არა, არ ღირს! - საკუთარი გულისცემა გაიგონა. არადა, ფული სჭირდებოდა. ნახევარი საათის წინ ახლობელ ქალს ესესხა. ერთი სიკვდილი გაათავა, როცა ფულის სათხოვნელად მივიდა. ერთი თვის წინ იმ ღთისნიერი ქალისგან აღებული ვალი ჯერ კიდევ გაუსტუმრებელი ჰქონდა. ახლა კი აქ იმდენი იქნებოდა, ვალს მთლიანად დაუფარავდა. მაინც გადაიფიქრა. უფრო სწორად, ვერ შეძლო. მოლარეს ხმამაღლა დაუძახა და მისი აღმატებულების გამოპრანჭული თავიც მალევე გამოჩნდა სალაროს კვადრატულ ყელში.

- ფულს ასე რატომ ტოვებთ, ქალბატონო, ხომ შეიძლება ვიღაცამ მოგპაროთ? - მისმა აღმატებულებამ ისე სწრაფად დასტაცა ხელი ქაღალდის ყუთს, თითქოს ეს-ესაა უნდა წაართვანო და მაგიდის უჯრაში გააქანა, თანაც ისეთი ბოროტი თვალებით ამოხედა, მხატვარმა კინაღამ ინანა თავისი საქციელი.

დარბაზი მთლად გავსებულიყო.

- ესე იგი, რომ ამეღო არაუშავს ფული იქნებოდა... - ისევ ორჭოფობა. და უცაბედად მოაგონდა სადღაც წაკითხული თუ გაგონილი: ღმერთს არ უნდოდა შემოქმედის სიკვდილი და მას ოქრო არ აშოვნინა, ღმერთი შემოქმედს სახელის საშოვნელად ამზადებდა... მაგრამ ეს სახელი ძალიან, ძალიან გვიან მოვა, როდესაც იგი ცისა და ქვეყნის საზღვარზე გადებული ბეწვის ხიდის ბილოში იქნება გასული უკვდავთა სახელის სამყაროში სამუდამოდ დასასახლებლად...

შუქები ჩაქრა... და წამსვე შეიცვალა მთელი სამყარო. ფარდებს მიღმა კულისების იდუმალება. პროჟექტორების რომანტიული შუქი. სცენა დიდი ტილო იყო გენიალური მხტვრის მიერ ფანტასტიურად შესრულებული. სცენის შუაგულში ჰაეროვანი ფარდებით შემოჯარული ტახტის სიღრმეში მკრთალად მოსჩანდა ქალღმერთ ალკმენეს დამატყვევებელი სილუეტი. კეთილი ფერიები და ოლიმპოს მზეჭაბუკები ნაზი გრიგალის კვალს ტოვებდნენ ტკბილი მუსიკის გამგმირავი ჰანგებით შეზავებული უკვდავი ხელოვნების რეალიებში.

რაღაც არაამქვეყნიური ხდებოდა მხატვრის გულსა და გონებაში. ეს იყო ზეიმი, რომლის გადმოცემაც შეუძლებელია მოკვდავის ენით... სპექტაკლი დასრულდა. მაგრამ ზეიმი გრძელდებოდა მხატვრის არსებაში. ორჭოფობა სადღაც არარაობაში ჩაკარგულიყო დამარცხებული და შერცხვენილი. რა კარგი ქნა, რომ თავი შეიკავა. განა შეეძლო სხვაგვარად მოქცეულიყო? მაშინ ხომ ვერ იხილავდა მომაჯადოებელ ალკმენეს, რომლის ფეხრთითაც მტვრად ქცეულიყვნენ ოლიმპოს ღმერთები.

და ეს ხილვა იყო საფასური.

ოვაციებს ბოლო არ უჩანდა. მთელი დარბაზი დაუსრულებლად იმეორებდა მხატვრის გულსა და გონებაში ჩაბეჭდილ ორად- ორ სიტყვას:

- ბრავო, ნინელლი!

მზე უკვე ეთხოვებოდა ქვეყნიერებას, როცა მატარებლის საყვირის კივილმა გამოარკვია ფიქრებში წასული მხატვარი. ათ წუთში ისევ თავის ოთახში იქნებოდა. დღესაც თავი შეიკავა, მაგრამ საფასური უარი იყო. სამწუხაროა, რომ ყველაფერი იყიდება. სამშობლო კი უკეთეს საფასურს იძლევა თურმე, ბევრად უკეთესს...

ის

ის არც ისე დიდი იყო, რომ ნაომრობის დიდგულობა დაეჩემებინა. არა, ძალიან პატარა იყო. ტკივილი კი დიდი იცოდა. დიდი ტკივილით გაჩნდა. ისეთი მწარე ტკივილით, კბილთა ღრჭენა და თვალთა კვესება რომ მოსდევს თან. მერე ოდნავ დაყუჩდა. მაგრამ შესძრავდა თუ არა რაიმე, ტკივილით იღვიძებდა ისევ, იღვიძებდა და კარგახანს ფეთქავდა შემდეგ. სიტყვები არ ესმოდა, თუ არ სურდა გაგონება, ვერ გაიგებდით. ყოველ შემთხვევაში სიტყვით მისი დამშვიდება შეუძლებელი ჩანდა. ცრემლი მოჰქონდა, ძალიან მწარე, ლამის ქვითინად ქცეული. თავად ვერ შველოდა თავის თავს, მშველელის მოხმობაც ტკივილით შეეძლო მხოლოდ - მე ხომ ტკივილით გავჩნდი და სანამ ვიქნები, ტკივილით ვიქნები, მარტო ჩემი გაქრობით დასრულდება ტკივილიო.

ჰო, მისი შველა მისი სიკვდილი იყო მხოლოდ. მაშ, რად გაჩნდაო, იკითხავს ვინმე, თუ გაჩენაც ტკივილიანი ჰქონდა და მთელი მისი არსებობაც ტკივილია მხოლოდო. მას რომ შესძლებოდა, ალბათ უპასუხებდა - მე ჩემს გაჩენას არავინ შემეკითხაო. ანდა როგორ უნდა ეკითხათ, სანამ გაჩნდებოდა იგი ხომ არ არსებობდა მანამდე. გაჩნდა და ტკივილიც მოიტანა. თავიდან ტკივილი ძლიერი იყო. დრო თავის სვლასთან ერთად შველოდა ტკივილს. კიდევ კარგი დრო არ ჩერდება, თორემ ტკივილი მისი გაუსაძლისი გახდებოდა. მაგრამ დრო გადიოდა. ხან თენდებოდა, ხან ღამდებოდა. დღის ხმაური ტკივილს დავიწყებას მისცემდა ხოლმე მცირე ხნით, მოზღვავებულ ჟრიამულს სხვა რამეზე გადაჰქონდა ყურთასმენა თვალთახედვისა. საღამოს კი ღამე მოჰყვებოდა უცილობლად. მარტოდ დარჩენილი ფიქრი ტკივილსაც განაახლებდა ხოლმე დროთა მდინარებაში. ისევ ტკივილით ითხოვდა შველას.

მერე მზრუნველობის წუთებიც მოიტანა დრომ. რაღაცაში განბანეს, უფეროში და მძაფრსუნიანში. მერე შეღებეს. ტკივილით უპასუხა, მძაფრით, როგორც შეეძლო. ფერისცვალება მეორდებოდა დროდადრო. თავიდან მწარე იყო, შემდეგ ყუჩდებოდა. უკვირდა თავიდან, მე ხომ ჩემი ფერი მაქვს, ცვალება რაღად მინდაო. დრომ მიახვედრა ისევ, ღიმილით მომზირალმა, ყოვლის მკურნალმა, ყოველთა სულდგმულთა და უსულდგმულოთა თანამგზავრმა შეუცვლელმა. უცნაურად დაწყებული ფერისცვალება, დიდი ტკივილით დაწყებული უპირველესად ყოვლისა, აყუჩებდა, უცვლიდა ფერს, ნელ-ნელა, თანდათან, მაგრამ უნაკლოდ, უკანდაუხევლად, ღრმად. გრძნობდა სიძლიერეს, დიადს ფერისცვალებისას, რადგან ყუჩდებოდა, ილეოდა, ქრებოდა და სიკვდილი მისი უდიდეს შვებასა და სიხარულს შობდა. რომ შესძლებოდა გაიღიმებდა, ისეთივე ღიმილით, ყოვლისმკურნალი დრო რომ შეჰყურებდა ირგვლივ ყოველივეს, რადგან ხვდებოდა რომ ღირდა იმ დიდი ტკივილით მოსვლა და არსებობა, ფერისცვალებით მოგვრილ ამ უდიდეს შვებად და სიხარულად.

ცოტა ხანში აღარ იყო არც ის და არც ტკივილი. დროდადრო მხოლოდ მარცხენა ხელის საჩვენებელ თითზე დარჩენილი მოთეთრო ზოლი და იოდის ხსნარის მოყავისფრო ნარჩენი თუ გაგახსენებდათ, რომ აქ ფეთქავდა ოდესღაც დიდი ტკივილით გაჩენილი პაწაწინა იარა.

ახალი წიგნები

***

ქართველმა მწერალმა მურმან თავდიშვილმა ივრითიდან თარგმნა იაპონიაში მცხოვრები ებრაელი მწერლის გედალია ცირლიხის ეროტიკული რომანი „გეიშას თამაშები“. რომანი უაღრესად აქტუალურ თემაზეა დაწერილი და დაინტერესებულ მკითხველს უხსნის სექსუალური ცხოვრების საიდუმლოებებს.

მთარგმნელის უზადო ლიტერატურული ოსტატობა მჟღავნდება იმაშიც, რომ ტექსტს შენარჩუნებული აქვს გედალია ცირლიხის პიკანტური თხრობის ზუსტი აქცენტები.

ამ თარგმანით მურმან თავდიშვილმა ერთხელ კიდევ დაგვარწმუნა იმაში, რომ იგი ჭეშმარიტად თარგმნის დიდოსტატია და ღირსეულად მიეკუთვნა მას, ამას წინათ, ჯემალ აჯიაშვილის პრემია.

„გეიშას თამაშები“ წიგნის ბაზარზე გამოჩენისთანავე გაიყიდა, რამაც ავტორს საკმაოდ სოლიდური ფინანსური შემოსავალი მისცა.

თარგმანის ავტორი ამჟამად „გეიშას თამაშების“ მეორე გამოცემაზე მუშაობს.

***

გამოვიდა ნანა ახალაძის შემეცნებითი წიგნი ბავშვებისა და მოზარდებისათვის „ცოდნის ლაბირინთები“. რედაქტორი აჭარის დამსახურებული მასწავლებელი, იაკობ გოგებაშვილის პრემიის ლაურეატი, განათლების მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი აკაკი ზოიძე, რეცენზენტები: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი სერგო დუმბაძე და აჭარის მხატვართა კავშირის თავმჯდომარე გურამ ფუტკარაძე.

ჟორა სნხჩიანი

71 წლის ასაკში გარდაიცვალა საქართველოს სომეხ მწერალთა კავშირ „ვერნატუნის“ თავმჯდომარე, მწერალი და საზოგადო მოღვაწე ჟორა (გევორგ) სნხჩიანი.

ჟორა (გევორგ) სნხჩიანი დაიბადა 1951 წლის 5 იანვარს, საქართველოს ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის სოფელ ჯიგრაშენში. 1967 წელს წარჩინებით დაამთავრა ნინოწმინდის საჯარო სკოლა, ხოლო 1973 წელს ქალაქ ერევნის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტი. თავისი ცხოვრების მანძილზე ეკავა სხვადასხვა თანამდებობა: 1997 წელს არჩეულ იქნა საქართველოს პარლამენტის წევრად, იმუშავა საქართველოს პრეზიდენტთან არსებული ეროვნული უმცირესობების დეპარტამენტის მრჩევლად, 2006-2020 წლებში იყო კულტურის, განათლების, სპორტისა და ძეგლთა დაცვის სამხარეო მუნიციპალიტეტის ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი.

1997 წლიდან დღემდე ხელმძღვანელობდა საქართველოს სომეხ მწერალთა კავშირ „ვერნატუნს“.

ჟორა სნხჩიანი იყო საქართველოსა და სომხეთის მწერალთა კავშირების წევრი. ის მრავალი ნაწარმოებისა და ლექსების 3 კრებულის ავტორია. მისი ლექსები გამოქვეყნებულია საქართველოსა და სომხეთის ათზე მეტ პერიოდულ ჟურნალში, მათ შორის ქართულენოვან „ცისკარში“, „ლიტერატურულ საქართველოში“, „ლიტერატურულ მესხეთში“.

დაჯილდოებულია საქართველოს მთავრობის მიერ „ღირსების ორდენით“, სომხეთის რესპუბლიკის „მოვსეს ხორენაცის“ ორდენით, სომხეთის რესპუბლიკის „უილიამ საროიანის“ მედლით და საქართველოს სომეხთა სამოციქულო ეკლესიის ეპარქიის „ჰოვანეს თუმანიანის“ მედლით და ყოველთა სომეხთა კათალიკოს გარეგინ II კურთხევის წერილით.

საქართველოს მწერალთა კავშირი
საქართველოს სომეხ მწერალთა
კავშირი „ვერნატუნი“
გაზეთი „ვრასტანი“



მემუარული რომანის ოთხტომეული

ახლახან ქართული მემუარული ოთხტომეული პოეტ ნიკოლოზ კურტანიძის მემუარული ავტობიოგრაფიული რომანით გამდიდრდა. რომანს ჰქვია „გზა ცხოვრებისა ღვთისგან კურთხეული“.

რომანი ოთხ წიგნად არის გამოცემული და ავტორის ცხოვრებისა და მოღვაწეობის უაღრესად საინტერესო ცნობებს გვაწვდის.

ბატონი ნიკოლოზ კურტანიძე სკურპულოზურად, ფაქტებისა და მოვლენების ზედმიწევნითი დაცვით გვიამბობს თავისი ცხოვრების გზა-ბილიკებზე. რომანი აღსავსეა როგორც ავტორის საინტერესო ბიოგრაფიის დრამატული ეპიზოდებით, ასევე მკითხველს ყურადღებას გაადევნებინებს ამ თვალსაჩინო ქართველი პოეტის შემოქმედებით გზაზე.

აქვე დავძენთ, რომ აღნიშნული ოთხტომეულისათვის ბატონ ნიკოლოზ კურტანიძეს დამსახურებულად მიენიჭა ილია ჭავჭავაძის პრემია, რასაც გულწრფელად ვულოცავთ.

ნიკოლოზ კურტანიძე

ჩემო სამშობლო!

ჩემო სამშობლო, შენი ჭირიმე,
ჩემო ღელევ და ნაგლეჯო მიწავ,
შენზე ძვირფასი ამ ქვეყანაზე
არაფერი მაქვს, სიცოცხლეს ვფიცავ!
შენა ხარ ჩემი სიცოცხლის წყარო,
შენა ხარ ჩემი მუზა და სიტყვა,
სადაც არ უნდა გადავიკარგო,
ბოლოს შენთან ვარ, სიცოცხლეს ვფიცავ!

ჩემო სამშობლო, ჩემო საძვალევ,
ჩემი ბავშვობის ფიქრო და დვრიტავ,
არ მოიწყინო, შენ გენაცვალე,
არ მიგატოვებ, სიცოცხლეს ვფიცავ!
შენა ხარ ჩემი ციხე და ზღუდე,
თავს შენ გაფარებ, სხვაგან რომ მიჭირს,
ვერ ვიტყვი სხვისი ქვეყანა მძულდეს,
სულ სხვაა სუნთქვა მშობლიურ მიწის!
სხვაა ღიმილი, სისხლის და ხორცის,
თბილი, ანკარა და უანგარო,
როგორც წალკოტით შემკული ბორცვი,
გადმოხეთქილი ანკარა წყარო!

საქართველოს მწერალთა კავშირი და „მწერლის გაზეთის“ რედაქცია ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ, რომ გარდაიცვალა პოეტი

რეზო ამაშუკელი

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს

საქართველოს მწერალთა კავშირი და „მწერლის გაზეთის“ რედაქცია ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ, რომ გარდაიცვალა მწერალი

იზა ჯაჭვაძე

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს

საქართველოს მწერალთა კავშირი და „მწერლის გაზეთის“ რედაქცია ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ, რომ გარდაიცვალა მწერალი

თამაზ ნატროშვილი

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს

საქართველოს მწერალთა კავშირი და „მწერლის გაზეთის“ რედაქცია ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ, რომ გარდაიცვალა მწერალი

ეთერ ფაცურია

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს

საქართველოს მწერალთა კავშირი და „მწერლის გაზეთის“ რედაქცია ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ, რომ გარდაიცვალა აკაკი თევზაძის შვილი

თეა თევზაძე

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს

საქართველოს მწერალთა კავშირი და „მწერლის გაზეთის“ რედაქცია ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ, რომ გარდაიცვალა როსტომ მაჩხაშვილის ძმა

რევაზ მაჩხაშვილი

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს

ეროვნული გაზეთი
№1
ფასი 1 ლარი
1-28 თებერვალი
2022
მისამართი: ვაჩნაძის ქუჩა №13 მეორე სართული. ტელ.: 293-55-75
გაზეთი გამოდის 2001 წლის 8 ნოემბრიდან

მთავარი რედაქტორი — სოსო სიგუა
სარედაქციო საბჭოს თავმჯდომარე — რევაზ მიშველაძე
პასუხისმგებელი მდივანი — მანანა გორგიშვილი

რეგისტრირებულია ვაკე-საბურთალოს სასამართლოს მიერ.
რეგისტრაციის № 5ა-4-3098
e-mail: mgorgishvili@mail. ru; sososigua@yahoo. com
9 771987 698009